28/03/2020

მსოფლიოს სიცოცხლისათვის – მართლმადიდებელი ეკლესიის სოციალური ეთიკის შესახებ



I. შესავალი

ჟამი არ მსახურებად უფლისა

§1 მართლმადიდებელი ეკლესია ადამიანს უფლის ხატად და მსგავსად შექმნილად აღიქვამს (დაბ. 1:26). უფლის ხატად შექმნა ნიშნავს, რომ თავისუფლებისათვის, შეგნებული ზიარებისა და ღმერთ იესო ქრისტესთან კავშირისთვის იყო მოვლენილი, რამდენადაც ვართ მასში, მის მიერ და მისთვის შექმნილნი (კოლ. 1:16). წმ. ბასილი დიდი გვეუბნება, რომ ყველა ცხოველი და ადამიანი ვერტიკალურ არსებად შეიქმნა, რათა შეძლებოდათ, ზემოთ აეხედათ და ღმერთი ეხილათ, თაყვანი ეცათ მისთვის და ეცნოთ იგი, როგორც მათი მყოფობის წყარო. იმის ნაცვლად, რომ „მიწაზე ეხოხა... მისი თავი ზემოთ მყოფი საგნებისკენაა მიმართული, ამგვარად, მას შეუძლია, ახედოს, თუ რა არის მისი მსგავსი.“ [1] რამდენადაც ჩვენ ღმერთ იესო ქრისტესთან ზიარებისთვისა ვართ შექმნილნი, ირინეოს ლიონელი წერს, რომ ადამიანი „ქრისტეს ხატად“ შეიქმნა[2] (2 კორ. 4:4). სიცოცხლისა და ყველა ძღვენისათვის, ეს ლოცვითი და მოქმედებითი მსახურება, მოსიყვარულე ხოტბისა და მოწიწებული მადლიერებიდან მომდინარეობს, და მიმართულია სიცოცხლისა და ყველა იმ ძღვენისადმი, რაც ღმერთმა ძის მიერ და სულიწმინდაში მოგვანიჭა. ღმერთისადმი ჩვენი მსახურება, ფუნდამენტურად, დოქსოლოგიური ბუნებისა და, არსებითად, ევქარისტიული ხასიათისაა.

§2 თქმა იმისა, რომ ჩვენ ღმერთისადმი მსახურებისთვისა ვართ შექმნილნი, ნიშნავს, რომ სიყვარულისმიერი ზიარებისათვის შევიქმენით: მამისა, ძისა და სულიწმინდის საუფლოსთან ზიარებისთვის; ხოლო ღმერთთან, როგორც სამებასთან კავშირით, ადამიანები მოყვასთა და მთელი სამყაროს სიყვარულისკენაც არიან მოწოდებულნი. ჩვენი მოქმედებები ღმერთის სიყვარულიდან და ღმერთთან ქრისტესმიერი მოსიყვარულე კავშირიდან უნდა მომდინარეობდეს, ვისშიც ჩვენი ნამდვილი ცხოვრების ძმებსა და დებს ვხვდებით და ურთიერთობა გვაქვს.[3] ჩვენი მოყვასის სახით ქრისტესთან ზიარება არის ის, რაზეც რჯულის პირველი და მთავარი მცნებაა დამოკიდებული: გიყვარდეს ღმერთი მთელი გულით და მოყვასი, როგორც საკუთარი თავი (მთ. 22: 37-29).[4]

§3 ღმერთის ხატად და მსგავსად შექმნით, თითოეული ადამიანი უნიკალურია და განუსაზღვრელად – ძვირფასი, ყველა ადამიანი საღვთო სიყვარულის სპეციალური ობიექტია. ქრისტეს სწავლების მიხედვით: „თქვენს თავზე ყოველი ღერი თმაც დათვლილია“ (ლკ. 12:7). თითოეული ჩვენგანისა და მთელი შესაქმისათვის, საღვთო სიყვარულის უსაზღვრობა და განსაკუთრებულობა, ადამიანურ გონებას აღემატება. ეს ყოველივე ჩვენდამი ღმერთისაგან აბსოლუტური სულგრძელებითაა მონიჭებული, იმ ღმერთისაგან, რომელიც, ერთი მხრივ, ჩვენს ცოდვებს ივიწყებს, ხოლო, მეორე მხრივ, არ სურს, რომ თავისი ქმნილებები დაიღუპოს (2 პეტრ. 3:9), არამედ სწადია, რომ ყველა გადარჩეს და ჭეშმარიტებას შეემეცნოს (1 ტიმ. 2:4). ამგვარად, ეს ის სიყვარულია, რომელიც თითოეული ჩვენგანისგან ღმერთის პირად სიკეთესთან განუზომელ თანხვედრას ლამობს, რომელიც ჩვენგან ასე დაუცხრომლად მოითხოვს, რომ საკუთარი ფიქრების, სიტყვებისა და საქმეების განწმენდას შევეცადოთ, რომ,

როგორც ღმერთის საკუთრება, ჩვენი მოყვასი და მთელი შესაქმე მოუკლებლად გვიყვარდეს. ეს ჩვენ ერთმანეთთან, ყველა იმ ცოცხალ არსებასთან, რომელსაც ვხვდებით, შესაქმის სისრულესთან, უდიდესი ზიარებისაკენ მოგვიწოდებს, ამგვარად კი, მას ვუერთდებით, ვინც ამ ყოველივეს შემოქმედია. უფრო მეტიც, საბოლოო მიზანი, რისთვისაც ხმობილნი ვართ, სხვა არაფერია, თუ არა განღმრთობა (თეოზისი): სულიწმინდის მეშვეობით ქრისტეს სხეულის წევრებში, მამასთან ძეში გაერთიანებით, ჩვენი განღმრთობა და ფერისცვალება, რითაც ღვთაებრივი ბუნების ჭეშმარიტი მიმღებელნი ვხვდებით. წმ. ათანასეს სიტყვებისამებრ: „ღვთის ძე განკაცდა, რათა ჩვენ განვღმრთობილიყავით.“***[5]***

§4 ის მსოფლიო, რომელშიც ჩვენ ვსხემობთ, დაცემული, შემუსრვილი და დაბნელებულია, სიკვდილსა და ცოდვას ემონება, ძალადობითა და უსამართლობით იგვემება. ეს შესაქმისადმი ღმერთის სურვილით არ განპირობებულა; ეს ჩვენი, სამყაროს, მის შემოქმედთან უძველესი გაუცხოების შედეგია. რეალურად, ყოველმხრივ შეუძლებელია, რომ სხვა ადამიანებს ჩვენი მორალური პასუხისმგებლობების ზღვარი მივუთითოთ ან განვუსაზღვროთ. მოწოდებულნი ვართ, რომ, მშვიდობისადმი მსახურებით, არაამქვეყნიურ მეუფებას ვემსახუროთ (იოან. 18:36), მშვიდობისადმი, რომელსაც ეს ქვეყანა ვერ იძლევა (იოან. 14:27). შესაბამისად, ხმობილნი ვართ ამა სოფლის მიწიერ საზრუნავებს არ შევურიგდეთ, არამედ, საპირისპიროდ, მუდამ და კვლავ ბოროტის წინააღმდეგ ვისწრაფოთ, როგორ უძლეველადაც არ უნდა ჩანდეს ხანდახან იგი, ვიღვაწოთ იმ სიყვარულისა და სამართლიანობისათვის, რასაც ღმერთი თავის ქმნილებათაგან მოითხოვს, იმისათვის, რაც ხანდახან განუხორციელებლადაც ჩანს. ღმერთთან ზიარების გზაზე კაცობრიობის მოწოდებაა, რომ ეს სამყარო უბრალოდ კი არ მიიღოს, არამედ უფრო მეტად დალოცოს, აღამაღლოს და გარდაქმნას იგი, ამგვარად, მისი თანდაყოლილი სიკეთე შეიძლება დაცემულობის შუაგულიდანაც გამოჩნდეს. ეს ადამიანის სიცოცხლის განსაკუთრებული მიზანია, შესაქმის იერარქიული მოწოდება გონიერ თავისუფლებასა და სინდისს უზრუნველყოფს. რა თქმა უნდა, ვუწყით, რომ ფერისცვალების ეს ღვაწლი ამ ცხოვრებაში ვერასდროს განსრულდება და მხოლოდ ღმერთის სამეფოში მიაღწევს სრულყოფას, თუმცა, ამ ცხოვრებაში აღსრულებული ჩვენი სიყვარულისმიერი საქმეები იმ ნაყოფს იძლევიან, რაც საუკუნო ცხოვრებაში ყველა შემსლველს სჭირდება (მთ. 25: 31-46). ეკლესიამ იცის, რომ ამგვარი მცდელობებები ამაო არასდროსაა, ამას გარდა, სულიწმინდა მორწმუნეთა ყველა საქმესაც შეეწევა, რაც საჭირო დროს შესაბამის ნაყოფს გამოიღებს (რომ. 8:28).

§5 ქრისტიანულ სიყვარულს გაუნელებელი მოთხოვნილებები გააჩნია. ისინი, ვინც ქრისტეს შეუერთდნენ, მრავალ შემთხვევაში საღვთო სიკეთესიდმი შედგომისკენაც არიან მოწოდებულნი, რაც შეიძლება, უფლის მაგალითისამებრ, თავგანწირვის მნიშვნელობითაც გაიგებოდეს. სამყაროს გარდაქმნისათვის მოქმედება, ასევე, ჩვენს შიგნით ყოველგვარი ავისა და ბოროტი ზრახვის წინააღმდეგ ბრძოლაცაა, ტანჯული შესაქმისა და დამაზიანებელი მოქმედების წინააღმდეგ ბრძოლა; რაც ნიშნავს, რომ ეს საქმე, აუცილებლად, ასკეტური ღვაწლი უნდა იყოს. განსაკუთრებულად, მოწოდებულნი

ვართ, რომ ჩვენი პირადი, ჯიუტი ეგოიზმის ცოდვილი მიდრეკილებების წინააღმდეგ ვისწრაფოთ და მუდმივად ვეცადოთ, რომ ჩვენში გულმოწყალების თვალი განვკურნოთ, რომელიც ერთადერთია, რასაც შეუძლია, რომ ჩვენს თითოეულ ძმასა და დაში – „მცირე ამათთაგანში,“ ქრისტეს სახე დაინახოს, რომლებსაც, როგორც თავად ქრისტეს, ისე შევხვდებით (მთ. 25: 40,45). მოციქული პავლე, ქრისტიანული ცხოვრების ვარჯიშში, მეტაფორად, ათლეტის სახეს იყენებს (1 კორ. 9: 24-27). ეს ღვაწლი, ასევე, შეიძლება, ზოგადადაც გაიგებოდეს, როგორც კონკრეტული სხეულის ერთიანი ძალისხმევა, რომლის ცალკეული წევრებიც ზიარი სიყვარულისა და მსახურების სიცოცხლეში ერთმანეთს მხარში უდგანან და ეხმარებიან. ეს შიშის კი არა, სიყვარულის ჭეშმარიტი საქმეა. ეს არის სულიწმინდის მიერ შეცვლილი სიცოცხლის ბუნებრივი გამოხატულება, სიხარულის სიცოცხლე, რისი საერთო გულიც ევქარისტიაა, ღმერთის გულუხვი ძღვენის მარადის განახლებადი დღესასწაული, მისი ჭეშმარიტი ხორცისა და სისხლის მთელი მსოფლიოს ცხოვრებისათვის გაზიარება. ევქარისტიულ საიდუმლოში ქრისტე, საკუთარი თავის მარადახალი შეწირვით, მუდამ თავისთან მიგვიზიდავს და მსგავსადვე გვაკავშირებს ერთმანეთთან. იგი სამეუფეო საქორწილო დღესასწაულშიც წინასწარ გვიხმობს, იქ, სადაც ყველა ადამიანი ხმობილია, ისინიც კი, ვინც ახლა ეკლესიის ხილული ზიარების გარეთ მყოფობენ. რეალობაა, რომ მსოფლიოში ქრისტიანთა ჯაფა დიდია, ღვთაებრივი სიყვარულის კანონისადმი მორჩილების გარდა, ისინი (ქრისტიანები, გ.ლ.) ღრმა და საბოლოო, გარდაუვალი მხიარულებითაც არიან შემტკიცებულნი.

§6 ყველაზე მეტად, მართლმადიდებლური სოციალური ეთიკის ყველაზე მტკიცე საფუძველი თავად ქრისტეს სწავლებებში მდგომარეობს. უფლის არცერთი სახარებისეული მოცემულობა არ არის უფრო მეტად ნათელი და მარადიული, ვიდრე გაჭირვებულის, დევნილის, შეურაცხყოფილის, უარყოფილის, პატიმრის, მშიერის, მაშვრალის, ტვირთმძიმისა და დამცირებულისადმი ზრუნვა და თანაგრძნობა. იგი სიმდიდრისეულ ფუფუნებას, გაჭირვებულისადმი გულგრილობას, ღარიბის ექსპლუატაციას უკომპრომისოდ და არაორაზროვნად კიცხავს. ამასთანავე, „მცირე ამათთაგანზე“ მისეული სიყვარულის ტენდენციები უსაზღვროა. ქრისტეს მიმდევრობის მსურველთაგან არავის შეუძლია, უსამართლობაზე არ განრისხდეს ან დევნილი არ უყვარდეს. ამგვარად, ქრისტეს სწავლებები, ისრაელის რჯულისა და წინასწარმეტყველების მიერ დადგენილ დიდ და საერთო მორალურ მოთხოვნებს: ღარიბთა შეწევნას, უცნობებისადმი ზრუნვას, ნაგვემთა გამართლებას, ყოველთა შეწყალებას – ადასტურებენ და უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ. ქრისტიანობის სოციალური მორალის დიდებულ მაგალითებს სამოციქულო ეკლესიის ცხოვრებაში ვპოულობთ, რომელმაც იმპერიის პერიოდში საკუთარი თავისთვის ახალი სახის სახელმწიფოებრივი მოწყობა შექმნა, განუდგა მიწიერ ხელისუფალთ და იმ ყოველგვარ სოციალურ და მეტ-ნაკლებად მწვავე პოლიტიკური ძალადობის ფორმებს, რომლებითაც ხელისუფალნი არსებობდნენ. უძველესი ქრისტიანები სიყვარულისეული სიცოცხლით აღვსებულ გაერთიანებებად ცხოვრობდნენ, რომლებშიც ეროვნებისადმი,

რასისადმი და კლასისადმი ყოველგვარი თავდადება, მხოლოდ ქრისტეს კანონის, ქველმოქმედების ერთგულებით იყო ჩანაცვლებული. ამგვარი თემები აცნობიერებდნენ იმას, რომ ქრისტეში არ იყო არც იუდეველი, აღარც ბერძენი, აღარც მონა და აღარც თავისუფალი, აღარც რაიმე განყოფა მამაკაცსა და ქალს შორის, რადგან ყველანი არიან ერთნი (გალ. 3:28). ასევე, ეს იყო თემი, რომელსაც ყოველივე საერთო ჰქონდათ და გასცემდნენ მასზე, ვისაც უჭირდა. ეს დამოკიდებულება კი მათ, საკუთარი საარსებო მინიმუმითაც, შესაქმისაგან მომკილი საერთო სიკეთის გულუხვად დაბრუნების საშუალებას აძლევდა, ამისათვის კი, სიყვარულის გარდა, არც რჯული მოეთხოვებოდათ, არც რამ იძულება (საქ. 2:42-46; 4:32-35). მთელმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ იცის, რომ საზოგადოება, როგორც მთლიანობა, განსხვავებული პრინციპებით იმართება, და რომ ქრისტიანებს, ყველგან და ყოველთვის, სოციალური ავადმყოფობების განკურნება მხოლოდ ნაწილობრივ შეუძლიათ. ეკლესიას კვლავ სამოციქულო შესაკრებლის იდეალი უპყრია, როგორც ქრისტიანული გულმოწყალების უწმინდესი გამოვლინება, როგორც სოციალური ლოგიკა, საერთო პრაქტიკა და საღვთო წესრიგის ისეთი მოდელი, რომლითაც ყოველგვარ ადამიანურ, პოლიტიკურ და სოციალურ ქმედებებს განსჯის.

§7 ყოველი ადამიანი სიკეთის ნაწილობრივ ცოდნას ფლობს და სამართლიანობისა და მოწყალების მოთხოვნილებების მიღწევა ყველას, გარკვეულწილად, შეუძლია. ისრაელის შვილებში მოსეს რჯული განსაკუთრებულად განიდიდებოდა, ხოლო ეკლესიაში კი ღმერთის, ქრისტეს პიროვნებაში გამოჩინებული საგანგებო ცოდნის სიყვარულისმიერი სიხარულია, სადაც საღვთო რჯულის უღრმესი მორალური მცნებები თითოეული ადამიანის გულის ფიცარზე მოკრძალებულად წერია (რომ. 2:15), ხოლო ადამიანური გონება და ნება კი სინდისის ხელშემწყობად აღიქმება. ამგვარად, როგორც ირინეოსი ამბობს, ხსნისათვის საჭირო საღვთო მითითებანი კაცობრიობაში დასაბამიდან არიან ჩანერგილნი;[6] ხოლო ეს კანონები, „რომლებიც ბუნებრივნი, კეთილშობილურნი და ყველასათვის საერთონი არიან,“ შემდგომში ქრისტეს მიერ, მისი ეკლესიისთვის, თავისუფლების ახალ აღთქმაში მინიჭებით განივრცო, გამდიდრდა და გაღრმავდა.[7] ეს მითითებები „გონებითი რჯულისანი’’;[8] არიან, ისინი უღრმეს გონისმიერ პრინციპებს, მარადიულ ლოგოსებს, შესაქმის საფუძვლებს შორის არიან ჩაწერილნი და საღვთო ძის ლოგოსში მუდმივად მყოფობენ.[9] ამგვარად, მრავალ შემთხვევაში, „რჯულის ნაცვლად სინდისი და გონებაც საკმარისია.“ [10] მაგრამ ქრისტეში სულიწმინდის ახლებური გამჟღავნება მივიღეთ და ახალი, საღვთო მღვდლობის ხალხი გავხდით, თავისუფლების ახალი აღთქმის ქვეშ, აღთქმისა, რომელმაც ბუნებითი რჯული კი არ გააუქმა, არამედ მისი დიაპაზონი უფრო მეტად განავრცო და მისი მოთხოვნა აბსოლუტური გახადა. ქრისტიანებს შეუძლიათ და რეალურად მოეთხოვებათ, რომ მსოფლიოში წინასწარმეტყველებად ცხოვრობდნენ, ისაუბრონ არა მხოლოდ ნათელღებულთა ჩაკეტილ თემთან, არამედ მთელ შესაქმესთან, ყველგან მყოფ ადამიანს მისი ჭეშმარიტი ბუნების წიაღში ჩაწერილ კანონთა შესახებ მოუწოდონ და მოსთხოვონ მათ სამართლიანობისა და მოწყალების

მსხვერპლშემწირველი საქმიანობა. ამ მხრივ ჩვენ უმთავრეს მაგალითად ღვთისმშობელი გვივის; მის მიერ თავისუფლებით მიცემულმა თანხმობამ (რომ ადამიანურ პიროვნებაში საღვთო სიყვარულის გამოჩენის წიაღი გამხდარიყო) და ღმერთთან მისმა თანამოქმედებამ -სინერგიამ, საღვთო რჯულის ჭეშმარიტი მორჩილების უწმინდესი მოდელი გვიანდერძა: ღმერთის ძის მყოფობისთვის ჩვენი თავის მთლიანად მიძღვნის მზაობა, რომ ქვეყნად მისი მკვიდრობის ნავსაყუდელი და ბაგა გავხდეთ, რომ ღმერთის ლოგოსმა, როგორც ჩვენი ბუნების უმაღლესმა მოწოდებამ და უდიდესმა სრულქმნამ, ჩვენშივე დაივანოს.

II. ეკლესია საჯარო სივრცეში
ყოველი ცხორებაᲥ ჩუენი ქრისტესა ღმერთსა ჩუენსა შევევედროთ

§8 ქრისტიანის სასოება არა ამქვეყნიურს, არამედ უფლის მეუფებას ეფუძნება. ეკლესია თავის იმედს არ ამყარებს „მთავრებზე, ადამის ძეზე, რომელსაც არ შეუძლია შველა“ (ფს. 145,3), არამედ ღვთის ძეზე, რომელიც ქვეყანას მოევლინა, რათა თავისი ქმნილებანი ამქვეყნიური გამრყვნელი, ყოველგვარი წესისა და სახის ცოდვის, ჩაგვრისა და ძალადობისაგან გაეთავისუფლებინა. ქრისტიანობის ისტორიის მანძილზე მორწმუნეებს განსხვავებულ ხელისუფლებათა რეჟიმის ქვეშ უცხოვრიათ, იქნებოდა ეს: იმპერიები, ტოტალიტარული რეჟიმები, ლიბერალური დემოკრატიები, ან ქვეყნები, სადაც ან ქრისტიანული, ან სხვა აღმსარებლობა დომინანტობდა. იმის მიუხედავად, თუ როგორი ტიპის პოლიტიკური რეჟიმის ქვეშ ცხოვრობენ ისინი, მსოფლიოში მყოფი ქრისტიანების მთავარი კერა წმინდა ევქარისტიის აღსრულებაა (ხან – ცხადად, ხანაც – ფარულად). ლიტურგიაში ისინი მოითხოვენ, რომ „ყოველივე მსოფლიო დაუტევოთ ზრუნვა“ (წმ. იოანე ოქროპირის სახ. საღვთო ლიტურგია) და ერთდროულად შეუერთდნენ ქრისტეს ისტორიული სხეულის ერთობასა და უფლის სამეფოს ისტორიის მიღმიერ სიხარულს. მორწმუნეთა შორის აღსრულებული და მათ მიერვე განვრცობილი ევქარისტია, მუდამ და კვლავ, ჭეშმარიტ ქრისტიანულ წყობას გვთავაზობს, და სასუფევლის ისეთ ხატად ბრწყინავს, როგორადაც ის (ევქარისტია, გ.ლ.) გამოხსნილ, ფერნაცვალებ და განდიდებულ შესაქმეში იქნება განხორციელებული. იმდენად, რამდენადაც ევქარისტია საწინასწარმეტყველო ნიშანიცაა, ის ყოველგვარ პოლიტიკურ რეჟიმს მყისიერად აკრიტიკებს, რადგან ისინი საღვთო სიყვარულსა და მოწოდებას დაშორდნენ, რომლის მიხედვითაც ყოველ ადამიანს, უპირველესად, უფლის სასუფეველი და მისი სიმართლე უნდა ეძია (მთ. 6:33). წუთისოფელში ჩვენ მტკიცე ქალაქი არ გვაქვს და მომავლის ქალაქში უნდა შევიხედოთ (ებრ. 13:14). მართალია, აქ ჩვენ უცხონი და ხიზნები ვართ (ებრ. 11:13), თუმცა, ღვთის სასუფეველში დამკვიდრებულ ყოველგვარი სოციალური წესრიგის გემოს აქვე განვიცდით. ჩვენ სხვა ერების წინაშე ისეთი ნიშნითა ვართ დაბეჭდილნი, რომლითაც სხვებს მოვუხმობთ, რათა უფლის აღთქმათა თავშესაფარში მშვიდობითა და ლმობიერებით იცხოვრონ.

§9 მართლმადიდებელი ეკლესია ადამიანურ მმართველობათა ყველა ფორმას, როგორც ერთმანეთის ექვივალენტს, ისე ვერ განსჯის, რადგან თითოეული მათგანი

უფლის სამეფოდან ძალიან დაშორებულია. ეკლესია ყოველგვარ ინსტიტუციონალურ გარყვნილებასა და ტოტალიტარიზმს არაორაზროვნად კიცხავს, რადგან იცის, რომ თითოეულ მათგანს მასიური ტანჯვისა და ჩაგვრის გარდა არაფრის ბოძება არ შეუძლია. ეკლესია სახელმწიფოებში მცხოვრები ქრისტიანი მოქალაქეებისაგან, ყველა შესაძლო სიტუაციაში, სახელისუფლებო ძალებისადმი მორჩილებას არ მოითხოვს. თავად ქრისტეც ლეგიტიმურად მიიჩნევდა სამოქალაქო ხელისუფლების მიერ გადასახადების აკრეფას, როდესაც ამბობდა: „მიაგეთ კეისარს კეისრისა, ხოლო ღმერთს – ღმრთისა“ (მთ. 22:21). ისიც სიმართლეა, რომ, გარკვეულ სიტუაციაში, პავლე მოციქული რომში მცხოვრებ ქრისტიანებს დაჟინებით სთხოვდა, რომ მათი ქალაქისა და იმპერიის სამართლიანად დანიშნულ სამოქალაქო ხელისუფალს დამორჩილებოდნენ და იმ ადამიანების ძალაუფლების ლეგიტიმაცია ეცნოთ, რომლებიც ხმალს ატარებდნენ- *(machairophoroi).* ეს გამოთქმა ჯარისკაცებს, შეიარაღებულ პოლიციელებს, სამოქალაქო გუშაგებსა თუ გადასახადების ამკრეფთ მიემართება, რომლებსაც ძალაუფლება სამოქალაქო მშვიდობის დასაცავად აქვთ ბოძებული (რომ. 13: 1-7), მაგრამ ეს, სხვებისაგან გამოყოფილი თხრობა, ქრისტიანს რაიმე ისეთი სახის აბსოლუტურ წესს არ უდგენს, რომელიც ყველა შესაძლებელ მდგომარეობაში უნდა აღასრულოს. ეს პეტრე მოციქულის მიერ იერუსალიმის იმ სამოციქულო კრებაზე წარმოთქმული სიტყვიდან ვიცით, რომელი კრებაც მაშინდელი იუდეის კანონიერ ხელისუფლებას მიემართებოდა, როდესაც ბრძანებები (თუნდაც ისინი კანონიერად დადგენილი ხელისუფალის იყოს) ჩვენს, როგორც ქრისტიანთა პასუხისმგებლობებს ეწინააღმდეგება: „ღვთის მორჩილება უფრო გვმართებს, ვიდრე ადამიანებისა“ (საქ. 5:29). უფრო მეტიც, რომის ქრიტიანთა მიმართ პავლეს გაფრთხილებები მხოლოდ წარმართული იმპერიული ძალაუფლების პირობებში მსხემი ეკლესიის მდგომარეობას მიემართება, თუმცა, არაფერს გვეუბნებიან იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეეცადონ ქრისტიანები საზოგადოების წესრიგში მოყვანასა და სამოქალაქო მშვიდობის განვითარებას მაშინ, როდესაც ძალაუფლება ხელში თავად უპყრიათ. პავლეს მოწოდებები არც იმასთან დაკავშირებით საუბრობენ, რაც ქრისტიანებმა ხალხისა და მთავრობებისაგან შეიძლება მოითხოვონ, როდესაც საკუთარ საწინასწარმეტყველო მოწოდებას აღასრულებენ, რომ საღვთო სამართალი და ქვეყნიერებისათვის განკუთვნილი წყალობა განაცხადონ და დაამოწმონ. თუნდაც ქრისტე, როდესაც იერუსალიმში ტაძარს ფულისგადამცვლელთა და ვაჭართაგან წმენდს, არ ყოყმანობს, რომ იუდეური ტაძრის ხელისუფალთა წესრიგის დამცველი ძალები და, ასევე, სამოქალაქო წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ მიმართული რომის უნივერსალური ბრძანებულებები უგულვებელყოს. ეკლესია, რასაკვირველია, უნდა ეცადოს, რომ ყველა ადამიანთან ერთად, საკუთარი მსხემობის ადგილის მიუხედავად, მშვიდობიანად იცხოვროს და ყველას მშვიდობა შესთავაზოს, რაც, ხშირ შემთხვევაში, ამ ტერიტორიაზე არსებულ კანონებზე დამორჩილებას მოითხოვს. ეკლესია, მეტ-ნაკლებად, ნებისმიერი სახის ადამიანური განწესებისადმი მუდამ გაუცხოებულია და და აცნობიერებს, რომ საღვთო განაჩენი, გარკვეულწილად, ყველა ადამიანურ პოლიტიკურ ძალაუფლებას ეწინააღმდეგება. ქრისტიანებს შეუძლიათ და

ხშირად მონაწილეობაც უნდა მიიღონ იმ საზოგადოებათა პოლიტიკურ ცხოვრებაში, რომელშიც მკვიდრობენ, მაგრამ ყველაფერი სამართლიანობისა და სასუფევლის საკადრისად უნდა მოიმოქმედონ. ასეთი იყო უძველესი ქრისტიანული პერიოდის მითითება: „ღმერთისაგან დადგენილ საწყისებსა და ხელმწიფებანში განვისწავლეთ, რათა შესაფერისი პატივი მივაგოთ მას, რაც ჩვენ არ გვავნებს.“[11] ზოგჯერ, მსგავს მითითებებს შეიძლება, რომ არა სრული დამორჩილება, არამედ სერიოზული სამოქალაქო დაუმორჩილებლობა, – აჯანყებაც კი მოყვეს, ქრისტიანული ერთგულების დასაწყისი და დასასრული სასუფეველია, ყოველივე დანარჩენისადმი ერთგულება ძალიან დროებითი, წარმავალი, არასრული და შემთხვევითია.

§10 მრავალ თანამედროვე სახელმწიფოში სამოქალაქო წესრიგი, თავისუფლება, ადამიანის უფლებები და დემოკრატია ის რეალობებია, რისიც ქრისტიანებს შეუძლიათ, რომ სჯეროდეთ. ეს საზოგადოებები პიროვნებებს თავისუფლების ფუნდამენტურ ღირსებას ანიჭებენ, რათა საკუთარი თავის, ოჯახისა და საზოგადოებისათვის, კეთილდღეობა მიზნად დაისახონ და მიაღწიონ მას. ეს, ნამდვილად, განსაკუთრებული წყალობაა, რასაც მთელი ადამიანური ისტორიის მანძილზე ვხედავთ. არაგონივრული და გასაკიცხი იქნებოდა, რომ ქრისტიანები თანამედროვე პერიოდის გამორჩეული დემოკრატიული მიდრეკილებებისადმი ნამდვილ მადლიერებას არ გრძნობდნენ. მართლმადიდებელმა ქრისტიანებმა, რომლებიც ამგვარ ქვეყნებში ცხოვრების გამორჩეული უპირატესობებით დიდად სარგებლობენ, ეს ღირებულებები საჩუქრად არ უნდა მიიღონ, არამედ შესაბამის საზოგადოებებში, საკანონმდებლო, კულტურული და ეკონომიკური საშუალებებით, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ჩვეულებათა ღირებულების მხარდაჭერისა და დაცვისათვის აქტიურად უნდა იღვაწონ. ქრისტიანთა შორის გარკვეული საშიში ცდუნება არსებობს, რომ რაღაც დიდი ხნის წინ განვლილ ოქროს ხანის სუსტ და ფანტასტიკურ ნოსტალგიას დანებდნენ და ეს ყოველივე მართლმადიდებლური სახელმწიფოებრიობის ერთადერთ იდეალად წარმოისახონ. ეს შეიძლება ცრუ ღვთისმოსაობის განსაკუთრებულად დამღუპველი სახე გახდეს იმისათვის, ვინც მართლმადიდებლური წარსულის პოლიტიკურ ფორმებს (როგორიც, მაგალითად, ბიზანტიის იმპერიაა) მოციქულთა ეკლესიის არსში აურევს. ქრისტიანი ხელისუფალნი ეკლესიას განსაკუთრებულ უპირატესობებს შეიძლება იმიტომაც ანიჭებდნენ, რომ იგი მართლმადიდებელი ქრისტიანებით დასახლებულ პოლიტიკურ სივრცეებში მკაფიოდ მართლმადიდებლურ ეთოსად (ethos) შეექმნათ და ჩამოეყალიბებინათ. თუმცა, ამ უპირატესობებს, ეკლესიის გარკვეულ შეზღუდვებთან დაკავშირების გამო, გარკვეული არასასიამოვნო დამატებითი შედეგებიც მოჰქონდათ. ძალიან ხშირად, მართლმადიდებელი ეკლესია ეროვნული, ეთნიკური და რელიგიური იდენტობის შეზავებას ეთანხხმება. შესაბამისად, რწმენის გარეგნული ფორმები და ენა (მათი ჭეშმარიტი შინაარსისაგან საკმაოდ განსხვავებით) ქრისტიანული ერთგულების მოჩვენებითობის საფარველქვეშ დამალული ნაციონალური და კულტურული ინტერესების წამოწევის იარაღი ხდება. ეკლესიას კი ეს ხშირად აბრკოლებს, რომ, საკუთარი მოწოდებისამებრ, ყველა ერს სახარება უქადაგოს.

§11 კონსტანტინოპოლის 1872 წლის კრებაზე ეთნოფილეტიზმი (რაც მართლმადიდებლური რწმენის ეთნიკურ და ეროვნულ იდენტობებზე დაქვემდებარებას ნიშნავს) დაიგმო. საკუთარი კულტურისადმი სიყვარული საპატიო და, ამასთანავე, კეთილშობილური გრძნობაცაა, რაც სხვა კულტურების მშვენიერებისა და კეთილშობილების აღიარებისა და ყველა კულტურათა ნაყოფიერი შეზავების სურვილთანაა დაკავშირებული. პატრიოტიზმი იქამდეა სათნო და ჯანსაღი გრძნობა, სანამ საკუთარ თავში სათნოებას ან მორალურ სიკეთეს არ დაუპირისპირდება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც რომელიმე ქვეყანა აბსოლუტურად უსამართლოდ ან დამანგრეველად მოქმედებს, თუმცა, ქრისტიანებისთვის კატეგორიულად აკრძალულია,

რომ კულტურული, ეთნიკური ან ეროვნული იდენტობის კერპი შექმნან. არ შეიძლება, ქრისტიანული ცნობიერებისთვის მისაღები „ქრისტიანული ნაციონალიზმი“ ან ნებისმიერი სხვა სახის ნაციონალიზმი არსებობდეს. სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნოთ განვითარებული მსოფლიოს ბევრ ნაწილში ძალიან ცბიერი იდეოლოგიების (მათ შორის ნაციონალიზმის აგრესიული ფორმისა და ღვთისმგმობელი რასობრივი თეორიების) მოულოდნელი აღორძინება. რასისტული უსამართლობის წიაღში შობილი დანაშაულებები (იგულისხმება ადრეული ახალი დროის[12] ახალი რასობრივ ხაზებს შორის არსებული, კერძო მონობიდან მოყოლებული სამხრეთ აფრიკული აპარტეიდის ან შეერთებულ შტატებში ლეგალური სეგრეგაციის მოგვიანო რეჟიმებამდე ჩადენილი დანაშაულები და ძალადობის ყველა ფორმა, რომელიც, როგორც ორგანიზებული, ასევე, შემთხვევითი იძულების ფორმას იყენებდა), რა თქმა უნდა, მთელი თანამედროვე დასავლური ისტორიის ორგანული ნაწილია, მაგრამ თავად რასისტული იდეოლოგია, მეთვრამეტე საუკუნის დასასრულიდან, მეოცე საუკუნის დასაწყისამდე არსებულ პერიოდში ჩამოყალიბებული ფსევდო-სამეცნიერო ცრურწმენების ერთგვარი მომაკვდინებელი ნაყოფია. რეალურად, ნამდვილი სამეცნიერო მიღწევები (განსაკუთრებით, მოლეკულური ბიოლოგიისა და გენური ინჟინერიის სფეროებში) რასობრივი განსხვავების (ან ადამიანებს შორის არსებული განსხვავებული გენეტიკური ქსოვილის) ცნებას აგვიღწერენ, როგორც ბიოლოგიურად უსაფუძვლო მანკიერ წარმოსახვასა და რასობრიობის მავნე გაგებას, რაც გვიანი თანამედროვეობის პერიოდის კონცეპტუალურ ნაწილად რჩება. ამაზე მეტად სახარებას, შეუძლებელია, რაიმე ეწინააღმდეგებოდეს. არსებობს ერთადერთი რასა, რომელსაც ყველა ადამიანი ეკუთვნის. ყველა მოწოდებულია, რომ შემოქმედი ღმერთის ერთი ერი გახდეს. საერთო კაცობრიობის გარდა, რომლისთვისაც ღვთის ძე ადამიანი გახდა, სხვა ერი არ არსებობს. ძემ, განსხვავებისა და დისკრიმინაციის გარეშე, ყველა ადამიანი გულში ჩაიკრა. სამწუხაროდ, პოლიტიკური და ნაციონალისტური ექსტრემიზმის ახალმა ფორმებმა, ცალკეულ პიროვნებათა მიერ რასობრივი თეორიის მხარდაჭერის შედეგად, სხვადასხვა მართლმადიდებლურ ჯგუფებშიც შეაღწია. ამგვარ ადამიანთა ხედვებს მართლმადიდებელი ეკლესია განურჩევლად გმობს და მათ ქრისტეს სხეულში სრული სინანულითა და აღსარებით დაბრუნებისკენ მოუწოდებს. ყოველი მართლმადიდებელი თემი, როდესაც ამგვარ ადამიანებს საკუთარ წიაღში აღმოაჩენს და ვერ შეძლებს, რომ მათ საკუთარ ბოროტ განზრახვებზე უარი ათქმევინოს, ვალდებულია, რომ ამხილოს, დაგმოს და განაგდოს ისინი. ნებისმიერი საეკლესიო თემი, რომელიც ამას ვერ აღასრულებს, ის ქრისტეს ღალატობს.

§12 იმისდა მიუხედავად, მართლმადიდებელი ქრისტიანები საკუთარ თავს თუ რომელ პოლიტიკურ წყობილებას მიაკუთვნებენ, ყოველი ევქარისტიული მსახურების შემდეგ ქვეყანას ღვთის მარადიული სასუფევლის მოწმედ უნდა დაუბრუნდნენ. სხვა რწმენის მიმდევრებთან შეხვედრისას, მართლმადიდებელ ქრისტიანებს უნდა ახსოვდეთ, რომ ყველა ადამიანი ღმერთის ცოცხალი და განუმეორებელი ხატია, რაც (ხატისებრობა, გ.ლ.) მათი ბუნებისადმი დაფარულადაა მინიჭებული. პოლიტიკური ძალისა და

კანონის იძულების გამოყენებით ქრისტიანულ რწმენაში დაწინაურებას არავინ არ უნდა ესწრაფვოდეს. მართლმადიდებლურ ქვეყნებში ამგვარად მოქცევის ცდუნება ხშირად იყო და, ზოგიერთ შემთხვევაში, დღესაც განსაკუთრებულად მწვავედ დგას. თანამედროვე დემოკრატიული პოლიტიკის ყველაზე უფრო მორალურად განმხრწნელი ასპექტთაგანი იმ ადამიანების ცილისწამებისა და შეურაცხყოფის (ხანდახან დემონიზებისაც კი) ტენდენციაა, რომლებსაც რამეში არ ეთანხმებიან. რეალურად, შესაძლოა, პოლიტიკურის გარდა სხვა სივრცე აღარც იყოს, სადაც თანამედროვე ქრისტიანმა ეპოქის მოჭარბებული ტენდენციები უფრო გულმოდგინედ უნდა გადალახოს და მათ ნაცვლად სიყვარულის მცნების დამორჩილებას ესწრაფოს. მართლმადიდებელ ქრისტიანებს ადამიანის უფლებების ენისადმი პატივისცემა მართებთ, მაგრამ, არა იმიტომ, რომ ეს სრულიად საკმარისია იმ ყველაფრისათვის, რასაც შემოქმედი თავისი ქმნილებისათვის განიზრახავს, არამედ, იმიტომ, რომ იგი ყოველი პიროვნების ხელშეუხებელ უნიკალურობასა და ადამიანური სიკეთეების ნაციონალურ ინტერესებზე მაღლა დაყენების უპირატესობას იცავს, როდესაც ისეთ საკანონმდებლო და ეთიკურ ელემენტებს გვთავაზობს, რომლის თითოეული ნაწილის, როგორც ნორმის, გარკვეულ ძირითად შეთანხმებებზე შეჯერება შესაძლებელია. ეს ენა ისეთ პოლიტიკურ გაერთიანებებში არსებულ განყოფათა განკურნებას მიემართება, რომლებშიც ძალიან განსხვავებული მოსაზრებების მქონე პიროვნებებს თანაარსებობა უწევთ. ის საზოგადო პრაქტიკასა და ეთოსში (წესში) თითოეული ადამიანის განუსაზღვრელი და თანდაყოლილი ღირსებისადმი პატივისცემას ითვალისწინებს (ღირსებაა, რა თქმა უნდა, ის, რომ ეკლესია ღმერთის ხატისებრობის შედეგს ყველა ადამიანში ხედავს). მართლმადიდებელმა ქრისტიანებმა უნდა გააცნობიერონ, რომ საერთო სოციალური თანხმობის ენა, რომელიც ადამიანის ღირსებისა და თავისუფლებისადმი ხელშეუხებლობას კატეგორიულად მოითხოვს, სამართლიანი საზოგადოების დაცვისა და განვითარებისთვის არის საჭირო, ადამიანის უფლებათა ენას კი აქვს ძალა, რომ ეს ყოველივე ხილულად სრულყოს. რა თქმა უნდა, მართლმადიდებელ ქრისტიანებს არც კულტურული და არც სოციალური პლურალიზმის რეალობისა არ უნდა ეშინოდეთ. სინამდვილეში მათ თანამედროვე მსოფლიოში არსებულ კაცობრიობის კულტურებთან დინამიკური შეერთებით გახარება შეუძლიათ, რომელი კულტურებიც ჩვენი ეპოქის განსაკუთრებულ სიამაყეთაგანია. ქრისტიანებმა კეთილად უნდა მიიღონ ისიც, რომ კაცობრიობის ყველა კულტურა, თავისი ყველა განსხვავებულობითა და მშვენიერებით, სამოქალაქო და პოლიტიკური სივრცეების შევსებას უფრო და უფრო უახლოვდება. რეალურად ეკლესია სახელისუფლებო და საკანონმდებლო წესრიგს, რომლებიც ასეთ პლურალიზმს მაქსიმალურად ეხმარებიან, მხარს უნდა უჭერდეს. უფრო მეტიც, ეკლესია მსოფლიოში არსებულ კულტურათა სიმრავლისა და თანამედროვე საზოგადოებაში მათი მშვიდობით თანაარსებობის მოწყალე ძღვენის გამო ღმერთს უნდა მადლობდეს.

§13 ხშირად თქმულა, რომ სეკულარულ ეპოქაში ვცხოვრობთ, თუმცა, ეს რელიგიის ყველა საზოგადოებიდან სრულად გაქრობას არ ნიშნავს. რეალურად, რელიგია

ზოგიერთ საზოგადოებაში, უწინდელივით, ძლიერ კულტურულ ძალად რჩება. დასავლეთის ყველაზე უფრო ლაიცისტურ[13] და სეკულარულ ერებშიც, რელიგიური რწმენა და მოქმედებები რჩებიან უფრო მეტად ცოცხალი, ვიდრე ეს შეიძლებოდა ყოფილიყო, თუკი რელიგიური იმპულსი ადამიანური კულტურის უბრალოდ შემთხვევითი ასპექტი იქნებოდა. უმეტესი თანამედროვე ქვეყნების კონსტიტუციების მიხედვით (ისეთებისაც კი, რომლებიც უპირატეს ეკლესიას ფორმალურად აღიარებენ), რელიგიური გაერთიანებებისაგან თავისუფალი საზოგადოებრივი სივრცისა და საეკლესიო ავტორიტეტისაგან თავისუფალი პოლიტიკური წესრიგის უპირატესობაა დაშვებული. რეალურად, დღეს ბევრს სჯერა, რომ დემოკრატიული საზოგადოების არსებობა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუკი რელიგია მხოლოდ პირად სივრცეში იარსებებს და მას რაიმე პოლიტიკური როლი აღარ ექნება. ეს, რა თქმა უნდა, არაგონივრული მოთხოვნაა, რომელიც დესპოტური ხდება, თუკი იძულების ლეგალური მნიშვნელობის გამოყენებით სრულდება. ადამიანის ეთიკური რწმენები კონცეპტუალურ სიცარიელეში არ ვითარდებიან. რელიგიური თავდადება იმ ფორმის განუყოფელი ნაწილია, რომელშიც მრავალი გაერთიანება და პიროვნება ყველა საერთო სიკეთეს, მორალურ ერთობასა და სოციალურ პასუხისმგებლობას მოიაზრებს. საჯარო სივრცეში რწმენის ხმის მდუმარება ძალიან ბევრი მოქალაქის სინდისის დადუმება და მათი მთელი სამოქალაქო ცხოვრების აკრძალვაცაა. თუმცა, ამავდროულად, სახელმწიფოსა და ეკლესიას (ან სამეფო ტახტსა და საკურთხეველს) შორის არსებული უძველესი შეთანხმების დარღვევა ქრისტიანული კულტურისთვის დიდი წყალობა გახდა. მან ეკლესია ერთგვარი და საკმაოდ ხშირი მონობისგან, ამქვეყნიურ ძალაზე ბიწიერი დაქვემდებარებისა და ბოროტებაში თანამონაწილეობისაგან გაათავისუფლა. რეალურად, ეკლესიის სერიოზული ინტერესიცაა, რომ სახელმწიფოს ინტერესებთან ქრისტიანობის ინსტიტუციონალური ასოციაცია მაქსიმალურად უმნიშვნელო იყოს, იმიტომ კი არა, რომ ეკლესია საზოგადოებიდან სრულად განშორებას ესწრაფვის, არამედ – რადგანაც იგი მოწოდებულია, რომ მსოფლიოს სახარება უქადაგოს და ამქვეყნიურ ამბიციებთან უკომპრომისო ალიანსით ყველაფერში ღმერთს ემსახუროს. მართლმადიდებელი ეკლესია მადლიერი უნდა იყოს, რომ, ღმერთის განგებით, ეკლესიას უძველესი საქრისტიანოს უმეტეს ტერიტორიაზე პოლიტიკური უფლებები შეეკვეცა, ამგვარად მას (ეკლესიას, გ.ლ.) შეუძლია ყველა ერისა და პიროვნებისადმი მიმართულ საკუთარ მისიას უფრო მორწმუნედ მოექცეს და შეეწიოს. რა თქმა უნდა, ეკლესიას ისეთ პოლიტიკურ წყობასთან მშვიდობით თანაარსებობა შეუძლია, რომელიც მას თეოლოგიურ კონფორმიზმს არ აძალებს, რამდენადაც ასეთი წყობა ეკლესიას საშუალებას აძლევს, რომ ყველა ადამიანის გონებისა და სინდისისათვის უფრო მეტად წმინდა და მიმზიდველი იყოს.

§14 ყოველივე ეს, არავითარ შემთხვევაში, არ უშლის ხელს, საერთო სიკეთისა და საქველმოქმედო საქმიანობაში, ეკლესიის პოლიტიკურ და სამოქალაქო ხელისუფლებისა თუ სახელმწიფო ორგანოებთან პირდაპირ და მტკიცე თანამშრომლობას. ქრისტიანობამ, რელიგიური უმცირესობის მოძრაობის სახით,

საკუთარი არსებობა ისეთი საიმპერიო კულტურის წიაღში დაიწყო, რომელიც მისადმი მტრულად ან გულგრილად იყო განწყობილი. შემდგომ პერიოდებშიც, თუნდაც, ეპიდემიების, შავი ჭირისა თუ შიმშილობის დროს, ქრისტიანებმა მოყვასისადმი მსახურებით გაითქვეს სახელი. პირველი საუკუნეების განმავლობაში სასოწარკვეთილი ადამიანების მიმართ ეკლესიის ზრუნვამ (განსაკუთრებით, ქვრივ-ობლებისადმი, რომლებიც ძველ მსოფლიოში უპოვრები და დიდ განსაცდელში მყოფი ადამიანები იყვნენ) იგი დასავლური საზოგადოების სოციალური ქველმოქმედების პირველ ორგანიზებულ ინსტიტუტად ჩამოაყალიბა. უფრო მეტიც, იმპერიის გაქრისტიანების შემდეგ, საიმპერიო საზოგადოების სამართლებრივ და სოციალურ აგებულებაში, ეკლესიის საქველმოქმედო რესურსებისა და სოციალური პასუხისმგებლობის გაზრდაზე მნიშვნელოვანი ცვლილება არ მომხდარა. ქრისტიანული იმპერიის პერიოდში ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის ძირითადი მახასიათებლის პოვნა შეუძლებელია. მათ შორის კავშირს როგორც კეთილი, ასევე ბოროტი ნაყოფიც ჰქონდა, მაგრამ დასავლურ კონცეფციაში საერთო სიკეთის შესამჩნევად გაზრდის ეჭვქვეშ დაყენება არავის შეუძლია, იგი ქრისტიანული ცნობიერების ანტიკური პერიოდის სოციალურ საფუძვლებში გაცნობით დაიწყო და შემდეგ თანდათან სწრაფად განივრცო. თავის დროზე, საერთო სიკეთისაკენ მიმართული ეს ურთიერთთანამშრომლობა, მართლმადიდებლურ ტრადიციაში იმპერატორ იუსტინიანეს ნოველებში, ტერმინ „სიმფონიით“ იყო დაცული.[14] ამ საზიარო პრინციპმა პოსტ-ოსმალურ ეპოქაში მრავალი მართლმადიდებლური ერის აგებულებაზე იმოქმედა. ამასთანავე, დღეს სიმფონიის პრინციპს შეუძლია, რომ ეკლესიას ხელისუფლებასთან ისეთი თანამოქმედებისაკენ უწინამძღვროს, რომელიც საერთო სიკეთისა და უსამართლობის წინააღმდეგ საბრძოლველად იქნება მიმართული. თუმცა, სიმფონიის პრინციპით საზოგადოებაზე მართლმადიდებლური სარწმუნოების ზემოქმედებისა და ეკლესიის პოლიტიკურ ძალად დაწინაურების გამართლება არ შეიძლება. უფრო სწორად, მან უნდა გაახსენოს ქრისტიანებს, რომ საერთო სიკეთე (როგორც ცალკეული თავისუფლებების, კერძო ინტერესებისა და თანამშრომლობის ძალის ფორმალური დაცვის საპირისპირო მხარე) დემოკრატიული პოლიტიკური წყობილების ნამდვილი ბირთვია. სოციალური ცხოვრების ცენტრში, საერთო სიკეთის ენის გარეშე, მთელი დემოკრატიული პლურალიზმი წმინდაწყლის ინდივიდუალიზმად, თავისუფალი ბაზრის აბსოლუტიზმად და მომხმარებლობის (კონსუმერიზმის) სულიერ ხრწნილობამდე ადვილად გადაგვარდება.

III. ადამიანის ცხოვრების გზა

„განსწმიდნე სულნი ჩუენნი და ჴორცნი რაჲთა გმსახურებდეთ ყოველთა დღეთა ცხორებისა ჩუენისათა“

§15 ამქვეყნად ადამიანის ცხოვრებისეული გზა — თუკი ის თავის ბუნებრივ აღსასრულამდე აღწევს – დედის წიაღში ჩასახვიდან იწყება, მოიცავს ბავშვობას ზრდასრულობამდე და სხეულის გარდაცვალებისას სრულდება. მაგრამ თითოეული

სულის ცხოვრების საფეხურები განსხვავებულია და ნებისმიერი გზა, რომელსაც შეიძლება ადამიანი დაადგეს (მნიშვნელობა არა აქვს, ეს არჩევანით მოხდება თუ არა), შეიძლება, ან განწმენდისკენ, ანაც სულიერი მონობისკენ მიდიოდეს. თითოეული ადამიანის ცხოვრებაში არსებობს იმის უნიკალური შესაძლებლობები, რომ თავად, ასკეტური თვითუარყოფის გზით, ღმერთის სიყვარულს ემსახუროს და გარდაიქმნას. სათანადოდ განვლილი ცხოვრების მართებული დასასრული ღმერთის „პირისპირ“ ხილვაა (1 კორ. 13:12), რაც განღმრთობას *(theosis)* გამოხატავს: „საყვარელნო, ამიერიდან ღვთის შვილები ვართ, მაგრამ ჯერ არ გამჟღავნებულა, რანი ვიქნებით. ვიცით მხოლოდ, რომ, როცა გამომჟღავნდება, მისივე მსგავსნი ვიქნებით, რადგანაც ვიხილავთ მას, როგორიც არის“ (I იოან. 3:2). თითოეული ადამიანის ცხოვრებას უამრავი საცდური სდევს თან, განსაკუთრებით კი – იმ გზებზე მსლველობისას, რომელსაც საკუთარი უპირატესობისა და განდიდებისაკენ მივყავართ, და არა – საღვთო სიყვარულისა და მოყვასისადმი თანაგრძნობისაკენ. ეკლესია ისწრაფვის, რომ, ამქვეყნად, ქრისტიანის სულს გასავლელ გზაზე თან მიჰყვებოდეს, არამხოლოდ რჩევას აძლევდეს მას, არამედ სიწმინდის მიღწევის გზასაც უჩვენებდეს. ნებისმიერ საფეხურზე ეკლესია (მორწმუნეს გ.ლ.) ქრისტეში ცხოვრების სხვადასხვაგვარ გზას, ქრისტიანული ცხოვრების სხვადასხვა მოწოდებას სთავაზობს, რომლებსაც ერთი საერთო მოწოდება აერთიანებს: ღვთის სასუფევლისა და მისი სიმართლის ძიება.

§16 მართლმადიდებელი ეკლესიის მოწიწება ღვთის ხატისადმი (ჩვენს შორის ყველაზე უმცირესებშიც) არამხოლოდ ჩვილთა ნათლისღებაში გამოიხატება, არამედ იმაშიც, რომ მათ ევქარისტიის მიღების შესაძლებლობა დაუყოვნებლივ ეძლევათ. ქრისტეს მოწაფეებისადმი შეგონებებში, ყველაზე დიდი საკრამენტული მტკიცებულება ისაა, რომ ღვთის სასუფეველში ცხოვრების ჭეშმარიტი მოდელი ბავშვთა უმანკოებაში იპოვონ (მთ. 19:14; მარკ. 10:14-16; ლკ. 18:16-17). თავად ქრისტეც დედის წიაღიდან მოევლინა ქვეყნიერებას, განვლო ჩვილობაცა და ყრმობაც და ემატებოდა სიბრძნე და სხულებრივი სიმაღლე (ლკ. 2: 52). ადამიანური ცხოვრების ყოველი ასპექტი ღვთის მარადიული ძის მიერაა განწმენდილი და განდიდებული; მაგრამ, ყრმობისა და ბავშვობის სისუსტისა და დამოკიდებულების მიმართ, ძე განსაკუთრებულად განაცხადებს ღმერთის სიყვარულის სიდიადეს გამოხსნის საქმეში. შესაბამისად, ჩვილთა უმანკოება ზეაღმატებული სიწმინდეა, ეს არის ჩვენ შორის არსებული სასუფევლისეული მყოფობის ნიშანი და, ამიტომაც ეს სიწმინდე ეკლესიისთვის განუწყვეტელი ზრუნვის საგანი უნდა იყოს. ნებისმიერი სამართლიანი საზოგადოებისათვის უმთავრესი საზრუნავი უნდა გახდეს ბავშვების დაცვა. ქრისტე გვაფრთხილებს: „ხოლო ვინც აცდუნებს ერთ ამ მცირეთაგანს, რომელსაც მე ვწამვარ, უჯობს წისქვილის დოლაბი დაჰკიდონ ყელზე და ზღვის უფსკრულში დანთქან“ (მთ. 18:6; შდრ. მარკ. 9:42, ლკ. 17:2). ყრმათა უმანკოების წინააღმდეგ ჩადენილი ცოდვები განსაკუთრებით ამაზრზენია. ღვთის წინაშე ჩადენილ ცოდვათაგან ეკლესიისთვის ყველაზე მეტად შეურაცხმყოფელი და შეუწყნარებელი ბავშვებზე სექსუალური ძალადობაა. ქრისტეს სხეულის წევრები ბავშვებს მსგავსი ძალადობისაგან

უნდა იცავდნენ და, როგორც კი შეიტყობენ ბავშვის წინააღმდეგ ჩადენილი სექსუალური ძალადობის შესახებ, დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ სამოქალაქო ხელისუფლებასა და ადგილობრივ ეპისკოპოსს. უფრო მეტიც, მართლმორწმუნე ქრისტიანი ვალდებულია, ამხილოს ისინი, ვინც საზოგადოებას მსგავსი დანაშაულის შესახებ უმალავს ან კანონის წინაშე პასუხისგებისაგან იცავს; ეს დანაშაული არც რომელიმე მღვდელმა არ უნდა შეუნდოს დამნაშავეს მანამ, სანამ ის კანონის წინაშე პასუხს არ აგებს. ეკლესია, ასევე, მოწოდებულია, მთელ მსოფლიოში მაცხოვრებელი ბავშვები დაიცვას (იმ ეპოქაშიც კი, როდესაც ბავშვთა სიკვდილიანობა და დაავადებანი გლობალურად მცირდება), რომელთაც კვლავ ემუქრებათ ომის, დამონების, სიღარიბის, ბავშვთა ექსლუატაციის, ნაადრევი ქორწინების (განსაკუთრებით მცირეწლოვან გოგონებს) საფრთხეები. მანამ, სანამ მსოფლიოს ნებისმიერ ნაწილში ამგვარი პირობებია, ეკლესია ამ ყოველივეს აღსაკვეთად მოქმედებას არ უნდა წყვეტდეს; იგი უნდა მიმართავდეს სამოქალაქო ხელისუფლებას, ეწეოდეს ქველმოქმედებას, ჩართული იყოს გაშვილების საკითხებში და შუამდგომლობდეს ბავშვების სახელით. ეკლესია, ასევე, პასუხისმგებელია, იღვწოდეს ბავშვთა პირობების გაუმჯობესებისათვის იქ, სადაც არ არის სუფთა წყლის საკმარისი მარაგი, სათანადო სამედიცინო მომსახურება, ვაქცინაციები და სხვა აუცილებელი პირობები. ეკლესია, არ შეიძლება, ოდესმე დაშვრეს ბავშვებისადმი ახსნით, თუ როგორ უყვარს ისინი ღმერთს; ასევე, შეუძლებელია, შეწყვიტოს აღფრთოვანება მათი ასაკისათვის დამახასიათებელი ქარიზმით: უეცარი სიხარულით, ცნობისმოყვარეობით, წარმოსახვითა და ნდობით. ქრისტეს სწავლების თანახმად, ზრდასრულნი, ამ თვისებებში, ბავშვებს უნდა ბაძავდნენ: „ამრიგად, ვინც დაიმდაბლებს თავს, როგორც ეს ბავშვი, ის არის უდიდესი ცათა სასუფეველში“ (მთ. 18:4).

§17 ჩვენს დროში, ისე, როგორც არასოდეს, დღის განმავლობაში ბავშვები ძალიან ხშირად იყენებენ ელექტრონულ მოწყობილობებსა და საინფორმაციო საშუალებებს, რომლებიც ადამიანებს, ძირითადად, მატერიალური საგნების შეძენისკენ მოუწოდებენ. როგორც 2016 წლის საშობაო ეპისტოლეში, მისმა ყოვლადუწმინდესობა ბართლომეოსმა განაცხადა: „ბავშვების და მათი მგრძნობიარე სულისათვის საფრთხეა საინფორმაციო საშუალებების უარყოფითი გავლენა, განსაკუთრებით, ტელევიზიისა და ინტერნეტის, რომელიც დიდ ადგილს იკავებს მათ ყოველდღიურობაში. საზოგადოებრივი გარემოს საფუძვლიანი ცვლილებაც ბავშვის სულს აზიანებს. ყოვლისმომცველი ეკონომიკური აფეთქება ადრეული ასაკიდანვე გარდაქმნის მათ მომხმარებლებად, ევდემონიზმი სწრაფად კლავს მათში ბავშვურ უმწიკვლოებას.“[15] ეკლესიასა და მშობლებს მუდამ უნდა ახსოვდეთ, რომ ბავშვობაში სურვილები და, მათთან ერთად, ხასიათი ყალიბდება. უდიდესი დაუდევრობაა, ბავშვებს უფლებას მივცეთ, ისე ჩაეფლონ წარმავალი მატერიალური გასართობებითა და უმნიშვნელო მატერიალისტური მისწრაფებებით სავსე სამყაროში, რომ დაკარგონ სიყვარულის, სხვებზე ზრუნვის, მოწიწების, სულგრძელების, მცირედით გახარების უნარი, და საკუთრების მოხვეჭისკენ ისწრაფვონ. ქრისტე თავის მიმდევრებს მოუწოდებდა, მიებაძათ ბავშვების სიწრფელისათვის, თანამედროვე კაპიტალისტური კულტურა კი

ცდილობს, რომ ბავშვებს სწორედ ეს ძვირფასი თვისება წაართვას და გაუმაძღარი მომხვეჭელობისკენ მომართოს ისინი. დღეს, მასობრივი კომუნიკაციების ეპოქაში, ზრდასრული ქრისტიანებისათვის ბავშვების დაცვა წარმოადგენს ყველაზე უმთავრეს ვალდებულებას. წმ. იოანე ოქროპირი მშობლებს ურჩევს, რომ ისინი „გრძნობათა დარაჯნი“ იყვნენ[16]. დარაჯი ტირანი არ არის, როგორც ოქროპირი განმარტავს, ის აკონტროლებს ბავშვის წვდომას გარე სამყაროსადმი და ამით ის (მშობელი გ.ლ.) მას (შვილს გ.ლ.) აღჭურავს ცხოვრების შემდგომ საფეხურებზე საკუთარ სურვილთა მართვის უნარით. დარაჯის ეს ფუნქცია, შესაძლოა, დღეს კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყოს, ვიდრე უწინ, თუ გავითვალისწინებთ, რაოდენ დიდ გავლენას ახდენს ჩვენს გრძნობებზე თანამედროვე მასობრივი საინფორმაციო საშუალებათა უწყვეტი ნაკადი და მათ მიერ მოწყობილი სანახაობანი.

§18 თანამედროვეობამდელ საზოგადოებათა უმეტესობაში ბავშვობის ხანას მოჰყვებოდა ზრდასრულობა, რაც, ძირითადად, შრომითი ცხოვრების დაწყებით აღინიშნებოდა. დღეს კი იძულებულნი ვართ, ვიფიქროთ ბავშვობასა და ზრდასრულობას შორის გარდამავალ პერიოდზე, როგორც შუალედურ რგოლზე, რომელიც, შეიძლება, ხანმოკლე არც იყოს. მაგალითად, მრავალი ზრდასრული ახალგაზრდა არ ჩქარობს მშობლიური სახლიდან წასლვას, რათა დაადგნენ საკუთარ გზას და იპოვონ პირადი მოწოდება. მრავალ შემთხვევაში კი, ისინი კიდევ უფრო დიდხანს იცდიან, ვიდრე არ დაქორწინდებიან, შვილები არ გაუჩნდებათ და საკუთარი ოჯახები არ ეყოლებათ. ისევე, როგორც მრავალ სოციალურ ცვლილებათა შემთხვევაში, ამ რეალობასაც თავისი უპირატესობანი და საფრთხენი ახასიათებს. მთავარი სარგებელი ისაა, რომ ახალგაზრდებს დიდი შუალედი ეძლევათ საკუთარი მოწოდებისა და ნიჭის აღმოსაჩენად, რაც მათ კარიერული შფოთისაგან საკმაოდ ათავისუფლებს. მთავარი საფრთხე კი ის გახლავთ, რომ, ზოგიერთ შემთხვევაში, მსგავსი გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო პერიოდი, შეიძლება, მერყეობის, ან სულაც დაყოვნების ჩვევად იქცეს; ეს კი, შესაბამისად, გამოიწვევს დამოკიდებულების, უმწიფრობისა და გაურკვევლობის მდგომარეობის არაბუნებრივად გახანგრძლივებას. აქ კი ეკლესია მზად უნდა იყოს იმისათვის, რომ ახალგაზრდებს სათანადო რჩევა მისცეს და გაამხნევოს ისინი, გადადგან ნაბიჯები რწმენით, კეთილგონიერებითა და ლოცვით; სერიოზულად შეეცადონ, რომ აღმოაჩინონ ღმერთის მიერ ბოძებული განსაკუთრებული ნიჭები, რაც მათ ცოდვით დაცემული ქვეყნიერების შეცვლისა და ღვთის სამართლიანობისა და წყალობის მსახურებისათვის აქვთ მიცემული. ეკლესია ნათლად უნდა აცნობიერებდეს, რომ ადამიანის ცხოვრების სწორედ ამ საფეხურზე სექსუალობა და სექსუალური სურვილის ფორმები განსაკუთრებული შეშფოთების საგანი ხდება, ხშირ შემთხვევაში კი — შიშისა და დაბნეულობის მიზეზიც. თავად ეს ადამიანის მდგომარეობისათვის ახალი სულაც არ არის, მაგრამ, ჩვენს ეპოქაში, სექსუალობა იქცა ცხოვრების კიდევ ერთ სფეროდ, რომელიც მომხმარებლობის ლოგიკითა და ბაზრის დინამიკით იმართება. სექსუალობა, რომელიც დაძაბულობას იწვევს თავისი ცვალებადი და გავრცელებული ხასიათით, დღეს სწორედ იმავე ზომით

იქცა მოხმარების პროდუქტად, რა ზომითაც იგი ადამიანის პიროვნების თანდაყოლილი პარამეტრია. ეკლესიამ და მორწმუნე საზოგადოებამ ახალგაზრდებს უნდა შესთავაზონ ისეთი სექსუალური ურთიერთობების ხედვა, რომელი ურიერთობაც არის წმინდა ქორწინებით განწმენდილი, სხეულის, გონებისა და სულის მჭიდრო კავშირის განმაცოცხლებელი და განმაახლებელი. სხეული არის „ტაძარი სულიწმინდისა“ (I კორ. 6:19) და ის (სხეული, გ.ლ.) საკუთარი სექსუალური ბუნებითაც კი მოწოდებულია, გამოავლინოს თავისი, როგორც ღვთის სამკვიდრებლის სიწმინდე.

§19 ჩვენ ვცხოვრობთ ეპოქაში, როდესაც სექსუალობა სულ უფრო და უფრო აღიქმება პირად საქმედ. თანამედროვე სამყაროში უამრავი პოლიტიკური და სოციალური დებატი მიმდინარეობს ჰეტეროსექსუალურ, ჰომოსექსუალურ, ბისექსუალურ და სხვა სექსუალურ „იდენტობათა“ მოთხოვნებისა და უფლებების თაობაზე. სიმართლეა ის, რომ როგორც მარტივი ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური მოვლენა, ადამიანის ინდივიდუალური სექსუალური სურვილი არ არის მხოლოდ პიროვნული არჩევანის შედეგი. ხორცისა და გულის მრავალი საწადელი და მიდრეკილება, დიდწილად, ჩვენს დაბადებასთან ერთად თან დაგვყვება და ადრეულ ასაკშივე (ხდებიან რა მისაღებნი ან დამაბრკოლებელნი), ჩვენში, დადებითად ან უარყოფითად მოქმედებენ. უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერი ადამიანი თავისუფალია და, მისი სექსუალური შეხედულების გამო, ხელისუფლებას არ აქვს უფლება, სდევნოს ან სამართლებრივად დააზიანოს იგი. მაგრამ ეკლესიისათვის ადამიანის იდენტობა გამოიხატება არა მისი სექსუალობით, არამედ, უფრო მეტად, ღვთის იმ ხატებისა და მსგავსების მეშვეობით, რომელიც ყველა ჩვენგანში მყოფობს[17]. ყველა ქრისტიანი მოწოდებულია, თითოეულ ადამიანში ყოველთვის ეძიოს ღვთის ხატება და მსგავსება და წინაღუდგეს ყოველგვარ დისკრიმინაციას მოყვასისადმი, მიუხედავად მისი სექსუალური ორიენტაციისა. ქრისტიანები მოწოდებულნი არიან, რომ სექსუალური ზომიერებით იცხოვრონ, როგორც ქორწინებაში, ასევე – მის მიღმა; სწორედ იმიტომ, რომ ქმნილ წესრიგში სექსუალური სიცოცხლე განიწმინდოს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქრისტიანები არ არიან მოწოდებულნი ვინმესადმი ძალადობისა და ზიზღისკენ.

§20 ზრდასრულმა მართლმადიდებელმა ქრისტიანმა (ქალმა თუ მამაკაცმა) სამი შესაძლო გზიდან ერთ-ერთი უნდა აირჩიოს: ოჯახური ცხოვრება, მონასტრული ცხოვრება ან უქორწინებლობა. მიუხედავად იმისა, რომ ეს გზები ერთმანეთისაგან გამოხატვის ფორმით განსხვავდებიან, მათ აერთიანებთ ქრისტიანული მოწოდება სხვა ადამიანთა უპირობო სიყვარულისა. ტრადიციულად, მართლმადიდებლობა ორ მდგომარეობას აღიარებს: მონასტრულს და ქორწინებაში მყოფობას, თუმცა, ეკლესიისათვის სამწყემსო პასუხისმგებლობის მიტოვება იქნებოდა, არ ეღიარებინა ის, რომ (მიუხედავად წინა თაობებში უქორწინობლობის იშვიათი შემთხვევევებისა), თანამედროვე ეპოქის კულტურული და სოციალური ცვლილების გამო, უქორწინებლობა, შედარებით, ჩვეულებრივი გახდა. ზოგიერთ ადამიანს შეუძლია, ჩამოთვლილ გზათაგან ერთზე მეტს დაადგეს თავისი ცხოვრების განმავლობაში, მაგალითად, დაქვრივებულ კაცს ან ქალს შეუძლია, მონაზვნობის აღთქმა დადოს.

თუმცა, ადამიანებისათვის, ძირითადად, მხოლოდ ერთი გზა არსებობს და ამ გზაზე შედგომილი მოწოდებულია, რომ ემსახუროს ღვთის სასუფეველს და ეძიოს ერთობა ღმერთთან. ადრეულ ეკლესიაში ეს გზა ქალწულებას გულისხმობდა (დროთა განმავლობაში კი ეს მონასტრულ პრაქტიკად ჩამოყალიბდა), რაც დიდ პატივისცემას იმსახურებდა. მაგრამ ეკლესიას ქორწინებაც ესმის, როგორც საიდუმლო, და დაგმო კიდეც მისადმი წინააღმდეგობა.[18] ეკლესიის ისტორიაში ქორწინებით და მონასტრულ ცხოვრებებს შორის ბევრჯერ ყოფილა ერთგვარი დაძაბულობა, თუნდაც მათ სულიერ სარგებლობებთან დაკავშირებით. უმეტესწილად, ეს იყო ქორწინების წინაქრისტიანული გაგების შედეგი; თუმცა, ეს, ასევე, იმ სამწუხარო რეალობის შედეგიც იყო, როცა, არცთუ ისე შორეულ წარსულში, აღმოსავლეთ ქრისტიანულ ტრადიციაში ამ საკითხებზე სულიერი სწავლებები უცოლო, საოჯახო ცხოვრების გამოცდილების უქონელი მამაკაცების მიერ ყალიბდებოდა. დროა, უკუვაგდოთ ეს საზიანო ცრურწმენა (ცოლ-ქმრული ცხოვრების უარყოფა, გ.ლ.) და ვაღიაროთ, რომ ქორწინება ბევრად მეტია, ვიდრე კულტურული ინსტიტუტი ან, უბრალოდ, ადამიანითა მოდგმის გამრავლებისა და შენარჩუნების საშუალება. ქორწინება რომ მხოლოდ ეს ყოფილიყო, მაშინ წმინდა წერილში ქრისტესა და ეკლესიის საკრამენტული და ესქატოლოგიური ერთობა არ იქნებოდა აღწერილი, როგორც საქორწინო კავშირი. წმინდა წერილის თანახმად, ქრისტემ თავისი პირველი სასწაული სწორედ გალილეის კანაში გამართულ ქორწილში აღასრულა. საპირისპიროდ, აღსანიშნავია ისიც, რომ ახალ აღთქმაში უქორწინებლობას მეტად პრაქტიკული ღირებულება აქვს. ქორწინება სიყვარულის საიდუმლოა ან ადამიანური სიყვარულის საკრამენტულ სამყაროში ამაღლება. ეს ერთადერთი საიდუმლოა, რომელიც ღვთის მიერ საკუთარი ნებით შეკავშირებულ ორ ადამიანს გულისხმობს. მისტიკურად კაცი და ქალი, ქმარი და ცოლი, ერთნი ხდებიან, რამდენადაც ცოლ-ქმრული კავშირის შესახებ უწყებულია, რომ „...სამკჳდრებელით შენით, და შეაერთენ მონანი ესე შენნი. შეაუღლენ ესენი ერთითა გონიერებითა, გჳრგჳნოსან ჰყუჱნ ესენი შეერთებითა, ერთჴორც-ჰყავ.“ ეკლესიამ ქორწინების ინსტიტუტი მიიღო (რაც იქამდე ურთიერთობის ფორმა გახლდათ, რომელიც ქონებრივი და იურიდიული ტერმინებით გაიგებოდა და, უპირველესად, საშინაო და საოჯახო საკითხად განიხილებოდა) და გარდაქმნა იგი პიროვნებებს შორის ურღვევ კავშირად, რომელიც ქრისტეს მიერ მისი ეკლესიისადმი სიყვარულს გამოხატავს. ესაა კავშირი, რომელიც, უბრალოდ, ზიარი თანაცხოვრებით, ადამიანის ბუნებას, სხვა მახასიათებლებთან ერთად, მისი ყველა კეთილი ნაყოფით სრულქმნის. რამდენადაც ღვთის ხატება თითოეულ ჩვენგანში სრულად მკვიდრობს, „ადამიანობის ხატება“ ჩვენში, ქალსა და მამაკაცშია განაწილებული. ეს, ასევე, ის კავშირიცაა, რომელიც უწინ სხვადასხვა ინდივიდუალურ სულიერ ძალისხმევებს ერთ სულიერ მოწოდებაში აერთიანებს, რათა გარდაქმნას დაცემული სამყარო და ქრისტეში განღმრთობისაკენ (theosis) გაკვალოს გზა. ამ ცხოვრებაში სიყვარულის არც ერთ საქმეს სხვებისგან განცალკევებით არ აღვასრულებთ. რასაკვირველია, თითოეული საქმე ყურადღების მოყვასისადმი მიმართვას გულისხმობს. მაგრამ ქორწინების კონტექსტში „მოყვასის“ ნამდვილი იდეა ახალ მნიშვნელობას იძენს, რამდენადაც ქორწინებითი ცხოვრება

გულისხმობს ორი ადამიანის ერთ ასკეტურ ურთიერთმიმართებას, რომლის მიხედვითაც, ყოველდღიურად, ერთმა მეორისათვის საკუთარი თავი უნდა გასწიროს და, საბოლოოდ, ერთმანეთს დაემორჩილონ (ეფეს. 5:21). ამგვარად, ქმარი და ცოლი ერთნი ხდებიან ქორწინებაში, როგორაცაა გადმოცემული დაბადების წიგნში (დაბ. 2: 24) და დადგენილია ქრისტეს მიერ: „მიატოვებს კაცი თავის დედ-მამას, შეერთვის თავის ცოლს, და იქნებიან ორივენი ერთ ხორც. ასე რომ, ორნი კი აღარ არიან, არამედ ერთ ხორც. ამრიგად, ვინც ღმერთმა შეაუღლა, დაე, ნუ განაშორებს კაცი“ (მთ. 19:5-6; მარკ. 10:7-8).

§21 უფრო და უფრო იმატებს ისეთ მართლმადიდებლურ ქორწინებათა რიცხვი, სადაც ერთ-ერთი მეუღლე მართლმადიდებელი არ არის. ამგვარი ქორწინებანი უფრო სხვა გამოწვევათა წინაშე დგანან, ვიდრე ის წყვილები, სადაც ორივე მართლმადიდებელია, მაგრამ ასეთი წყვილებიც უნდა აღიქმებოდეს ორი ადამიანის კავშირად, რომელთა ძალისხმევაც მიმართულია ცოდვით დაცემული ქვყენიერების გარდაქმნისკენ და ღმერთთან გაერთიანებისაკენ. მართლმადიდებელი ეკლესია ხშირად ეთნიკურად მრავალფეროვან გარემოში მსხემობს და ქორწინება მართლმადიდებელსა და არამართლმადიდებელს შორის, უდავოდ, მოითხოვს ეკლესიის სამოძღვრო ყურადღებას, როგორც ეს წმინდა და დიდი კრების დოკუმენტში – „ქორწინების საიდუმლო და მისი დამაბრკოლებელი მიზეზები“ – არის განჩინებული: „თითოეული ავტოკეფალიური მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდა სინოდს შეუძლია, გამოიყენოს საეკლესიო იკონომიის შესაძლებლობა დამაბრკოლებელი ქორწინების დროს ეკლესიის წმინდა კანონების პრინციპების გათვალისწინებით და სამოძღვრო განმრჩეველობის სულით, ადამიანის ცხონების მიზნით“[19]. მიუხედავად იმისა, რომ 20 საუკუნე გვაშორებს მოციქულ პავლეს დროიდან, შეიძლება, ჩვენი მდგომარეობა არც კი განსხვავდებოდეს კორინთელ ქრისტიანთა კრებულისგან, რომელსაც სწორედ ამ საკითხის შესახებ სწერდა მოციქული: „რადგანაც ურწმუნო ქმარი მორწმუნე ცოლისაგან განიწმინდება, ურწმუნო ცოლი კი — მორწმუნე ქმრისაგან. თორემ თქვენი შვილები არაწმიდანი იქნებოდნენ, ახლა კი წმიდანი არიან“ (I კორ. 7:14).

§22 ნებისმიერი ქორწინება (იმის მიუხედავად, მასში მყოფი ორივე მეუღლეა მართლმადიდებელი თუ არა), ცოდვის შედეგების გავლენის ქვეშაა მოქცეული. სწორედ იმიტომ, რომ ოჯახი, იმის გარდა, რომ არის უზარმაზარი პასუხისმგებლობის, ემოციური მიძღვნისა და ინტიმურ ურთერთობათა ადგილი, ასევე სივრცეცაა, სადაც, შესაძლოა, ხდებოდეს სხვადასხვარი გონებრივი, ფიზიკური, სექსუალური და ემოციური ძალადობაც. მართლმადიდებელი ეკლესია აღიარებს, რომ ზრდასრულთა უმთავრესი მორალური პასუხისმგებლობა არასრულფასოვან ოჯახში ისაა, რომ ოჯახის ყველაზე მეტად მოწყვლადი წევრები დაიცვან. ეკლესია, ასევე, აღიარებს, რომ მრავალ შემთხვევაში მხოლოდ ქორწინების დასრულება იქნება ოჯახის ყველა წევრის ფიზიკური უსაფრთხოებისა და სულიერი ჯანმრთელობის საწინდარი. ჩვენი ცხოვრების ერთ-ერთი სამწუხარო რეალობა ისაა, რომ ოჯახური ცხოვრება ხშირად ისე ინგრევა, რომ მისი აღდგენა შეუძლებელია. რეალურად, განქორწინება რაღაც უფრო მეტია, ვიდრე ჩვენი,

როგორც დაცემული არსებების დაზიანებულობა; ეს ამ დაზიანებულობის ცოცხალი გამოხატულებაა. მაგრამ განქორწინება არ გამორიცხავს მონაწილე მხარეთა განკურნების, ან განღმრთობის შესაძლებლობას. ამგვარად, ეკლესიის მიერ დაშვებულია მეორედ ქორწინება და, ამასთან, აღიარებს, რომ ეს დაშვებაა და არა – იდეალი. მე-6 მსოფლიო კრების დადგენილებით, განქორწინებულთათვის და ხელმეორედ დაქორწინებულთათვის ევქარისტიის მიღებამდე შვიდწლიანი სინანულია განჩინებული (კანონი 37), თუმცა, ტრულის კრებამ ამ დადგენილებას დაამატა ისიც, რომ ერთი მეუღლის მიერ მეორის მიტოვების შემთხვევაში, მიტოვებულ მხარეს არ დაედება სასჯელი (კანონი 87). საკუთარი სამწყემსთავრო და მამობრივი მზრუნველობიდან გამომდინარე, ღვთისმსახურები, რომლებიც კრებულზე ზრუნავენ, ამას ითვალისწინებენ. მსოფლიო საპატრიარქომ, თავისი სამოძღვრო და მამობრივი წუხილიდან გამომდინარე, იმ სასულიერო პირთა მიმართ, რომლებიც თავიანთ სამრევლოებზე ზრუნავენ, ახლახანს განიხილა გამონაკლისების დაშვება კანონებზე, რომლებიც დაქვრივებული სასულიერო პირების ხელახალ ქორწინებას ეხება. ზოგადად, ეკლესიასთან სინანულით შერიგების არცერთი ცალკეული წესი არ ყოფილა საყოველთაოდ განჩინებული. თითოეული ადამიანის უნიკალურობისა და ყოველი ქორწინების გამორჩეულობის გათვალისწინებით, ეკლესია განქორწინებულებს, თითოეული მათგანის განსაკუთრებული მდგომარეობის შესაბამისად, თანაგრძნობით გამსჭვალულ რჩევას უნდა აძლევდეს.

§23 ქორწინების რიტუალი, შვილიერებასთან დაკავშირებით, მრავალ ვედრებას მოიცავს; რიტუალში ჩართულია მეფსალმუნის ლოცვა იმის შესახებ, რომ ახალდაქორწინებულები შვილიშვილებს მოესწრებიან. ზოგიერთი შვილი, რომელიც ქორწინებით შექმნილ ოჯახს გაამდიდრებს, შეიძლება, წყვილის სექსუალური კავშირის ნაყოფი იყოს, ამას გარდა, სხვა ბავშვები შეიძლება წყვილმა იშვილოს, მაგრამ ყველა ისინი ოჯახის სიწმინდეში და ეკლესიის სხეულში თანასწორად არიან მიღებულნი. მშობლობა სიყვარულის გარდამქმნელი ძალისა და ქმნილებისადმი ღმერთის სიყვარულის გამორჩეული უპირატესობის სიმბოლოა. უფრო მეტიც, ბავშვების კურთხევა ოჯახის მთლიან მოწოდებას გულისხმობს, რომ ერთგვარი ერთობა, გამოხსნილი შესაქმის მიკროკოსმოსის სიმბოლო შეიქმნას; იგი (მოწოდება, გ.ლ.), ასევე, ისეთი ადგილის შექმნასაც მოიაზრებს, რომელიც მისი (ოჯახის, გ.ლ.) უშუალო წრის გარეთმყოფთათვისაც სტუმართმოყვარეა. მიუხედავად იმისა, რომ ჭეშმარიტი სიყვარული ყოველთვის ნაყოფიერია, ნაყოფიერება არ გამოიხატება მხოლოდ შვილიერებით, არამედ – სულიწმიდის სხვადასხვა ნიჭთა მეშვეობით. ესენია: სტუმართმოყვარეობა, მსახურება და სიკეთის აურაცხელი გამოვლინება. დასახელებულთაგან არცერთი არ მიიღწევა იოლად. ბავშვები დიდი კურთხევაა, მაგრამ დაცემულ ქვეყნიერებაზე ყოველ კურთხევას თან სდევს ადამისა და ევას წყევლაც. მშობლობა, ასევე, ასკეტური ღვაწლია, არა მხოლოდ იმიტომ, რომ მშობლებმა საკუთარი ინტერესები მსხვერპლად უნდა გაიღონ შვილების გამო (რაც, შესაძლოა, თავისთავად, დიდი სიხარული იყოს), არამედ იმიტომაც, რომ მშობლები

ვალდებულები არიან დაითმინონ ტანჯვა, შიში და მწუხარება შვილების გამო ან, ზოგჯერ, აღიარონ საკუთარი მარცხი შვილთა აღზრდის პროცესში და, ზოგჯერ, ღვთისმშობლის მსგავსად, მათაც უწევთ, აიტანონ შვილის დაკარგვა, რაც ყველაზე დიდი ტკივილია, რომელსაც სხვა ვერაფერი შეედრება, რომელიც სულს მახვილის მსგავსად ჭრის (ლკ. 2:32). საუკეთესო შემთხვევაში, ორივე მშობელი მონაწილეობს შვილის აღზრდაში, მაგრამ, სიკვდილის, განქორწინების ან სხვა უბედურების გამო, ეს პასუხისმგებლობა მხოლოდ ერთ მშობელს ეკისრება. ამგვარ შემთხვევებში, ეკლესიას, როგორც ქრისტეს სხეულის ოჯახს, განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აკისრია, რათა შესაბამისი მატერიალური, ემოციური და სულიერი მხარდაჭერა გამოიჩინოს. უფრო მეტიც, ეკლესიამ ნათლისღების საიდუმლო ყველა ბავშვისადმი უნდა აღასრულოს, არ აქვს მნიშვნელობა, ის ღვიძლი შვილი იქნება, თუ ნაშვილები.

§24 საკრამენტული კავშირით შეკავშირებული ქალისა და მამაკაცის „ერთ ხორცად“ ქმნა მხოლოდ შვილიერებით არ განისაზღვრება, მიუხედავად იმისა, რომ დაბადების წიგნში ამ ტერმინის გამოყენება, უმთავრესად, სწორედ ამას გულისხმობს. ადრეული პერიოდიდან მოყოლებული, მართლმადიდებელმა ტრადიციამ დაადგინა საკრამენტული სისრულე ეკლესიის მიერ კურთხეული ნებისმიერი ქორწინებისა, თუნდაც, ამ წყვილს შთამომავალი არ შეეძინოს. როგორც წმ. იოანე ოქროპირი ბრძანებს: „დავუშვათ, თუ შვილი არ ჰყავთ, ისინი იქნებიან ორნი და არა ერთნი? არა (იგულისხმება რომ არ იქნებიან ორნი, არამედ იქნებიან ერთნი, გ.ლ.), რადგან ფიზიკური კავშირით მათი სხეულები სწორედ ისე ერთიანდება, როგორც კეთილსურნელება შეერევა ნელსაცხებელს.“[20] ეკლესია, რა თქმა უნდა, მოელის, რომ ქორწინებათა უმეტესობას ნაყოფიერება მოჰყვება; მაგრამ მას, ასევე, ესმის ის, რომ არსებობს დამაბრკოლებელი სულიერი, ფიზიკური, ფსიქოლოგიური თუ ფინანსური მდგომარეობანი, როდესაც შვილის ყოლა, დროებით, შეუძლებელია. მართლმადიდებელ ეკლესიას, დაოჯახებულთა შემთხვევაში, კატეგორიულად არ უარუყვია ჩასახვის საწინააღმდეგო ისეთი საშუალებები, რომლებიც უსაფრთხოა და ჩანასახის მოშორებას არ იწვევს. ეკლესიის შეხედულებით, ეს არ არის იდეალი და არც მუდმივი მდგომარეობა, არამედ მხოლოდ აუცილებლობით გამოწვეული დროებითი საშუალება. წყვილის სექსუალური კავშირი წარმოადგენს იმ შინაგან სიკეთეს, რომელიც ემსახურება ერთმანეთისადმი სიყვარულისა და ერთად ცხოვრების სურვილის გაღრმავებას. ამას გარდა, იმ წყვილებისათვის, რომელთაც გულწრფელად სურთ შვილის ყოლა და ჩარევის გარეშე არ შეუძლიათ გაჩენა, ეკლესია არ უკრძალავს თანამედროვე რეპროდუქციულ ტექნოლოგიათა გამოყენებას. მაგრამ ეკლესიას არ შეუძლია, გაამართლოს ის მეთოდები, რომლებიც გამოიწვევენ უამრავი განაყოფიერებული კვერცხუჯრედის კვდომას . აუცილებელი კრიტერიუმი ამა თუ იმ რეპროდუქციული ტექნოლოგიის კანონიერების შეფასებისას, გახლავთ ყოველი ადამიანური სიცოცხლის ხელშეუხებელი ღირსება და შეუფასებელი ღირებულება. რამდენადაც სამედიცინო მეცნიერება ამ კუთხით ვითარდება, მართლმადიდებელი ქრისტიანები (როგორც მღვდელმსახურნი, ასევე ერისკაცები), ყოველთვის უნდა

მიმართავდნენ ამ კრიტერიუმს, როდესაც საქმე ისეთ ახალ მეთოდს ეხება, რომელიც წყვილებს დაორსულებასა და შვილის გაჩენაში ეხმარება; ქრისტიანებმა, ასევე, უნდა გაითვალისწინონ, პატივს სცემს თუ არა ეს მეთოდი ორ მეუღლეს შორის არსებულ წმინდა ურთიერთობას.

§25 მართლმადიდებელი ტრადიცია ხარების დღესასწაულზე აღნიშნავს ქრისტეს უბიწოდ ჩასახვას დედის წიაღში, მარიამის მიერ ელისაბედის მონახულების დღეს კი იხსენებს იოანე ნათლისმცემლის მიერ საკუთარი მშობლის სხეულში გამოხატულ სიხარულს, როდესაც მან ორსული ღვთისმშობლის ხმა გაიგონა. ჯერ კიდევ დედის წიაღში მყოფი თითოეული ჩვენგანი უკვე სულიერი არსებაა, პიროვნება, რომელიც შექმნილია ღვთის ხატად და განიხარებს ღმერთის მყოფობით. ქრისტიანთა პირველი თაობიდან მოყოლებული, ეკლესიამ უარყო შერჩევითი აბორტი, როგორც ჩვილთა მოკვდინება. ჯერ კიდევ „დიდაქეში“ (რომელიც პირველი საუკუნის საეკლესიო წეს-ჩვეულებებისა და განჩინებათა შესახებ არსებული წერილობითი ძეგლია) ვხედავთ, რომ აბორტის უარყოფა ახალი სარწმუნოების აშკარა პრინციპს წარმოადგენდა[21], რომელიც, ჩვილთა მოკვდინებასთან ერთად, სასიკვდილო განაჩენსაც უარყოფდა, რითაც წარმოაჩენდა, რომ ქრისტიანული სარწმუნოება ეწინააღმდეგებოდა ადამიანის სიცოცხლის ხელყოფას მაშინ, როდესაც წარმართული კულტურა ამას კანონიერად და აუცილებლადაც კი მიიჩნევდა. ადამიანი უფრო მეტია, ვიდრე ფიზიკური პროცესის შედეგად ნელ-ნელა განვითარებადი ნაყოფი; სიცოცხლე ჩასახვის წუთიდან იწყება. ამგვარად, ქრისტიანს ეკრძალება უდანაშაულო სისხლის დაღვრა ადამიანის განვითარების ნებისმიერ ეტაპზე. ეკლესია, რა თქმა უნდა, აღიარებს, რომ ორსულობა, ხშირად, შესაძლოა შეწყდეს სიღარიბის, სასოწარკვეთილების, იძულების, ან ძალადობის გამო და ცდილობს, შერიგების გზა უჩვენოს მათ, ვინც დაჰყვა მსგავს საშინელ ზეწოლას. იმის გამო, რომ აბორტის აქტი ყოველთვის ტრაგედიაა, რომელიც უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლეს იწირავს, შერიგება უნდა გულისხმობდეს მცოდველის მიერ ამ ჭეშმარიტების გაცნობიერებას მანამ, სანამ სრული შენანების, შერიგებისა და განკურნების შესაძლებლობაა. უფრო მეტიც, ეკლესია ყოველთვის მზად უნდა იყოს (რამდენადაც მას ნამდვილად სურს, რომ ყოველი სიცოცხლის სიკეთე დაადასტუროს), დაეხმაროს ქალებს არასასურველი ორსულობისას, იმისდა მიუხედავად, ისინი არიან გაუპატიურებისა თუ კონსენსუალური (შეთანხმებითი, გ.ლ.) სექსუალური კავშირის შედეგად დაფეხმძიმებულნი. ეკლესია უნდა ეხმარებოდეს მომავალ დედებს, რომლებიც იტანჯებიან სიღარიბის, ძალადობის და სხვა არახელსაყრელ პირობათა გამო და მათ მატერიალური და ემოციური მხარდაჭერით უზრუნველყოფდეს, ყველას ამხნევებდეს სულიერად და არწმუნებდეს ღვთის სიყვარულში როგორც ორსულობისას, ასევე – მის შემდგომ.

§26 ქორწინების მართლმადიდებლური რიტუალის დროს ეკლესია ლოცულობს ახლადშეუღლებულებისადმი, რათა ისინი „განიხარებდნენ ძეთა და ასულთა ხილვით“. ამ სიხარულის მოლოდინი უსაზღვროა; იგი არ ვლინდება მხოლოდ იმ ჩვილებისა თუ ბავშვების მიერ, რომლებიც ამტანობის ან ჯანმრთელობის გარკვეულ სტანდარტებს

აკმაყოფილებენ. ღმერთი ყველა ბავშვს იცნობს და ყველა მათგანი უყვარს. ისინი მის ხატებასა და მსგავსებას ატარებენ და, სხვების მსგავსად, იმსახურებენ პატივისცემასა და მზრუნველობას. ეკლესიის თვალთახედვით, ყოველი ჩვენგანი იბადება, „რათა გაცხადდნენ უფლის საქმენი მასში“ (ადამიანში, გ.ლ.) (იოან. 9:3). სწორედ ამიტომ, მართლმადიდებელი ეკლესია არ ემხრობა ევგენიკური მეთოდით ადამიანის სიცოცხლის შეწყვეტის პრაქტიკას, არამედ ის მიესალმება ნებისმიერ ახალ სამედიცინო მიღწევას, რომელიც სნეულებისა და უნარშეზღუდულობისაგან გატანჯულ ბავშვებს სიცოცხლეს შეუნარჩუნებს და გაუუმჯობესებს. ეკლესია აღიარებს, რომ, ზოგიერთი ორსულობისას წარმოიშვება ტრაგიკული და სამედიცინო კუთხითაც გადაუჭრელი პრობლემები, როდესაც შეუძლებელი ხდება ჯერ არდაბადებული ბავშვის სიცოცხლის შენარჩუნება დედის სიცოცხლისათვის სერიოზული საფრთხის შექმნის გარეშე; ამ დროს, ერთადერთი სამედიცინო საშუალება, ბავშვის მშობლების თავდაპირველი სურვილის საწინააღმდეგოდ, მისი (ბავშვის) სიკვდილის დაჩქარებაა. მსგავს შემთხვევებში ეკლესიას არ აქვს პრეტენზია, იყოს კომპეტენტური, რათა იცოდეს საუკეთესო გზა, თუ როგორ უნდა მოიქცნენ მსგავს შემთხვევაში და საკითხის გადაწყვეტას მიანდობს მშობლებსა და ექიმებს. მას (ეკლესიას) მხოლოდ რჩევის მიცემა და ლოცვა შეუძლია დედა-შვილის გამოჯანმრთელებისა და გადარჩენისათვის. ამას გარდა, ეკლესია მუცლადყოფნის დროს აბორტით სიცოცხლის დაკარგვას ან მკვდრადშობას ყველა სიტუაციაში გლოვობს და მსგავს მოვლენებს ოჯახისთვის განსაკუთრებულ დანაკლისად იაზრებს, მან უნდა გადახედოს საკუთარ ლოცვებს და ისეთი მგრძნობიარე და მოსიყვარულე სამოძღვრო ზრუნვა დააყენოს წინ, რომელსაც ორსულობის დაკარგვა მოითხოვს.

§27 ქრისტიანისათვის, ამქვეყნად, მეორე გზა მონასტრული ცხოვრებაა. ეკლესიის ადრეული პერიოდიდანვე, კაცები და ქალები ლოცვისთვის იკრიბებოდნენ; ამას ისინი ხან ერთობლივად აკეთებდნენ, ხანაც ერთმანეთისაგან განცალკევებულად. საზოგადოებისგან ნაწილობრივ თუ სრულად განყენებით, ისინი საკუთარ თავსაც და სხვებსაც შეახსენებდნენ, რომ ღვთის სასუფეველი არ იყო ამა ქვეყნისა. როგორც მართებს კიდეც ყველა ქრისტიანს, ისინიც, წინასწარმეტყველური მოწოდების შესაბამისად, მარად შეაგონებდნენ საკუთარ თავს: „მომავლის ქალაქს ვეძებთ“ (ებრ. 13:14) და მოელოდნენ „ცხოვრებასა მერმისა მის საუკუნისასა“ (ნიკეა-კონსტანტინოპოლის მრწამსი); მაგრამ ამ ყველაფერს აღასრულებდნენ განსაკუთრებული მადლით და განსაზღვრული ინტენსივობით. ერთი შეხედვით, შესაძლოა, რომ ჩვეულებრივი სოციალური ცხოვრებიდან გასლვა მოყვასის სიყვარულის მცნების დარღვევად მოგვეჩვენოს, მაგრამ, ღვთის მადლით, გულის საიდუმლო კუნჭულებში მომხდარ ნებისმიერ ცვლილებასაც კი მთელი სამყაროსთვის მოაქვს სიკეთე. წმ. სილუან ათონელი ამბობს: „სხვებისათვის ლოცვა სისხლის დაღვრაა“[22]. მონასტერი, ხშირად, იმითაც ემსახურება გარე სამყაროს, რომ ამქვეყნიურ ზრუნვათაგან განრიდებულ ადგილს ამზადებს, სადაც მყოფთ შეუძლიათ, კეთილგანწყობილად მიიღონ საერო პირნი, რათა შესთავაზონ ცხოვრებისეულ

უსიამოვნებათაგან და ცდუნებათან განრიდება, სულიერი წინამძღვრობა და ნავთსაყუდელი. ეს კი ბევრად მეტია, ვიდრე მხოლოდ სტუმართმოყვარეობა; წმ. მარია სკობცოვას სიტყვებით რომ ვთქვათ: „თუკი ვინმე საკუთარი სულიერი სამყაროდან ბრუნდება სხვა ადამიანის სულიერი სამყაროსკენ, ის გასაოცარ და შთამაგონებელ საიდუმლოს შეხვდება... [ამ შემთხვევაში] ის ადამიანში ღვთის ჭეშმარიტ ხატებას უკავშირდება, სამყაროში განკაცებული ღვთის ნამდვილი ხატით, ღმერთის განკაცების საიდუმლოს რეფლექსიითა და ღვთაებრივი კაცებით.“[23] უფრო მეტიც, მონასტრული უქორწინებლობა არ გულისხმობს დაოჯახებულთა ცხოვრებისათვის დამახასიათებელ სქესობრივი კავშირის დაგმობას, პირიქით, საკუთრივ ოჯახური ცხოვრება განსაკუთრებული გულმოწყალება და მიტევებაა. მონასტრული ცხოვრება ყოველთვის წარმოადგენდა მადლიერების აქტს, ამიტომ მის ცენტრში დგას ევქარისტიის მუდმივი აღსრულება, რაც არის, ასევე, ერთობლივი სულგრძელების, ლოცვისა და ურთიერთპატიების გაერთიანებული წესრიგი. თუმცა, ეს იმას კი არ გულისხმობს, რომ იგი (მონასტრული ცხოვრება, გ.ლ.) აუცილებლად ქრისტიანულ ოჯახზე მეტად გვამცნებს ცათა სასუფეველს, არამედ იმას, რომ იგი (მონასტრული ცხოვრება, გ.ლ.) ამას (ცათა სასუფევლის შესახებ უწყებას, გ.ლ.) განსხვავებული წესით, თავგანწირვის მეტად განსაკუთრებული და წმინდა ფორმით ასრულებს. ეს კი არ ნიშნავს მხოლოდ საკუთარი თავის მსახურებას ან ეგოცენტრულ იზოლაციას, რამდენადაც მონასტერი არ არის საკრამენტულად ან სულიერად დაკავშირებული ერთ ადამიანთან, განსხვავებით დაოჯახებულისაგან, ბერი თუ მონაზონი განიცდის და გამოხატავს დიდ შინაგან სიყვარულს სხვების და ღვთისადმი მიმართულს. წმ. იოანე კიბისაღმწერლის მიხედვით, „ნამდვილი მონაზონი გლოვობს თავისი ძმების [და დების] ცოდვებს და ნებისმიერის სრულყოფა ახარებს.“[24]

§28 ზრდასრული ადამიანის მესამე გზაა, როდესაც ის არც ოჯახს ქმნის და არც მონასტერში მიდის. მესამე გზას, სხვადასხვა მიზეზის გამო, მრავალი ირჩევს. მსგავსი ადამიანებიც, სხვათა მსგავსად, ქრისტეს სხეულის წევრები არიან და მათაც არანაკლები წვლილის შეტანა შეუძლიათ ქვეყნიერების განწმენდაში. რეალურად, ისინი ხშირად ფლობენ იმ განსაკუთრებულ ნიჭს, რაც პიროვნული დისციპლინითა და სულიერი შემეცნებით მოიხვეჭეს, რომლის რეალური სრულყოფა ყოველდღიურ ოჯახურ ცხოვრებაში არ ძალუძთ. ნებისმიერ შემთხვევაში, ყველა უქორწინებელი ადამიანი მოწოდებულია, ეწეოდეს ქველმოქმედებას და ღვთის სხვა საყვარელ შვილთა მსგავსი ღირსებით სარგებლობდეს. თუმცა, ეკლესიამ უნდა აღიაროს, თუ რამდენად რთული იქნება მსგავსი მოწოდების დამტკიცება. დაქორწინებული ადამიანი, შესაძლოა, იმედს ამყარებდეს თავის მეუღლეზე, ხოლო მონაზონი — ძმებზე (თუ დებზე). დაუქორწინებელ ადამიანს გვერდით, ხშირად, ისეთი ადამიანი არ ჰყავს, რომელსაც, გარკვეულწილად, მიენდობა. მრავალი განმარტოებულის ცხოვრებაში წმინდა მეგობრობა სულიერი ნუგეშის წყარო და ძალაა, მაგრამ ეს, უთუოდ არ არის საკმარისი, რათა მარტოობა შეუმსუბუქდეს მათ, ვინც ამ გზას ადგანან. ამ საკითხთან დაკავშირებით, მართლმადიდებელი ტრადიცია მწირი რაოდენობის გარდამოცემასა

და სამოძღვრო წყაროებს ითვალისწინებს; მაგრამ, რამდენადაც მარტოხელა ერისკაცთა რიცხვი მზარდია, ეკლესია ვალდებულია, მათი მოთხოვნილებისდა შესაბამისად, სამოძღვრო პრაქტიკა გაზარდოს.

§29 ნებისმიერი ზრდასრული ადამიანის ცხოვრების გზა თანასწორია. მართლმადიდებელი ეკლესია თითოეულში თანასწორობასა და ღირსებას განჭვრეტს, რადგან თავად ადამიანია ღვთის ხატად და მსგავსად შექმნილი. მართალია, ეკლესია აცნობიერებს, რომ კაცებსა და ქალებს განსხვავებული ცხოვრებისეული გამოცდილება და განკაცებული ადამიანური ბუნების განსხვავებული ფორმები აქვთ, მაგრამ მან (ეკლესიამ, გ.ლ.) უნდა უარყოს ნებისმიერი ტიპის მსჯელობა, რომ თითქოს ერთი სქესი მეორეზე სულიერი ღირსებითაა აღმატებული. როგორც წმ. ბასილი დიდმა კაცისა და ქალის შესახებ აღნიშნა: „(კაცის და ქალის) ბუნება ერთნაირია, თანაბარი ღირსების მქონეა, თანაბრად ფლობს სათნოებას, ბრძოლას, მსჯავრს, ყველაფრით თანასწორნი არიან“[25] წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის თანახმად: „ერთია კაცისა და ქალის შემოქმედი, ორივე ერთი და იმავე მიწისაგანაა, ერთია ხატება, ერთია რჯული, ერთია სიკვდილი და აღდგომა.“[26] აღსანიშნავია, რომ კაცისა და ქალის უთანასწორობა, ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში, არის დაცემული მსოფლიოს ერთი ყველაზე უფრო ტრაგიკული რეალობათაგანი. ფაქტობრივად, მაშინ, როდესაც მართლმადიდებელი ეკლესიის მოძღვრებისა და ღვთისმეტყველების არსი მუდმივად იყო, რომ კაცი და ქალი პიროვნულად თანასწორნი არიან, ის (ეკლესია, გ.ლ.) ამ იდეალის ზედმიწევნით ერთგული ყოველთვის არ ყოფილა. მაგალითად, ეკლესია ძალიან დიდხანს ინახავდა თავის ლოცვებსა და ევქარისტიულ მსახურებაში ადრეულ და, არსებითად, ცრურწმენით მოსაზრებებს, ქალის სხეულთან დაკავშირებულ სიწმინდესა და უწმინდურებაზე, დაუშვა კიდეც გაწმენდის რიტუალის იდეა და იგი ბავშვის შობას დაუკავშირა. ქრისტიანი ქალი, რომელიც ზიარებისთვის მარხვითა და ლოცვით მოემზადა (იგულისხმება ფიზიოლოგიური მდგომარეობა, გ.ლ.), არ უნდა იყოს დაყენებული ბარძიმის მიღებისაგან. ეკლესია, ქალის მსახურებისადმი მიმართულ სულიწმინდის კარნახისადმი, ყურადღებიანი უნდა იყოს. ჩვენს დროში, საეკლესიო ცხოვრების ბევრ მნიშვნელოვან სამსახურში, ქალები მუშაობენ თეოლოგებად, სემინარიის პროფესორებად, კანონოლოგებად, წიგნის მკითხველებად, მგალობელთა გუნდის ხელმძღვანელებად და მრავალი სხვა პროფესიის ექსპერტებად, რომლებიც სარწმუნოებრივ კრებულს ეხმარებიან. ეკლესიამ უნდა გააგრძელოს განხილვები, თუ როგორ შეუძლია ქალს, რომ ქრისტეს სხეულის შენებაში საუკეთესო კუთხით ჩაერთოს; ეს განხილვები დღეს ქალ-დიაკონისების ინსტიტუტის განახლებასაც გულისხმობს.

§30 ცხოვრების ზემოთჩამოთვლილ გზათაგან თითოეულ ადამიანს საკუთარი განსხვავებული ეტაპები აქვს; მაგრამ ყველა გზა სრულდება (თუ ნაადრევად არ შეწყდება მასზე სლვა) ერთი ფინალით: სიბერის ასაკითა და სიკვდილით. სარწმუნოებრივ კრებულში მყოფი ასაკოვანი ხალხი მორწმუნეთაგან განსაკუთრებულ პატივისცემას იმსახურებენ, მათ მიერ მოხვეჭილი სიბრძნითა და იმ სარწმუნოებრივი სიმტკიცის გამო, რაც მათ გამოავლინეს. თუმცა, ასაკის მატებასთან ერთად, ისინი

ძალიან მოწყვლადნი ხდებიან ავადმყოფობისა თუ უნარშეზღუდულობის მიმართ. ეს გამოწვევა, როგორც მოხუცებულთათვის, ასევე, მათი მომვლელებისთვის, შეიძლება, მორჩილების გაღრმავებისა და სარწმუნოებაში გამტკიცების შესაძლებლობის მიმცემი იყოს; თუმცა, ეს, ასევე, ქრისტეს ეკლესიის დანარჩენი სხეულის პასუხისმგებლობაა, რომელის არცერთმა ნაწილმაც ამას თავი არასოდეს არ უნდა აარიდოს. დღევანდელ სამყაროში მრავალი კრებულისათვის ეს განსაკუთრებულ სიძნელეს ქმნის. თანამედროვე საზოგადოებას, როგორც ჩანს, მოხუცებისადმი გამოსაყოფად სულ უფრო ნაკლები და ნაკლები დრო რჩება; და, როგორც ეტყობა, უფრო მეტად მიდრეკილია იქით, რომ ასაკოვან ხალხზე ზრუნვა, მისი (საზოგადოების) თვალისა და გონებისგან მოშორებულად მიმდინარეობდეს. თანამედროვე კაპიტალისტურ სამყაროში მოხუცებულობა (რომელიც ადრეეულ ხანაში პატივიცემებოდა), დღეს ხშირად უხერხულობად განიხილება, ხოლო თავად ასაკოვანი ადამიანი კი – ტვირთად და დაბრკოლებად. მართლმადიდებელი ეკლესია ასწავლის, რომ პიროვნების თანდაყოლილი სულიერი ღირსება უსაზღვროა, და რომ, არ აქვს მნიშვნელობა სხეულისა თუ გონების წელთასლვით დაზიანებას. ეკლესია ვალდებულია, ყველა საზოგადოებას მოსთხოვოს ასაკოვანი ადამიანის შესაფერისი უზრუნველყოფა, და დარწმუნებული იყოს, რომ ისინი არ არიან უარყოფილნი, მათ არ ექცევიან არასათანადოდ და არ ცხოვრობენ სიღარიბეში. ეკლესია მორწმუნე მრევლს ვალდებულებას აკისრებს, რომ მაქსიმალურად იზრუნოს მის ასაკოვან წევრებზე და ისწავლოს მათგან.

§31 ჩამოთვლილ გზათაგან თითოეული, ადრე თუ გვიან, საკუთარ ლოგიკურ დასასრულს მიაღწევს. წმ. იოანე ოქროპირის სახ. საღვთო ლიტურგიაზე, ეკლესია განსაზღვრავს ჩვენი ცხოვრების ქრისტიანულ „აღსასრულს“, როგორც „უჭირველს, ურცხვენელს და მშვიდობითს'' და ლოცულობს, რომ ეს ყველა ქრისტიანმა გააცნობიეროს. სხვა ლოცვებში ეკლესია გამოხატავს სასოებას, რომ მომაკვდავმა დატოვოს ეს ცხოვრება, დარწმუნებულმა, რომ ის ღმერთს ახსოვს, რადგან ბეღურაც კი არ ჩამოვარდება მიწაზე ღვთის ნების გარეშე (მთ. 10:29). თავად სიკვდილი საშინელი რამაა. იგია მტერი, რომელიც ღმერთმა ქრისტეში დათრგუნა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სიკვდილის მეუფება კვლავ ჩვენკენ მოდის (ბიოლოგიურად, გ.ლ.) ჩვენს ხელში ჩასაგდებად. ჩვენს შორისაც არიან ადამიანები, რომლებიც უფრო მეტად ვარდებიან სასოწარკვეთაში. თვითმკვლელობა მართლმადიდებელ ეკლესიაში ყოველთვის აღიქმებოდა ტრაგედიად და ადამიანურ ღირსებაზე ძალადობად. მაგრამ, დროთა განმავლობაში, თვითმკლელობა უფრო მეტად მენტალურ უძლურებად და ემოციურ სისუსტედ იქნა გაგებული. ეკლესიამ უფრო მეტად გააცნობიერა, რომ თვითმკვლელობა, როგორც წესი, მოიცავს „სულიერ და/ან ფსიქოლოგიურ ფაქტორებს, რომლებიც პიროვნების გონიერებასა და თავისუფლებას მნიშვნელოვნად აყენებენ რისკის ქვეშ.”[27] ამგვარად, ქრისტიანული სიყვარული გვკარნახობს, რომ არ უნდა იქნეს უარყოფილი საეკლესიო წესით დაკრძალვა და სულის მოსახსენიებელი სრული მსახურება იმ პიროვნებისათვის, რომელმაც საკუთარი სიცოცხლე დათმო;

ხოლო არც მორწმუნემ უნდა მიიჩნიოს თვითმკვლელი ღმერთის შეგნებულ უარმყოფელად. საუბარია საღვთო განგებულებისა და შეწყნარების შესახებ, რომელიც აყალიბებს ეკლესიის საკრამენტულ და სამოძღვრო განგებულებას. ესაა საღვთო განგებულებისა და შეწყნარების საქმე, რომელიც საკრამენტულ და სამოძღვრო განგებულებას ითვალისწინებს. ტრადიციის შესახებ ძველი წარმოდგენები უნდა გადაიხედოს თანამედროვეობის დიაგნოსტიკური და თერაპევტული აღმოჩენებით. მაგრამ თვითმკვლელობა მაინც ვერ გახდება მიწიერი ტანჯვისაგან განსარიდებლად დასაშვები გზა. იმ ადამიანებმაც კი, რომლებსაც საშინელი სნეულება აწუხებთ, არ უნდა მოისწრაფონ სიცოცხლე, რაოდენ ლმობიერ გამოსავლადაც არ უნდა ჩანდეს ის. ღვთის ხატება დაურღვევლად იქნება შენარჩუნებული ამქვეყნიური ცხოვრების ბოლო დღეებშიც. ქრისტიანული მსოფლმხედველობისათვის ევთანაზია მიუღებელია; აღნიშნული დამოკიდებულება, ასევე, სრულად ეხება იმათაც, რომლებიც უარს აცხადებენ უჩვეულო სამედიცინო მკურნალობასა და ტექნოლოგიაზე, რომლებიც საოცრად ახანგრძლივებენ ხორციელ ცხოვრებას, რომლის გარეშეც სიკვდილი გარდაუვალი იქნებოდა. ქრისტიანისთვის სავალდებულო არაა, გარდაუვალობის საშინელების გამო გააჭიანუროს ხორციელი ტანჯვა, ან უმიზეზოდ ჩაებღაუჭოს ამ ქვეყანას. ღმერთის განგებისმიერი სიკვდილის არ უნდა გვეშინოდეს. მართლმადიდებელი ეკლესია ანუგეშებს მწუხარეებს, რომლებიც გლოვობენ, მათთან ერთად ლოცულობს აღსრულებული ადამიანისათვის. მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია, რომ მართლმადიდებელი ქრისტიანი: მოელის „აღდგომასა მკვდრეთით და ცხოვრებასა მერმისა მის საუკუნისასა“ (ნიკეა-კონსტანტინოპოლის მრწამსი). იმედით ვუცქერთ იმ დროს, როდესაც ამა სოფლის ჩვენი ასკეტური ბრძოლები შედეგს და ნაყოფს მოიტანენ, როდესაც სამყაროს გარდაქმნისკენ მიმართული მთელი ჩვენი ძალისხმევა განსრულდება და ჩვენი განღმრთობისაკენ (theosis) სლვა მარადიულობაში გადავა, რადგან ფერს შევიცვლით „დიდებიდან დიდებაში“ გარდასულნი (2 კორ. 3:18).[28]

IV. სიღარიბე, სიმდიდრე და სამოქალაქო სამართალი
მოიჯსენენ, უფალო, მომჯსენებელნი გლახაკთანი!

§32 როდესაც მარადიული ძე განკაცდა, დაუტევა თავისი ღვთაებრივი დიდება და „ღვთის ხატობიდან“ „მონის ხატი“ მიიღო (ფილიპ. 2: 6-7), მან საკუთარი თავი იმ ეპოქის ყველაზე მარგინალიზებულ, პოლიტიკურად უუნარო და სოციალურად უსარგებლო ადამიანებს დაუკავშირა. ქრისტე იშვა იმპერიის მიერ დაპყრობილ უფლებააყრილ ხალხს შორის. ის იზრდებოდა ოჯახში, რომელიც უბრალო ხელოსანთა კლასს ეკუთვნოდა; მან თავისი მისია გალილეის რეგიონში დაიწყო და საკუთარი მსახურება, უმთავრესად, ყველაზე დამდაბლებულ, უპოვარ და სასოწარკვეთილ ხალხს მიუძღვნა. აქ ქრისტემ ისრაელის წინასწარმეტყველთა მისია და რჯულისა და წინასწარმეტყველთა, მართლაც, უპირველესი ზნეობრივი საქმე აიღო თავის თავზე. თავისი საჯარო მსახურების განცხადების შესახებ, ქრისტემ ესაია წინასწარმეტყველის

სიტყვები დაიმოწმა: „სული უფლისა ჩემზე, რომლისთვისაც მცხო და მომავლინა გლახაკთა მახარებლად და გულით შემუსრვილთა მკურნალად, ტყვეთათვის განთავისუფლების მაუწყებლად, ბრმათა თვალის ამხელად, ტანჯულთა განსატევებლად და უფლის კეთილსასურველი წლის მქადაგებლად“ (ლკ. 4:18-19). უქონელთა და სასოწარკვეთილთათვის მიმართული ეს ვალდებულება (რაც ქრისტეს მისიის ნამდვილ არსში გამოვლინდა), ისრაელის შვილებისადმი განკუთვნილი მისიის უბრალოდ შემთხვევითი ელემენტი არ ყოფილა. მათდამი, ვინც ადამიანთა გაჭირვებული მდგომარეობით სარგებელს ნახულობდა (ლკ. 20: 46-47), ან ვინც გაჭირვებულთათვის მიმართულ ვალდებულებას უარყოფდა (ლკ. 6:24-25; 16:25), ქრისტეს გაფრთხილებები იყო უმძაფრესი, ხოლო სასჯელი კი ყველაზე უკომპრომისო. უფრო მეტიც, სათნო ნებისა და პირადი ქონების შესახებ, ქრისტეს მიერ საკუთარი მოწაფეების მიმართ განკუთვნილ მოთხოვნებს, უწყვეტი ხასიათი ჰქონდათ, როდესაც საქმე უქონელთა საჭიროებებს ეხებოდა. ქრისტემ საკუთარ მიმდევრებს მოუწოდა, რომ დახმარება გაეწიათ ყველასადმი, ზურგის შექცევის გარეშე (მთ. 5:42), ამგვარად გამოვლენილი სიკეთე კი სხვის მიერ შეუმჩნეველი არ დარჩება (მთ. 6:3); უფალმა მიწიერი სიმდიდრის შენახვაც აკრძალა (მთ. 6: 19-20). ქრისტემ არამხოლოდ მდიდარ ჭაბუკს მოუწოდა ღარიბთათვის სიმდიდრის დარიგება (მთ. 19:16-30; მარკ. 10:17-31; ლკ. 18:18-30); იგი, ასევე, ამბობდა, რომ, ვინც არ დაუტევა, რაც კი ებადა, არ იყო ღირსი, მის მოწაფედ წოდებულიყო (ლკ. 12:33; 14:33). რეალურად, მან პირდაპირ განაცხადა, თუ რა იყო საჭირო ღმერთის სასუფეველში შესლვისათვის: „მაშინ ეტყვის მეუფე მის მარჯვნივ მდგომთ: მოდით, კურთხეულნო, მამაჩემის მიერ, და დაიმკვიდრეთ სასუფეველი, თქვენთვის გამზადებული ქვეყნის დასაბამიდან. რადგან მშიოდა და მომეცით საჭმელი; მწყუროდა და მასვით; უცხო ვიყავი და შემიწყნარეთ; შიშველი ვიყავი და შემმოსეთ; სნეული ვიყავი და მომხედეთ; საპყრობილეში ვიყავი და მინახულეთ“ (მთ. 25:34-36). უფრო მეტიც, მამის მოწოდებას შედგომილმა, უსახლკარობა და უარყოფა დაითმინა: „ძეს კაცისას კი არა აქვს, სად მიიდრიკოს თავი“ (მთ. 8:20; ლკ. 9:58); „ადგნენ და ქალაქიდან გააძევეს იგი; აიყვანეს მთის თხემზე, რომელზედაც გაშენებული იყო მათი ქალაქი, რათა გადაეგდოთ“ (ლკ. 4:29). ქრისტემ თავისი მიწიერი მსახურება უცხოტომელთა დამპყრობელი ხელისუფლების მიერ გამოტანილი განაჩენით განასრულა, რომელთა ტრიბუნალის წინაშეც სრულიად უკანონოდ განისაჯა; იგი, თავისი დროის ყველაზე მტანჯველი და დამამცირებელი სიკვდილით დასჯის ფორმით, უკანასკნელ დამნაშავესავით აღესრულა.

§33 ამგვარად, თუკი ეკლესია არ იზრუნებს ღარიბებზე და მთელს ყურადღებას მათ არ დაუთმობს, მაშინ, ამ მხრივ, ის ქრისტეს მიმბაძველი არ იქნება და აცდება ყველაზე მთავარ ორიენტირს – ზნეობის, რელიგიისა და სულიერი ცხოვრების პრინციპებს. სოციალური სამართლიანობისა და სამოქალაქო თანასწორობისაკენ სწრაფვა (რათა ღარიბსა და უპოვარს მისცეს თავშესაფარი, დაიცვას სუსტი, გულისხმიერად მიიღოს დევნილი, დაეხმაროს უნარშეზღუდულს), მხოლოდ სინდისის დამამშვიდებელი საეკლესიო ეთოსი კი არა, არამედ ხსნისათვის საჭირო საშუალება, ქრისტესთან

გაერთიანების შეუცვლელი გზაა; ხოლო ამ პასუხისმგებლობების არშესრულებას ღვთის საყდრის წინაშე სამსჯავრო მოჰყვება (მთ. 25:41-45). ამგვარად, ადრეულმა, სამოციქულო ეპოქის ქრისტიანულმა საკრებულოებმა დიადი კულტურისაგან რადიკალურად განსხვავებული ცხოვრების წესი მიიღეს, როდესაც ქონება საერთო იყო. კერძო საკუთრება, ერთგვარად, მორწმუნეთა მთლიანი კრებულისა გახლდათ, შესაბამისად, ქრისტეს სხეულის ნებისმიერ წევრის საჭიროება შეიძლებოდა დაკმაყოფილებულიყო (საქ. 2:44-45; 4:32-37). ეკლესიამ, იმ დროს, სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება ვერ შეძლო; ვერც ის მოახერხა, რომ, საიმპერიო ძალაუფლების მიუხედავად, შეექმნა რაიმე სახის აბსტრაქტული პოლიტიკური იდეოლოგია, რომელიც შეძლებდა ეპოქისთვის დამახასიათებელი უსამართლობის გამოსწორებას. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ შეძლებული ქრისტიანები ზრუნავდნენ ღარიბებზე, ქვრივ-ობლებზე განსაკუთრებით (ანტიკური სამყაროს ყველაზე უმწეო ფენებზე), და ცდილობდნენ, შეექმნათ, თავიანთ გარემოში, სიყვარულის პოლიტიკა, რაც ბედის ანაბარას არავის დატოვებდა. აღსანიშნავია, რომ ქრისტეში ცხოვრების ამგვარი (რადიკალური სოლიდარობის) გაგება, სამწუხაროდ, სრულად ვერ იქნა გადმოტანილი ეკლესიის პოლიტიკურად პრივილეგირებულ ეპოქაში. იმპერიის პოლიტიკაში იმაზე უფრო მნიშვნელოვანი ცვლილება არ მომხდარა, როგორიც ეს იყო სახარების სოციალური შედეგების კონკრეტული გამოვლინება, რაშიც გამოიხატებოდა ეკლესიის მხრიდან ღარიბთა მზარდი დახმარება, სახელმწიფოს ძლიერი მატერიალური მხარდაჭერის წყალობით.

§34 უფრო მეტიც, მე-4 და მე-5 საუკუნეში მცხოვრებ ეკლესიის დიდ მამათაგან ყველა ამოწმებდა, რომ ქრისტეში ცხოვრების განუყოფელი ნიშანი უნდა ყოფილიყო სიღარიბის გამომწვევ გარემოებათა მიმართ მტრობა და, ასევე, ქველმოქმედებისა და ფილანთროპიისადმი თავის მიძღვნა. წმ. ბასილი დიდი ილაშქრებდა საზოგადოებაში სიმდიდრის არათანაბარი განაწილების წინააღმდეგ და მკაცრად ამხელდა მდიდრებს, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ კანონიერი საფუძველი ჰქონდათ, არ გაენაწილებინათ საკუთარი ქონება სხვებისათვის. წმ. ბასილმა გაილაშქრა თავისი პერიოდის საზოგადოების უთანასწორო სიმდიდრის წინააღმდეგ და გააკრიტიკა მდიდარი, რომელიც ფიქრობდა, რომ მათ (მდიდრებს გ.ლ.) ჰქონდათ უფლება, თავიანთი სიკეთეები, უბრალოდ, იურიდიული საფუძვლიდან გამომდინარე, სხვებისაგან დაემალათ; წმ. ბასილი იმასაც ამბობდა, რომ ყველა კურთხევა ღვთისაგან მოდის და ქმნილების ყველა სიკეთე ადამიანთა მოდგმის საერთო საკუთრება უნდა იყოს[29]. ნებისმიერი, ვინც პირადი სარგებლობისათვის ღარიბებს ჩაგრავს, წარწყმედას განიმზადებს.[30] ნებისმიერი, ვინც საკუთარ ფულს არ გაუნაწილებს მშიერს, დამნაშავეა არა მხოლოდ უპასუხისმგებლობასა და დაუდევრობაში, არამედ მკვლელობაშიც.[31] წმ. იოანე ოქროპირიც ამავეს ამბობს მათ შესახებ, ვინც ქონებას უსამართლობით იხვეჭს და ამით ღარიბთ კიდევ უფრო მეტი სიღატაკისთვის იმეტებს[32]. მისი სიტყვების თანახმად, მდიდარი, რომელიც საკუთარ სიმდიდრეს გასაჭირში მყოფთ არ გაუზიარებს, ქურდია,[33] ვინაიდან ქმნილების სიუხვე ღვთისაგან

მომდინარეობს და ის (სიუხვე, გ.ლ.) არის ყველა ადამიანისათვის ბოძებული პირმშოობის უფლება[34]; ყველაფერი, რასაც მდიდარი ფლობს, ნაბოძები აქვს საზოგადოებრივი სიკეთისათვის[35] და, რაც მას აქვს, ეკუთვნის ყველა დანარჩენს[36]. წმ. ამბროსი მედიოლანელიც ამავე აზრის გახლდათ[37]. ეს იყო ეპოქა, როცა ქრისტიან ღვთისმეტყველებს პირველად მიეცათ შესაძლებლობა (და ვალდებულებაც დაეკისრათ), რომ სამოციქულო ეკლესიის ძირეული სოციალური სოლიდარობა და საყოველთაო ქველმოქმედება გადმოეტანათ იმ კულტურის მოქალაქეობრივ ცხოვრებაში, რომელი კულტურაც საყოველთაოდ ქრისტიანულად მიიჩნეოდა. როგორც ჩანს, ვერც ერთ მათგანს ვერ წარმოედგინა, რომ ქრისტიანული ზნეობრივი ცხოვრება პირად და საჯარო სფეროებად დაიყოფოდა, ან რომ სახარების მოთხოვნა ქრისტიანული სინდისის შესახებ მთელ ქრისტიანულ საზოგადოებაზე არ გავრცელდებოდა. ყველამ კარგად იცოდა, რომ ქრისტიანულ კულტურას უყურადღებოდ არ უნდა დაეტოვებინა სისტემური ბოროტება, რომელიც უამრავ ადამიანს იმეტებდა სიღატაკისათვის და ძალიან ცოტას აჯილდოებდა წარმოუდგენლად დიდი სიმდიდრით. წმ. ბასილი დიდის მტკიცებით, ადამიანები, თავიანთი ბუნებით, სოციალური და პოლიტიკური ქმნილებები არიან, რომლებმაც საკუთარი ქონება ერთმანეთს უნდა გაუნაწილონ, რათა სიღატაკეს ბოლო მოეღოს; ამგვარად, მისივე თქმით, ქრისტიანული კულტურისათვის აუცილებელი უნდა იყოს ისეთი საჯარო პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს ხაზინის არსებობას, რომელიც დააკმაყოფილებს ყველა ადამიანის უმთავრეს საჭიროებებს და ქმნილების სიუხვეს სამართლიანად გადაანაწილებს.[38] ასეთი ღონისძიებები ქრისტიანთა უჩვეულო ან გადაჭარბებულ დამსახურებად არ უნდა ჩაითვალოს. წმ. ამბროსის თანახმად, ქრისტიანული თვალთახედვიდან გამომდინარე, ამგვარი გადანაწილება სხვა არაფერია, თუ არა ის რესტიტუცია, რომელიც მდიდრებს მართებთ ღარიბთა მიმართ, კაცობრიობის კუთვნილი საზოგადოებრივი სიკეთის არაპროპორციული განაწილების გამო.[39] მართლმადიდებელი ეკლესიის ერთ-ერთი დიდი გამოწვევა თანამედროვე ეპოქაში ის გახლავთ, რომ იპოვოს გზები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ დაემორჩილოს წმინდა წერილისა და ეკლესიის მამათა სწავლებასა და ტრადიციას საზოგადოებრივი სიკეთის შესახებ; ეს გამოწვევა კი გამჭრიახობას და მოთმინებას მოითხოვს. ამასთანავე, ის, ასევე, მოითხოვს, მტკიცე ერთგულებას ქრისტესადმი და, ასევე, მოციქულთა და წმიდათა მაგალითისადმი. ეს იმას ნიშნავს, რომ ეკლესიამ, აუცილებლობის შემთხვევაში, დაგმოს სოციალური პირობები, სადაც ეს აუცილებელია; მოიწონოს ქების ღირსი პირობები და წაახალისოს სიკეთის მომტანი ცვლილება იქ, სადაც წახალისებას შედეგი მოჰყვება. მთავარი ისაა, რომ ეკლესიას არ შეუძლია ქრისტეზე ნაკლებად აღელვებდეს ღარიბთა და დაუცველთა მდგომარეობა და არანაკლებად უნდა იყოს მზად იმისათვის, რომ ხმა აიმაღლოს მათ დასაცავად, როცა არავის ესმის მათი გასაჭირი.

§35 ადამიანთა საზოგადოებისათვის ყველაზე მეტად დამახასიათებელი ბოროტება (მიუხედავად იმისა, რომ ეს უჩვეულოდ დახვეწილი ფორმით წარმოგვიდგება

თანამედროვე განვითარებულ ქვეყნებში) გახლავთ სიმდიდრის თვალშისაცემად უთანასწორო განაწილება, რაც ხშირად გამოწვეულია ან წახალისებულია რეგრესული დაბეგვრისა და სამართლიანი ხელფასების არასაკმარის რეგულაციათა მიერ; ეს კი იმ ადამიანთა ინტერესებს ემსახურება, ვინც საკმაოდ მდიდრები არიან იმისათვის, რომ გავლენა მოახდინონ კანონმდებლობაზე და დაიცვან საკუთარი სიმდიდრე საყოველთაო სიკეთის მოთხოვნათაგან. სამუშაო ადგილების შემქმნელ კერძო დაწესებულებათა არაკეთილგონივრულმა დაბეგვრამ ზოგიერთ გარემოებაში, შეიძლება, გამოიწვიოს დასაქმებულთა რიცხვის შემცირება და, შედეგად, უფრო დიდი ტვირთი დააკისროს ღარიბებს. ამ საფრთხეს კი იშვიათად ან არასოდეს აცნობიერებენ ინდუსტრიულ ქვეყნებში. სინამდვილე კი ის გახლავთ, რომ საზოგადოების ყველაზე მდიდარ წევრებს არ ეკისრებათ საკუთარი შემოსავლის პროპორციული გადასახადი, კორპორაციულ გაერთიანებებს კი ნება ეძლევათ, შექმნან ბაზარი, იაფი შრომისათვის დასაქმებულთა კეთილდღეობის ხარჯზე. ამ ყოველივეს კი შედეგად მოჰყვება არა მხოლოდ დასაქმებულ საშუალო კლასებზე უფრო დიდი ტვირთის დაკისრება, არამედ, ძალიან ხშირად, სახელმწიფოს მიერ ღარიბთა არასაკმარისი უზრუნველყოფა. ამგვარი პრაქტიკის საპირისპიროდ, მართლმადიდებლმა ეკლესიამ უნდა მოითხოვოს თანასწორობა და თანაგრძნობა, როგორც საგადასახადო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები; ასევე, მოითხოვოს მითითებები, სამართლიან ხელფასებთან დაკავშირებით, და მორალური პასუხისმგებლობა დააკისროს მდიდრებს, რათა მათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ საზოგადოების კეთილდღეობის საქმეში; ამავდროულად, მიმართოს ხელისუფლებას, რათა ამ უკანასკნელმა მდიდრებს მოსთხოვოს ზემოხსენებულის შესრულება საკუთარ უფლებათა ბოროტად გამოყენებისა და გადასახადების თავიდან არიდების გარეშე. ეკლესიის მამათა მტკიცებანი, იმასთან დაკავშირებით, რომ ქმნილების სიუხვე პირმშოობის თანაბარი უფლებაა ყველასი, ვინც კი ღვთის ხატად არის შექმნილი, და რომ ჩვენ შორის ყველაზე მდიდარნი მოვალენი არიან, გაუნაწილონ ქონება ღარიბებს, შეიძლება, ეწინააღმდეგებოდეს თანამედროვე მსოფლიოს ყველაზე მეტად სანუკვარ წარმოდგენებს კერძო საკუთრების შესახებ. მიუხედავად ამისა, ეკლესიის მამათა მტკიცებანი, არსებითად, მნიშვნელოვანია ქრისტიანული მსოფლმხედველობისათვის, რომლის მიხედვითაც ქვეყნიერება ღვთის მიერ ნაბოძები გულუხვი საჩუქარია. მათი სწავლებანი გამოხატავს პასუხისმგებლობას, რაც ეკლესიის თვალში ნებისმიერ სამართლიან საზოგადოებას უნდა ახასიათებდეს.

§36 მდიდართა ქონების დასაცავად შემოღებული კანონების კიდევ ერთი შედეგი გახლავთ შრომის გადაქცევა მოხმარების საგნად და უსამართლო არ იქნება იმის აღნიშვნა, რომ ეს „დაქირავებული მონობაა“. ამგვარი რამ, განსაკუთრებით, ინდუსტრიულ ქვეყნებშია აშკარად გამოკვეთილი, სადაც კანონები მსხვილ დამსაქმებლებს დასაქმებულთა ხარჯზე შემოსავლის წყაროთა გაზრდას უადვილებს. ეს კი მიიღწევა მათთვის სარგებლის დაკავებით, საარსებოდ აუცილებელი ხელფასის გადაუხდელობით, სამუშაო დროის იმგვარი განაწილებით, რაც მათ ართმევს სრულყოფილად დასაქმებულობის ნამდვილ პრივილეგიებს; ამის მიღწევის ყველაზე

გავრცელებული საშუალებაა იაფი მუშახელის ექსპლუატაცია, ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციის მსგავსად, განსაკუთრებით, შრომის ბაზრებზე, სადაც არ მოქმედებს მშრომელთა უსაფრთხოების უმთავრესი კანონები. საკმაოდ ხშირად, ამგვარი ბიზნეს-საქმიანობა ნებადართულია თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების სახელით, მიუხედავად იმისა, რომ ამგვარ საქმიანობათა კავშირი საერთაშორისო თავისუფალი ვაჭრობის უფრო დიდ ეკონომიკასთან, საუკეთესო შემთხვევაში, ბუნდოვანია. გლობალურ კორპორაციებს შეუძლიათ, ხშირად შეამცირონ ხარჯები და გაზარდონ მოგება მსოფლიოს იმ ნაწილებში საქმიანობის გადატანით, სადაც შრომა იაფია, სწორედ იმიტომ, რომ მშრომელები უკიდურესად ცუდ მდგომარეობაში არიან, ხოლო ადგილობრივ ხელისუფლებებს უფრო მეტად უცხოური ინვესტიციების მოზიდვა სურთ, ვიდრე ჰუმანური შრომითი უფლებების შემოღება, ან, თუნდაც, ყველაზე ძირითადი კანონებით, მშრომელთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ამას ორმაგი ეფექტი აქვს, რაც განვითარებულ ქვეყნებში ხელფასების შემცირებასა და განვითარებად ქვეყნებში კი სიღარიბის ზრდაში გამოიხატება. უფრო მეტიც, ყველა შრომით ბაზარზე არსებობენ ისეთი ადამიანები, რომლებსაც არ იცავთ კანონი და, შესაბამისად, ისინი დაქვემდებარებულნი არიან ექსპლუატაციას, რის საწინააღმდეგოდაც მათ ეფექტური კანონიერი ზომების მიღება არ შეუძლიათ: მაგალითად, უსაბუთო მუშები, რომლებიც სხვადასხვა მძიმე სამუშაოთა შესრულებაში კანონიერ მინიმუმზე ნაკლებ ანაზღაურებას იღებენ; ან განვითარებადი ქვეყნებიდან იძულებით გადაადგილებული და დამონებული ქალები, რომლებიც იძულებით არიან ჩართულნი სექს-ტრეფიკინგში; ასევე, სხვა სახის ძალადობა, სხვადასხვა საფრთხე და დეგრადაცია, რაც ცხოვრების ამგვარ წესს ახლავთ თან. უფრო მეტიც, ზოგიერთი საპირისპირო „პოპულისტური“ მტკიცების მიუხედავად, ეს ბოროტებანი ხშირად მოუქნელი საემიგრაციო კანონებისა და შეუღწეველი საზღვრების მიერაა წახალისებული. უპრინციპო დამსაქმებელთა ინტერესებში შედის ის, რომ სხვადასხვა ნაციონალური შრომის ბაზრები, რაც შეიძლება, მეტად იყოს ერთმანეთისაგან განცალკევებული, რადგან ეს იწვევს ორმაგ ეფექტს: „ჩრდილოვანი“ სამუშაო ძალის შექმნით იყენებს არარეგისტრირებულ მუშახელს ეროვნულ საზღვრებს შიგნით და ინარჩუნებს დასუსტებულ შრომით ბაზრებს ამავე საზღვრებს მიღმა. შრომის საერთაშორისო თავისუფალი გადინება და, მასთან ერთად, პროფესიული კავშირების ჩამოყალიბება (შრომის ორგანიზება) გლობალური მასშტაბით, ასევე, ყველა შრომით ბაზარზე დასაქმების უმთავრესი სტანდარტების მოთხოვნა თითქმის შეუძლებელს გახდის ამგვარ ექსპლუატაციას. შესაბამისად, ტრანსნაციონალურ კორპორაციულ ინტერესებსა და სახელმწიფოებს შორის არსებული უპატიოსნო შეთანხმებანი მიმართულია იმისკენ, რომ შეუძლებელი გახადოს შრომის თავისუფალი გადინება საზღვრებს მიღმა და ხშირად ამისათვის ძალიან მკაცრ საშუალებებს იყენებენ.

§37 ამგვარ საქმიანობათა წინააღმდეგ მართლმადიდებელი ეკლესია დაჟინებით მოითხოვს შრომის ღირსების დაფასებას, თითოეული პიროვნების ხელშეუხებლობას და, აგრეთვე, იმას, რომ „ღირსია მუშაკი თავისი საზღაურისა“ (I ტიმ. 5:18). ყოველ

საზოგადოებას უნდა მოეთხოვებოდეს საკუთარ მშრომელთა (დოკუმენტების მქონეთა თუ არქმონეთა) დაცვა ძალადობის, დამცირების, უარყოფისა და დამამცირებელი ექსპლუატაციისგან. უფრო მეტიც, არავინ უნდა შრომობდეს დასვენების გარეშე: ეკლესია მოითხოვს, რომ სამართლიანი ეკონომიკა ან ბიზნესი უზრუნველყოფდეს მშრომელთა არა მხოლოდ კეთილგონივრულ პროდუქტიულობასა და სათანადო ანაზღაურებას, არამედ მათთვის საკმარისი დროის გამოყოფას დასვენებისათვის, ფიზიკური და სულიერი ძალების აღდგენისათვის საკუთარი ოჯახის წევრებსა და მეგობრებთან ერთად. ყველა საზოგადოებას მოეთხოვება, რომ საკუთარი მუშები (როგორც საბუთიანები, ასევე უსაბუთოები) დაიცვას შეურაცხყოფის, დამცირების, უპატივცემულობისა და ცინიკური მოპყრობისაგან. ყოველ ხელისუფლებას მოეთხოვება ისეთი კანონების მიღება, რომლებიც დამსაქმებლებს სამუშაო ადგილების შექმნის შესაძლებლობას მისცემს, მაგრამ აუკრძალავს ადამიანის შრომის დაუდევრად გამოყენებას ან ბიზნესის ხარჯების მართვას საგანგებო მორალური სტატუსის არმქონე პირთა მიერ. ყოველმა განვითარებულმა ეკონომიკამ, თუ ის სამართლიანია, სამართლისა და ჩვეულების საკითხად უნდა აქციოს ის, რომ ამა თუ იმ ერში ბიზნესის წამომწყები უცხოელი საქმოსნები, რომლებიც უზრუნველყოფენ სანდო კანონიერ სისტემებს, ფუნქციონირებად ფინანსურ დაწესებულებებს და ძირითად სამოქალაქო თავისუფლებას, მზად უნდა იყვნენ (ამ ერებთან დადებული თავიანთი სოციალური შეთანხმებიდან გამომდინარე), იმოქმედონ იმ კანონებისა და წესების შესაბამისად, რომლებიც მშრომელებს შეუქმნის ჰუმანურ სამუშაო პირობებს და უზრუნველყოფს საცხოვრებლად საკმარისი ანაზღაურებით და აღკვეთს სხვა ქვეყნებში არსებული სტრუქტურული სიღარიბის კორუფციულ სისტემაში თანამონაწილეობას. ეს ითვალისწინებს ისეთ კანონებს, რომლებიც უზრუნველყოფენ გარანტიას, რომ განვითარებად ქვეყნებში საწარმოების შექმნის დროსაც კი, უნდა იყოს დაცული მუშახელისადმი მოპყრობის ისეთი სტანდარტები, როგორც ესაა განვითარებულ ქვეყნებში; ასევე, ბიზნეს-საქმიანობათა შესაძლებლობა საქონლის წარმოების და ყიდვა-გაყიდვისა, ან სხვა სახით გლობალურ ბაზარზე მონაწილეობისა, უნდა განისაზღვრებოდეს სამართლიანი შრომითი პრაქტიკის მიერ. ეკლესია, ასევე, უნდა მოუწოდებდეს სახელმწიფოს ისეთი კანონების მიღებისკენ, რომელთა საფუძველზეც კანონიერი სასჯელი არ დაემუქრება იმ დოკუმენტების არმქონე მუშებს, რომლებიც საკუთარ დამსაქმებელთაგან კომპენსაციას მოითხოვენ ძალადობის გამო. ამავდროულად, ეკლესიამ უნდა წაახალისოს კორპორაციები, რათა მათ სათანადო ყურადღება მიაქციონ ეკონომიკურ კრიზისში მყოფ მსოფლიოს მხარეებს და შეეცადონ, იქ მცხოვრებ ადამიანებს მისცენ ის შესაძლებლობები, რომლებიც მათ არასოდეს ჰქონიათ; ეკლესია მხოლოდ იმას ითხოვს, რომ ამგვარი ბიზნეს-საქმიანობანი თითოეული ადამიანის თანდაყოლილი ღირსებისადმი პატივისცემის სტანდარტს ინარჩუნებდნენ, და რომ განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკებში ისინი უფრო მეტად გაჭირვებულთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად უნდა დებდნენ ინვესტიციებს, ვიდრე მათი (ღარიბთა, გ.ლ.) მეშვეობით საკუთარი სარგებლის მიღებისათვის.

§38 წმ. ბასილის, წმ. ამბროსის და სხვა მამების მოწოდებებთან ერთად, მართლმადიდებელი ეკლესია საზოგადოებისგან უნდა მოითხოვდეს სოციალური უსაფრთხოების სისტემის შექმნას, რომელიც ნამდვილად დაიცავს ღარიბებსა და უქონელთ აბსოლუტური სიღატაკისაგან, დეგრადაციის, უსახლკარობისა და სასოწარკვეთილებისაგან. ყველა მიწვეულია ნადიმზე, რომელსაც ღმერთი ამზადებს, და ყველამ, ვინც წვეულებას ამზადებს, უნდა მიიწვიოს „გლახაკნი, საპყარნი, კოჭლნი თუ ბრმანი“ (ლკ. 14:13). ეს მოწოდება არა მხოლოდ პირადი ქველმოქმედების საკითხი უნდა იყოს, არამედ საჯარო სამართლიანობისაც. ეს ნიშნავს, რომ ეკლესია ვერ გაჩუმდება, როდესაც საკანონმდებლო დებულებები იმ მოთხოვნებს არ შეესაბამებიან, რომლის დაკმაყოფილებისკენაც არიან მოწოდებულნი, ან არ შეუძლიათ (კანონებს, გ.ლ.), რომ საკუთარ ბენეფიციართათვის სამოქალაქო თანასწორობის სამართლიანი სახე დაიცვან. ეკლესია, განსაკუთრებით, უნდა გმობდეს იმ ერების მოქმედებას, რომლებიც გადაჭარბებულად ფლანგავენ საჯარო ხაზინის სახსრებს ისეთ მეწარმეობაზე, რომელიც ამომრჩეველს ატყუებს და მისგან სარგებელს იღებს. განსაკუთრებით, აღმაშფოთებელია ერებში სოციალური გულგრილობის მაგალითები, რომლის დროსაც საზოგადოების კუთვნილ თანხებს (ნაცვლად იმისა, რომ სოციალურ კეთილდღეობას მოახმარონ) დიდი და სრულიად უსარგებლო შეიარაღების პროგრამების განსახორციელებლად მიმართავენ, რომელთა ერთადერთი, ნამდვილი მიზანი „სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის“ გაძლიერება და მათი გამდიდრება გახლავთ, ვისი ბიზნესიც მკვლელობის, ომების და მშვიდობიანი მოსახლეობის დაშინების დახვეწილ და, ამავდროულად, გამანადგურებელ საშუალებებს აწარმოებს. ერი, რომელიც ვერ ახერხებს საყოველთაო ჯანდაცვის ელემენტარული დონის უზრუნველყოფას სიღარიბეში მყოფ თავის მოქალაქეთათვის, და, რომელიც არაფერს აკეთებს უსახლკარობის საკითხის გადასაჭრელად, არამედ სახელმწიფო შემოსავლების უდიდეს ნაწილს სამხედრო ექსპანსიისათვის ხარჯავს, არის საზოგადოება, რომლის ქმედებათა წინააღმდეგაც სათანადოდ განსწავლული ქრისტიანული სინდისი აუცილებლად უნდა აჯანყდეს. შესაძლოა, უადგილოა, მაგრამ ეკლესია მზად უნდა იყოს დაგმოს სამოქალაქო სიმდიდრის განაწილებასთან დაკავშირებული მორალური დაუდევრობანი, სადაც არ უნდა ხდებოდეს ეს.

§39 განსაკუთრებით, უნდა აღინიშნოს (ვინაიდან ეს ასე მკაფიო და უწყვეტ ხაზად გასდევს ქრისტეს სწავლებას), რომ არ არსებობს ჭარბ ვალზე უფრო ძლიერი მატერიალური მექანიზმი იმის განსასაზღვრად, ამა თუ იმ საზოგადოებაში, თუ ვინ იქნება მდიდარი და ვინ — ღარიბი. კაცობრიობის ისტორიაში, სავარაუდოდ, ყველაზე დიდი სოციალური დაყოფა ყოველთვის მოვალეებსა და მევალეებს შორის არსებობდა. მოსეს რჯულში ვკითხულობთ იმის შესახებ, თუ რაოდენ ურცხვი საქციელია, ვახშის მეშვეობით, გასაჭირში მყოფთა დამონება. შესაბამისად, რჯული კრძალავს მევახშეობასთან დაკავშირებულ ყოველგვარ ქმედებას ისრაელის ძეთა შორის (გამ. 22:25; ლევ. 25:36-37; რჯ. 23:19-20) და გმობს ვახშით მიღებულ სარგებელს (ფს. 14:5; ეზეკ. 18:17). რჯული იმაზეც ზრუნავს, რომ არც ისრაელიანები და არც ხიზნები არ

გაღატაკდნენ (გამ. 12:49; 22:21-22; ლევ. 19:9-10; 23:22; 25:35-38; რჯ. 15:1-11). უფრო მეტიც, რჯული არა მხოლოდ კრძალავდა ვახშით გაცემულ სესხს, არამედ განაჩინებდა, რომ ყოველი მეშვიდე წელი უნდა ყოფილიყო, ეგრეთ წოდებული, „შაბათის წელიწადი“ (*shmita*), დასვენების წელი, როცა ისრაელიანებს ვალები უნდა ეპატიებინათ ერთმანეთისათვის. რჯული, ასევე, აწესებდა „ზეიმის წელიწადს“ (შვიდჯერ შვიდი შაბათის წელიწადის შემდგომ, 50-ე წელი), როდესაც ისრაელის ძეთ ყველა ვალი უნდა შეენდოთ ერთმანეთისათვის. ამგვარად, მევალეებსა და მოვალეებს შორის არსებული სხვაობის გაბათილება, დროებით მაინც, იყო შესაძლებელი, რაც ერთგვარი სამართლიანი წონასწორობის აღდგენის შესაძლებლობას იძლეოდა. ღარიბების მჩაგვრელთა და მათი გასაჭირის უგულვებელმყოფელთა გაკიცხვა გახლავთ ერთ-ერთი უმთავრესი თემა, რასაც ვხედავთ ისრაელის წინასწარმეტყველთა სიტყვებში (ეს. 3:13-15; 5:8; 10:1-2; იერ. 5:27-28: ამოს. 4:1 და ა.შ.). ეს შემთხვევითი არაა, უფრო მეტიც, ქრისტეს იგავები და მკაცრი შეგონებანი ძალიან ხშირად მიუთითებს ვალების ტვირთზე, რომლის სიმძიმის ქვეშაც იყო მოქცეული მოსახლეობის ღარიბი ფენა. თანამედროვე ქრისტიანები არ უნდა მიყვნენ წმინდა წერილის ენის მხოლოდ სულიერ განმარტებას, და ამით დაფარონ სოციალური საკითხები, რომლებსაც ის (წმ. წერილი) მიემართება. საქმე ეხება ისეთ ვალს, რომლის დაბრუნებასაც უმოწყალოდ აიძულებენ მათ, ვინც ვახშის მსხვერპლად იქცნენ, რადგან ვერ შეძლეს მისი გადახდა; ამას ქრისტე „უსამართლობის მამონას“ უწოდებს (ლკ. 16:9); როგორც იუდეური, ისე ქრისტიანული ტრადიცია მევახშეობას გმობს. როდესაც ქრისტე თავის თანამედროვე მსაჯულთა შესახებ საუბრობდა (მაგ; ლკ. 12:58-59), ის გულისხმობდა იმ გავრცელებულ ლეგალურ მექანიზმს, რისი მეშვეობითაც მევალეებს (იმ ვალების მიზეზით, რომელთა გადახდაც, უბრალოდ, შეუძლებელი იყო) შეეძლოთ მოვალეთა მთელი ქონების მიტაცება. სწორედ ამგვარ მევალეებს გმობს მოციქული იაკობიც (იაკ. 2:6); საუფლო ლოცვაშიც სწორედ ამგვარი ვალებისგან გათავისუფლების შესახებ თხოვნაა (მის თავდაპირველ კონტექსტში), სადაც ამგვარ განსაცდელთა თავიდან არიდება და ასეთ მევალეთაგან („ბოროტისაგან“) დახსნის ვედრება იგულისხმება (მთ. 6:9-13). თუმცაღა, დღემდე, ყველაზე განვითარებულ ქვეყნებშიც კი, თითქმის არ არსებობს სახელმწიფო პოლიტიკის რომელიმე მხარე, რომელიც გააკონტროლებდა კრედიტისა და სესხის გაცემას კეთილგონივრულ და ჰუმანურ რეგულაციათა მეშვეობით. საზოგადოების ღარიბი წევრები უპრინციპო საკრედიტო დაწესებულებათა მსხვერპლნი არიან და, ჩვეულებისამებრ, კრედიტორთა მხრიდან, დაცვის რაიმე მექანიზმით უზრუნვენყოფილნი არ არიან, იმ კრედიტორებისაგან, რომლებიც მათი მდგომარეობით სარგებლობენ და უვადო სესხის პირობებით ბოჭავენ. თუ ეკლესიას ნამდვილად სურს, წაახალისოს ის სოციალური საქმიანობა, რომელიც ასახავს ღვთის სიყვარულს, მოწყალებასა და სამართლიანობას, როგორც ეს ქრისტეში გამოვლინდა, მან, აუცილებლად, უნდა გამოხატოს აზრი იმ კანონების საწინააღმდეგოდ, რომლებიც მოწყვლად ფენას არაკეთილსინდისიერ და ხარბ კრედიტორთაგან არ იცავენ; და მან (ეკლესიამ) არ უნდა გამოიჩინოს სიბრალულის საჯარო ალტერნატივები იმ არაკონტროლირებადი ან არაადეკვატურად რეგულირებული კერძო

კრედიტორებისადმი, იმათთვის, ვინც მდგომარეობის შემსუბუქებასა და მოთხოვნათა დაკმაყოფილებას საჭიროებს. უფრო მეტიც, ეკლესიამ საზოგადოებას ისიც უნდა შეახსენოს, რომ დავალიანების მექანიზმები მიმართულია იმისკენ, რომ გააღატაკოს როგორც ერები, ასევე ინდივიდუალური პიროვნებები, და რომ კრედიტორი ერების სასტიკი შეუწყნარებლობა მოვალე ერების მიმართ ხშირად ხდება წარმოუდგენელი სიღარიბის მიზეზი, რომელიც ხელმოკლეთ ეკონომიკური განვითარებისა და სოციალური წინსვლის ყოველგვარ იმედს უსპობს. ქრისტე არიგებდა თავის მიმდევრებს, რომ მიეტევებინათ თანამდებთათვის (მოვალეთათვის), და, ამიტომაც, ქრისტეს ეკლესიაც დაუღალავად უნდა შუამდგომლობდეს უფრო მდიდარი ერების წინაშე საერთაშორისო ვალების პატიებას.

§40 ეკლესიას საზოგადოებისადმი ამ ყოველივეს შეხსენების განსაკუთრებული მოწოდება აქვს. მუდმივად დაუკმაყოფილებელ შიმშილს თუ არ ჩავთვლით, არ არსებობს იმაზე უფრო სასტიკი დამოკიდებულება მსოფლიოში მცხოვრებ ღარიბთა მიმართ, ვიდრე სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობის უფლების წართმევა. ქრისტე კეთილ უწყებას არა მხოლოდ უქონელთ აუწყებდა, არამედ – კოჭლებს, ბრმებს, დავრდომილთ, სნეულთ და ტანჯულთ. მის მსახურებას ღვთის განმათავისუფლებელი სიყვარულის ბრწყინვალება ახლდა თან, რაც განკურნების ძალაუფლებით გამოიხატებოდა, რომელსაც იგი უსასყიდლოდ სთავაზობდა მათ, ვინც შვებას ფიზიკურ და სულიერ სნეულებათაგან ეძიებდა. სნეულთა მონახულებას ქრისტე ხსნისათვის აუცილებელ კრიტერიუმებს შორის ასახელებდა (მთ. 25:31-46). ეკლესია, რომელიც ისწრაფვის იმისკენ, რომ იმავენაირი სიყვარული გამოუცხადოს ყველა ერს და მოითხოვოს ყოველი საზოგადოებისგან ის სამართლიანობა, რომელსაც ღმერთი ყოველი ადამიანისგან მოითხოვს, დაჟინებით უნდა სთხოვდეს ყველა ხელისუფლებას, გამოიყენოს თავისი ძალაუფლება და რესურსები იმისათვის, რომ, რაც შეიძლება, მაღალი დონის საყოველთაო სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოს ყველა მოქალაქე; რათა მათ, ვისაც ხელი არ მიუწვდებათ ამგვარ სამედიცინო დახმარებაზე, მიეცეთ ამის შესაძლებლობა საზოგადოებრივი პოლიტიკის მეშვეობით და საზოგადოებისავე ხარჯებით. სამედიცინო დახმარება ღარიბებს არ უნდა ტოვებდეს სადაზღვევო კომპანიების მოწყალების იმედად, რომლებიც უზარმაზარ სარგებელს იღებენ მცირე დახმარების გაცემის სანაცვლოდ; ხელმოკლენი აღარ უნდა გაღარიბდნენ კიდევ უფრო მეტად საკუთარი სიცოცხლის თანამოქალაქეთა შორის გადარჩენის სანაცვლოდ. ეს არის სულ მცირე, რასაც ეკლესია უნდა მოელოდეს განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებისგან. ამგვარი ვალდებულებანი არ უნდა შემოიფარგლებოდეს ნაციონალური საზღვრებით. უფრო მდიდარი ერები, ქრისტიანული თვალთახედვიდან გამომდინარე, მორალურად ვალდებულნი არიან, რომ ყველასათვის სამედიცინო პირობების მაქსიმალურად გაუმჯობესებას ცდილობდნენ. ეს, ხშირად, გულისხმობს იმ ქვეყნების მომარაგებას ხელმისაწვდომი მედიკამენტებით, რომელთაც მოქალაქეებსაც არ შეუძლიათ, შესწვდნენ მძიმე სნეულებათა განსაკურნებლად საჭირო თანამედროვე და ეფექტური მკურნალობის

ხარჯებს. ხშირად, ეს მოითხოვს ექიმებისა და მედიცინის სფეროში მოღვაწე სხვა პროფესიონალთა პირდაპირ დახმარებას. რაც არ უნდა იყოს, მართლმადიდებელი ეკლესია მოვალეა, დაუღალავად მოუწოდებდეს სხვებს და თავადაც მონაწილეობდეს, ქრისტეს სახელით, ერების განკურნების საქმეში, ქრისტესი, ვინც სულისა და სხეულის მკურნალია.

§41 ნებისმიერ ერში, ღარიბები, თითქმის ყოველთვის, პირველნი არიან, ვინც არახელსაყრელი ბუნებრივი თუ სოციალური, ეკონომიკური თუ პოლიტიკური პირობების გამო იტანჯებიან. მრავალ ადგილას სიღარიბე გახლავთ, როგორც რასობრივი ან კლასობრივი დისკრიმინაციის, ასევე, პირადი უბედურების შედეგი. ახლანდელი ეკოლოგიური კრიზისი, მაგალითად – ანთროპოგენური კლიმატური ცვლილება, წყლისა და ნიადაგის ტოქსიკური დაბინძურება მთელი მსოფლიოს მასშტაბით, მიკროპლასტიკისა და სხვა შენაერთების მიერ მიყენებული ზარალი მთელი ეკოსისტემისათვის, ტყის საფარის განადგურება, ნიადაგის ეროზია, ბიოლოგიურ მრავალფეროვნებათა სწრაფი შემცირება და ასე შემდეგ – გახლავთ შეუფასებელი კატასტროფა მთელი პლანეტისა და მასზე არსებული ყველანაირი სიცოცხლისათვის. შედეგად, უდიდესი ტვირთი მსოფლიოს ნაკლებად განვითარებული ეკონომიკის მქონე მხარეებს ეკისრებათ, სადაც ხელისუფლებებს არ შეუძლიათ (ან არ სურთ) რაიმე მოიმოქმედონ სამრეწველო ნარჩენებისა და საყოველთაო ეკოლოგიური კატასტროფისგან ღარიბების დასაცავად. სწორედ ღარიბები არიან ისინი, ვინც, ხშირად, იძულებით გადაადგილდებიან და კიდევ უფრო მეტად ღატაკდებიან მათი მიმდებარე გარემოს დაბინძურების შედეგად. თავად განვითარებული ქვეყნებშიც კი ყველაზე ღარიბ მოქალაქეებს უწევთ, ყოველდღიურად, ეკოლოგიის გადაგვარებით გამოწვეულ საშინელ შედეგებთან შეჯახება, ღარიბებს, რომლებსაც ყველაზე ნაკლებად შეუძლიათ საკუთარი მდგომარეობის გამოსწორება. იმის გამო, რომ უზარმაზარი ქონებრივი განსხვავება არსებობს ერებსა და ცალკეულ ადამიანებს შორის, სოციალური და პოლიტიკური ძალაუფლება ისევ მდიდრების ხელში იქნება, რადგან ისინი, ადამიანის განუსჯელობითა თუ სტიქიურ უბედურებათა მიერ გამოწვეული შედეგებისადმი, შედარებით, მეტ შეუვალობასა და უსაფრთხოებას, მატერიალურ საშუალებათა მეშვეობით, შეიძენენ. ასევე იქნება მათთვის ხელმისაწვდომი განათლებისა თუ პროფესიული წინსვლის შესაძლებლობანი, მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურება, საუკეთესო კანონიერი დაცვა, ყველაზე მძლავრი ფინანსური შესაძლებლობანი, პოლიტიკური ძალაუფლების მქონე დაწესებებულებთან ეფექტური წვდომა და ასე შემდეგ. დიდი ეკონომიკური უთანასწორობა სოციალური უსამართლობაა. უფრო მეტიც, ქრისტეს მოძღვრების თანახმად, ეს უფლის თვალში სისაძაგლეა. სწორედ ამ უთანასწორობის სამსახურში ჩასადგომად, მე-20 საუკუნეში, ეკონომიკის უამრავი სკოლა ჩამოყალიბდა, იმ საბაბით, რომ ეს (უთანასწორობა, გ.ლ.) ნებისმიერი მოქმედი ეკონომიკისათვის აუცილებელი თანმდევი პირობაა. ამ სკოლების მიერ გამოთქმული არგუმენტები, საუკეთესო შემთხვევაში, ტავტოლოგიური და იმის დამადასტურებელია, თუ როგორ შეუძლია ადამიანის მორალურად ღარიბ წარმოსახვას

საკუთარი თავი იდეოლოგიის მსახურად აქციოს. ეკლესია კი მინდობილი უნდა იყოს ქრისტეს შეგონებას იმასთან დაკავშირებით, რომ, ვინც ეძიებს უფლის სასუფეველს და მის სიმართლეს, ყოველივე მიეცემა ღვთის მიერ. ეკლესია, როგორც წინასწარმეტყველთა მსახურებისა და განკაცებული ღმერთის სახარების მემკვიდრე, უნდა იყოს ღარიბთა ხმა; ხმა, რომელიც გაისმება მდიდართა და ძალაუფლების მქონეთა წინააღმდეგ, იმ მთავრობათა წინააღმდეგ, რომლებიც განაგდებენ სუსტებს ან ძალადობენ მათზე, რათა ემსახურონ ძლიერთა ინტერესებს. ეკლესია ყოველ თაობაში უნდა იხსენებდეს მოციქულთა ხანის ეკლესიის მაგალითს და ყოველ საზოგადოებას ეფექტურ საშუალებებს სთხოვდეს (შესაძლოა, ახალ ეკონიმიკურ მოდელებსაც), რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება დოვლათის უფრო მეტად სამართლიანი განაწილება. შესაბამისად, ყველამ უნდა გავიაზროთ საერთო სიკეთისა, საზოგადოებისა და მთელი პლანეტისადმი ჩვენი ვალდებულება. წმ. მარია სკობცოვასთვის ეს არის ყველა იმ ადამიანის მოვალეობა, ვინც ეძიებს სასუფეველში დამკვიდრებასა და ანგელოზებრივ ნეტარებას, იმის დანახვით, როცა ადამიანს, უფლის სახელით, თუნდაც ერთ ჭიქა წყალს აწვდიან: „ადამიანი თავისი ძმის ხორციელ საჭიროებათა მიმართ უფრო მეტად ყურადღებიანი უნდა იყოს, ვიდრე – საკუთარის. ქრისტიანული სიყვარული გვასწავლის იმას, რომ ჩვენს ძმას არა მხოლოდ მატერიალური, არამედ სულიერი სიკეთეც გავუნაწილოთ. ჩვენ მისთვის ერთადერთი პერანგისა და პურის უკანასკნელი ნამცეცის მიცემაც უნდა შეგვეძლოს. პირადი ქველმოქმედება აუცილებელი და გამართლებულია, როგორც ყველაზე დიდი სოციალური საქმიანობა. ამ გაგებით, ეჭვგარეშეა, რომ ქრისტიანი სოციალური საქმიანობისკენ არის მოწოდებული. ის მოწოდებულია, იზრუნოს მშრომელთა ცხოვრების გაუმჯობესებაზე, უზრუნველყოს ხანდაზმულნი, ააშენოს საავადმყოფოები, იზრუნოს ბავშვებზე, იბრძოლოს ექსპლუატაციის, უსამართლობის, უკანონობის წინააღმდეგ“[40].

V. ომი, მშვიდობა და ძალადობა
მშვდობისათვს ყოვლისა სოფლისა...

§42 შესაქმის მშვენიერება და სიკეთე თავად ბუნების უღრმეს სისტემაში გულუხვად ცხადდება, თუმცა, ჩვენი სამყარო დაცემულიცაა, სიკვდილს დამონებული, ყველგან ძალადობით, ბოროტებით, უმეცრებითა და კონფლიქტით შერყვნილი. ბუნებისეული ძალადობა, უკვე ღმერთისაგან გაუცხოებით შებილწული ქმნილი წესრიგის ნიშანია, მაგრამ ღმერთის ხატად და მსგავსად შექმნილი ქმნილებებისადმი მიმართულ ღვთის ნებას, იმაზე მეტად არაფერი ეწინააღმდეგება, ვიდრე მოყვასზე ძალადობა; ამასთანავე, მასობრივი მკვლელობების ორგანიზებაზე დიდი მკრეხელობა არ არსებობს. ყველა ადამიანური ძალადობა, გარკვეულწილად, ღმერთისა და საღვთოდ შექმნილი წესრიგის წინააღმდეგ მიმართული აჯანყებაა. გედეონმა „უფალს მშვიდობა უწოდა“ (მსაჯ. 6:24), წმ. სილუან ათონელმა კი დაამოწმა, რომ „ჩვენი ძმა ჩვენი სიცოცხლეა.“[41] ფსალმუნთმგალობლის პირითაც ეკლესია, ასევე, აცხადებს: „აჰა, რა

კარგია და რა საამურია, ერთად რომ ცხოვრობენ ძმები!“ (ფს. 132:1) დაბადების წიგნის პირველი თავები მოგვითხრობენ, რომ ჰარმონია, მშვიდობა, თანაზიარება და დოვლათი ის ჭეშმარიტი კომპონენტები არიან, რომლებიც ღმერთმა თავისი მარადიულ ძის მიერ შესაქმეს უბოძა. ახლა კი ყველა ადამიანი აგრესიის კანონის მიხედვით ცხოვრობს, რომელი კანონიც ხანდახან მდუმარედ, ხანაც ნათლად გადმოიცემა. ომის უბედურება ადამიანის ისტორიული გამოცდილების განუყრელი ფაქტი გახდა, ხოლო ეროვნული სახელმწიფოს თანამედროვე პერიოდმა, ტექნოლოგიებმა, ნგრევამ, ადრინდელობისთვის წარმოუდგენელმა ძალაუფლებამ და გვიანმა თანამედროვე ეპოქისეულმა განვითარებამ ის, რაც ადრე ადამიანთა საზოგადოების უბრალოდ ტრაგიკული და მუდმივი მდგომარეობა იყო, ყველა სახეობის მწვავე კრიზისში გარდაქმნა.

§43 ძალადობა არის ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ფისკალური ან სოციალური ძალმომრეობის სხვების ან საკუთარი თავის წინააღმდეგ გამოყენება, რომელიც ზიანს, ტანჯვას ან სიკვდილს იწვევს. მისი ფორმებისა და სახეების აღრიცხვა შეუძლებელია. ისინი შეიცავენ ნებისმიერი სახის ფიზიკურ თავდასხმას, სექსუალურ და საოჯახო ძალადობას, აბორტს, სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულებს, ტერორისტულ აქტებს, საომარ მოქმედებებს და ა.შ. ისევე, როგორც თვითდაზიანებისა და თვითმკვლელობის ფაქტებს. ამ ყოველივეს შედეგად მასთან დაკავშირებული ყველა ნაწილის დაზიანება მოაქვს, იქნება ეს, როგორც ძალადობის მსხვერპლთა, ასევე მოძალადეთა ფიზიკური, გონებრივი და სულიერი დასნეულება. რეალურად, კვლევა ცხადყოფს, რომ ძალადობის ეფექტი, მასში პირდაპირ ჩართული მხარეების მიღმა, თითქმის უცვლელად იზრდება და მთელ კაცობრიობასა და შესაქმეს (თუნდაც უმნიშვნელოდ) აზიანებს. ინფექციის მსგავსად, ძალადობის ეფექტი „სრულ ადამზე“ და მთელ მსოფლიოზე ვრცელდება, იგი სიყვარულისმიერ შეწევნას ხშირად ართულებს, ან საერთოდ შეუძლებელს ხდის მის მიღწევას. ძალადობის ეფექტი, ასევე, უწმინდური ადამიანური წარმოსახვებით, სიყვარულისა და რწმენის იმ, არც ისე მყარ, ხუნდებს წყვეტს, რომელიც პიროვნებებს საზოგადოებად აერთიანებს. სხვა ადამიანის წინააღმდეგ მიმართული ყველა ძალადობრივი მოქმედება, რეალურად, საკუთარი ოჯახის წევრზე მიმართული ძალადობაა, ხოლო სხვა ადამიანის მოკვლა (თუნდაც დროისა და ადგილის გამო ეს გარდაუვალი იყო) საკუთარი ძმისა თუ დის მკვლელობაა. რამდენადაც ჩვენს ცხოვრებას ძალადობით ვიცავთ, ვიფარავთ ან ვაუმჯობესებთ (მაშინაც კი, როდესაც იგი ჩვენს გაუცნობიერებლად, ჩვენი სახელმწიფოს მიერაა სანქცირებული), გარკვეულწილად, მაინც კაენის ცოდვის თანამონაწილენი ვართ. და ბოლოს, პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ ძალადობა უმთავრესი ცოდვაა. ეს, სწორედ რომ, ჩვენს ქმნილ ბუნებასა და ზებუნებრივ მოწოდებას უპირისპირდება, რომ ღმერთთან და მოყვასთან სიყვარულისმიერ გაერთიანებას ვესწრაფვოთ. ეს არის ჭეშმარიტი საღვთო განგებულების, მშვიდობის, თანაზიარებისა და მოწყალების უარყოფა. ეს არის თითოეული ადამიანისადმი თანდაყოლილი საღვთო ღირსების უკუგდება, მისი ჩახშობა და თითოეულ ჩვენგანში

დავანებულ ღმერთის ხატებაზე თავდასხმა.

§44 რა თქმა უნდა, მართლმადიდებელ ეკლესიას არ შეუძლია, ძალადობა მოიწონოს როგორც თვითმიზანი ან როგორც სხვა მიზნის მისაღწევი საშუალება. იგი, ასევე, ვერ მოიწონებს ფიზიკური ძალადობის, სექსუალური შეურაცხყოფის ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენების რაიმე ფორმას. ევქარისტიის ყოველი აღსრულებისას ეკლესია დიდ კვერექსში აღნიშნავს: „მშვდობისათვს ყოვლისა სოფლისა... უფლისა მიმართ ვილოცოთ.“ ეკლესიისათვის მშვიდობა ბუნებრივად გაშმაგებულ მსოფლიოსთან უბრალო დაზავებაზე მეტია. ეს, უფრო მეტად, მიძინებული შესაქმის უღრმესი რეალობის ნამდვილი გამოცხადებაა, როგორც იგი ღმერთმა თავის მარადიულ აზრებში განიზრახა და შექმნა. ეს შესაქმის მხოლოდ ნაწილობრივი აღდგენაა. მისი ჭეშმარიტი ფორმობრივი თვალსაზრისით, ნამდვილი მშვიდობა ღმერთის ჩვენ შორის მყოფობის ჭეშმარიტი გამოხატულებაა. ეკლესიის გამორჩეულმა წმინდანებმა, როგორებიც იყვნენ წმ. მოსე ეთიოპიელი და წმ. სერაფიმ საროველი, საკუთარი თავისუფალი ნებით აირჩიეს, რომ ტანჯვა პასუხის ან სამაგიეროს გადახდის გარეშე მოეთმინათ. წმინდა ტრადიციის მიხედვით, კიეველმა წმინდა უფლისწულებმა, ბორისმა და გლებმა, ორივემ საკუთარი სამეფო შესწირეს იმის ნაცვლად, რომ საკუთარი სიცოცხლისა და სამეფოს დაცვისათვის, სხვებისადმი ძალადობაში მიეღოთ მონაწილეობა. ეკლესია თითოეულ ასეთ მოწამეს პატივს მიაგებს, როგორც სიყვარულის ძალის მოწმეებს, შესაქმის სიკეთის თავდაპირველი და საბოლოო სახის დამმოწმებლებს. ეკლესია ყველა ისეთ ადამიანურ მოქმედებას აიდეალებს, რომელიც ქრისტემ მისი მიწიერი მსახურების განმავლობაში დაადგინა.

§45 და მაინც, ეკლესიამ იცის, რომ მას არ ძალუძს, წინასწარ განჭვრიტოს ყველა ის გაუთვლელი მდგომარეობა, რომლის მიმართ ხალხი ან ადამიანები უნდა რეაგირებდნენ ნებისმიერ შემთხვევაში, და რომ, დაცემულ და დანაწევრებულ სამყაროში არის მომენტები, როდესაც საყოველთაო მშვიდობის მისაღწევი მშვიდობიანი საშუალებები არ არსებობს. როდესაც ეკლესია ყველა სახის ძალადობას ცხადად ამხელს, საზოგადოებათა ან სახელმწიფოთა ტრაგიკულ აუცილებლობასაც აცნობიერებს, რომ ადამიანებმა ძალადობის პირდაპირი მუქარისაგან, თავიანთი თავის და სხვების დასაცავად ძალა გამოიყენონ. ამგვარად, შეურაცხმყოფელი ოჯახის წევრის წინაშე მდგომმა ბავშვმა, მოძალადე ქმრის წინაშე მყოფმა ქალმა, გაშმაგებული თავდამსხმელის წინაშე აღმოჩენილმა კანონმორჩილმა მოქალაქემ, თავდასმის შემსწრე მოწმემ, ბოროტი აგრესორის შეტევის ქვეშ მყოფმა საზოგადოებამ ან ერმა, შეიძლება, საკუთარ რწმენასა და სიყვარულთან შეთავსებით, გადაწყვიტონ, რომ თავიანთი თავი და მოყვასები მოძალადე დამნაშავეებისაგან დაიცვან. ბოროტებისაგან დაცლილი თავდაცვა შეიძლება საპატიო იყოს, ხოლო ჩაგრულის მჩაგვრელებისგან დაცვა ხშირად მორალური ვალდებულებაცაა, მაგრამ, ხანდახან, ტრაგიკულია, რომ ჩამოთვლილთაგან რომელიმეს შესრულება, ძალის კეთილგონივრული გამოყენების გარეშე, შეუძლებელია. ასეთ შემთხვევებში, ლოცვა და გამჭრიახობაა საჭირო, ისევე, როგორც გულწრფელი მცდელობა, რათა შერიგება, მიტევება და განკურნება მოხდეს.

ამის გარდა, მართლმადიდებელი ეკლესია კანონიერი ხელისუფლების პასუხისმგებლობას აცნობიერებს და ამტკიცებს, რომ მან დაუცველი უნდა დაიცვას, ხელი შეუშალოს და აღკვეთოს ძალადობა, პიროვნებათა და ხალხთა შორის მშვიდობა წაახალისოს. ამიტომაა, რომ ეკლესია ღვთისმსახურებისას გულმოდგინედ ლოცულობს „მთავართათვის, რათა მიეცეს მათ მშვიდობით მყოფობა.“ ნებისმიერი მთავრობის ერთ-ერთი მთავარი მიზანი თავისი მფარველობის ქვეშ მყოფთა სიცოცხლისა და კეთილდღეობის დაცვაა. ხელისუფლება ამას ყველაზე კარგად მაშინ ახერხებს, როდესაც ძალადობის შესამცირებლად და მშვიდობიანი თანაარსებობის წასახალისებლად მუშაობს სწორედ იმის მცდელობით, რომ სამართლიანი და თანაგრძნობის შემცველი კანონები მიიღოს და ყველა ის საზოგადოება, რომელზეც მისი ძალაუფლება ვრცელდება, მათ შორის ეთნიკური ან რელიგიური უმცირესობები, თანაბრად დაიცვას და თავისუფლება მიანიჭოს. ნებისმიერი ხელისუფლებისათვის ძალის გამოყენება ყოველთვის უკანასკნელი საშუალება უნდა იყოს და მას არასოდეს უნდა გადააჭარბოს.

§46 მართლმადიდებელ ეკლესიას ომზე, ძალადობასა და ჩაგვრაზე, ისტორიულად მკაცრი პაციფისტური პასუხი არ გაუცია; ეკლესიას არც მორწმუნეთათვის აუკრძალავს ჯარში თუ პოლიციაში სამსახური, რისი მაგალითებიც ეკლესიის წმინდანი ჯარისკაცები არიან, რომლებიც ხშირად მოწამეები ხდებოდნენ. მართლმადიდებელ ეკლესიას “სამართლიანი ომის” რაიმე ისეთი ფორმა არასოდეს არ დაუდგენია, რომელიც ვითარდება და, აბსტრაქტული პრინციპების საფუძველზე, სახელმწიფოს მიერ ძალადობის გამოყენების გამართლებასა და მორალურ მხარდაჭერას მთელი რიგი საერთო კრიტერიუმების დაცვით ცდილობს. რეალურად, იგი ვერასოდეს უწოდებდა ომს „წმინდას“ ან „სამართლიანს“. პირიქით, ეკლესია იმ გარდაუვალ ტრაგიკულ რეალობას პირდაპირ აღიარებდა, რომ ცოდვა ხანდახან სულისშემძვრელი არჩევანის გაკეთებას მოითხოვს, რომელიც უნდა გაკეთდეს ძალადობის გაგრძელებასა და, ძალის გამოყენებით, ძალადობის შეწყვეტას შორის. ამ შემთხვევაშიც კი, მშვიდობისადმი ლოცვას ეკლესია არასოდეს წყვეტს და იცის კიდეც, რომ ნებისმიერ ვითარებაში ძალის იძულებითი გამოყენება ამ სიტუაციისადმი მორალურად ყოველთვის არასრულფასოვანი პასუხია. ამგვარად, არავინ (წვევამდელიც კი), მორალურად ვალდებული არაა, რომ რაიმე ისეთი სახის მოქმედებებში მიიღოს მონაწილეობა, რომელიც, მისი აზრით, სამართლიანობასა და სახარების მცნებებს უპირისპირდება. ქრისტიანის სინდისი ნაციონალურ ინტერესებზე ყოველთვის უნდა ბატონობდეს. უპირველესად, ქრისტიანი ყოველთვის ყურადღებით უნდა ეკიდებოდეს იმას, რომ ის მოვლენები, რომელთა ტერორისტულ აქტად მიჩნევა შეიძლება მაშინ, როდესაც მასზე პასუხისმგებლობას იღებენ ცალკეული პიროვნებები თუ ორგანიზებული დაჯგუფებები (მაგალითად, პოლიტიკური მოტივებით შესრულებული უდანაშაულო მოქალაქეების შემთხვევითი მკვლელობები), არ ხდებიან მორალურად მისაღებნი, როდესაც მათ აღიარებული სახელმწიფოები მიმართავენ, ან – გაუმჯობესებული სამხედრო ტექნოლოგიებით სრულდებიან. რეალურად, მტკიცებადია, რომ

თანამედროვე ომების ერთი მნიშვნელოვანი ნიშანი გახლავთ საბრძოლო მოქმედებების სტრატეგიისა და მშვიდობიანი მოსახლეობისადმი წინასწარგანსაზღვრული ტერორიზმის ეფექტური თანხვედრა.

§47 ეკლესიის სწავლება, რომლის მიზანიც ყოველთვის ქრისტესმიერი ხსნა და წარმატებაა და ეკლესიის ლოცვები, რომლებიც მოითხოვენ, რომ „კეთილნი და უმჯობესნი სულთა ჩუენთანი და მშვდობაჲ სოფლისა, უფლისა მიმართ ვითხოვოთ“, ომისა და ძალადობის სულიერ შედეგებსა და საფრთხეებს უნდა გვახსენებდეს იმათთვისაც კი, ვისაც არჩევანის გარეშე საკუთარი თავისა თუ მოყვასის ძალისმიერი დაცვა უწევთ. ქრისტე გვასწავლის: „არავისა აქვს იმაზე დიდი სიყვარული, ვინც სულს დადებს თავისი მეგობრისთვის“ (იოან. 15:13). ეს მოწოდება ჩვენი ჭვრეტის უმთავრეს საგანს – ქრისტეს ჯვარს მიემართება. სწორედ ჯვარი გახდა ბოროტებისა და შურისძიების უარყოფის ადგილი. ამგვარად, თავად ჯვარი არაა საკუთარი თავის ან სხვების დასაცავად ძალის გამოყენების რაიმე სახის გამართლება, არამედ უდანაშაულოს ბოროტისაგან დაცვას გვახსენებს და იმასაც, რომ ქრისტიანის ამგვარად მოქცევის ერთადერთი მოტივაცია სიყვარულია. ეკლესია ყოველგვარ ისეთ ძალადობას გმობს (თავდაცვით მოქმედებასაც), რომელიც სიძულვილით, რასიზმით, შურისძიებით, ეგოიზმით, ეკონომიკური ექსპლუატაციით, ნაციონალიზმით ან პიროვნული განდიდების მიზნითაა აღძრული. ამგვარი მოტივები, რომლებიც ძალიან ხშირად ე.წ. „სამართლიანი ომების“ დაფარული სათავეები არიან, ღმერთისაგან არასდროს იკურთხება. უფრო მეტიც, იმ იშვიათ შემთხვევებშიც კი, რომლებშიც ძალის გამოყენება აბსოლუტურად აკრძალული არაა, ამ სიტუაციებში ჩართული ყველა ადამიანისადმი, მართლმადიდებელი ეკლესია სულიერი და ემოციური კურნების საჭიროებას მაინც გამოარჩევს. როდესაც ვინმე ძალადობით იტანჯება ან იგვემება, არა აქვს მნიშვნელობა, თუ რამ გამოიწვია ეს, ასეთ შემთხვევაში ყოველთვის მთლიანი პიროვნება ზიანდება, რაც ადამიანის ღმერთთან, მოყვასთან და შესაქმესთან ურთიერთობასაც მუდამ აზარალებს. ამგვარად, მაგალითად, ბასილი დიდი გვირჩევს, რომ ჯარისკაცი, რომელმაც თავდაცვითი ომის ბრძოლის დროს ადამიანი მოკლა, ზოგადად „მკვლელად“ არ მიიჩნევა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი გარკვეული დროით ზიარებისაგან უნდა განეყენოს და სინანულის წესი დაედოს, რადგან „მისი ხელები არაწმინდა არიან.“[42] თავდასხმის მრავალი მსხვერპლი, ასევე, ჯარისკაცები, პოლიციელები და მოძალადეები, სულიერი განადგურების განცდას ამჟღავნებენ, რის შედეგადაც რწმენის, იმედისა და სიყვარულის მათეული უნარები ძლიერ ზიანდება. ეკლესია ამგვარი ადამიანების გამო იტანჯება, ლოცულობს ყველა იმათი განკურნებისა და ხსნისათვის, ვინც არიან „სნეულნი, მშრომელნი და ტყვეობაში მყოფნი“ (წმ. იოანე ოქროპირის სახ. საღვთო ლიტურგია). ყველა შემთხვევაში, მართლმადიდებელმა ეკლესიამ სულიერი კურნების მსახურებები არასოდეს უნდა შეუწყვიტოს მათ, ვინც ძალადობის მსხვერპლნი და მოძალადენი გახდნენ, და იზრუნოს ყველაზე, ვინც ღმერთის მადლისა და წყალობის მიმღებელია. ქრისტეს პირადი გვემა, ჯვარცმა და აღდგომა გვასწავლის, რომ ღმერთის სიყვარულს შეუძლია, სრულად შეაღწიოს

ცოდვისა და სიკვდილის უფსკრულში და დათრგუნოს იგი, გარდაქმნას თვით ჯვარი, საშინელი წარმოსახვისა და შეუბრალებელი სიკვდილის იარაღი, ნებსითი სიკვდილის, „მშვიდობისა“ და „ცხოვრების-მომნიჭებელი ხის“ საჭურველად (საკითხავი ჯვართამაღლების დღესასწაულიდან).

§48 მართლმადიდებელი ეკლესია სიკვდილით დასჯას უარყოფს და ამას სახარებისა და სამოციქულო ეკლესიის მაგალითისამებრ აკეთებს. ეკლესია, ყოველთვის, როცა ქრისტეში ფერისცვალების შესაძლებლობასა და პირობას აღნიშნავს, მიტევებისა და შერიგების რჯულს, როგორც ქრისტიანული კულტურის მთავარ ბრძანებას, მხარს ისე უჭერს. ეკლესია ყოველგვარ ხელისუფლებას პასუხისმგებლობას ცხადად აკისრებს, რომ მის ხელთარსებული ყველა საშუალებით ძალადობა აღკვეთოს. ვინაიდან სიკვდილით დასჯა ბოროტს ბოროტის წილს მიაგებს, ის, შეუძლებელია, სათნო ან თუნდაც მისაღებ პრაქტიკად იქნეს მიჩნეული. მაშინ, როდესაც ვინმე სასიკვდილო განაჩენის პროპორციული სამართლის ფორმით გამართლებას შეიძლება ცდილობდეს, ქრისტიანს ამგვარი ლოგიკის მიღება არ შეუძლია. სახარებებში ქრისტე პროპორციულობის მთავარ პრინციპს გამუდმებით უარყოფს. ის თავისი მიმდევრებისაგან მიტევების წესის დაცვას მოითხოვს, რომელიც „ბუნებითი“ სამართლის მოთხოვნებს უბრალოდ კი არ სცდება, არამედ რჯულისეულ რისხვას მიტევების წყალობის უღრმესი აზრით ცვლის (როგორც ეს მრუშობაში შემჩნეული ქალის შემთხვევაში მოხდა). ახალი აღთქმა, სრული თანმიმდევრულობით, ქრისტიანთაგან უსაზღვრო მიმტევებლობის გამოვლენას ითხოვს. ხანდახან, პავლე მოციქულის მიერ რომაელთა მიმართ (13: 1-7) ეპისტოლეში მოცემული სიტყვები (სადაც ის „ხმლით აღჭურვილებს“- *machairophoroi*, ძალაუფლების მქონეებად მოიხსენიებს) სიკვდილის დასჯის მხარდასაჭერად მოიხმობა, მაგრამ არ არსებობს მიზეზი, რომელიც გვაფიქრებინებს, რომ პავლე, როდესაც ამ სიტყვებს წერდა, სიკვდილით დასჯის პრაქტიკის შესახებ ფიქრობდა. ხოლო თუკი ეპისტოლის წერისას პავლე მოციქული აღნიშნულ პრაქტიკას გულისხმობდა, მაშინ ეს მუხლები სამართლიანი მთავრობის შესახებ არსებულ ქრისტიანულ ხედვას რაიმე სახის ინსტრუქციას კი არ მისცემდნენ, არამედ, უბრალოდ, მშვიდობიანი ქრისტიანის სტანდარტს დააწესებდა, რომელიც პირველ საუკუნეში წარმართული ხელისუფლების პირობებში ცხოვრობს. უბრალოდ, ისტორიული ფაქტია, რომ პირველი ქრისტიანებისთვის (მათი, ვისი თემებიც მოციქულთა ეკლესიიდან ძალიან სწრაფად აღმოცენდა), მეტ-ნაკლებად, უნივერსალური რწმენა ქრისტეს მოწოდება გახლდათ, რომ სხვები არ განესაჯათ, რაც, უბრალოდ, რწმენისეულ მშრალ კანონზე მეტი იყო. ამგვარად, ქრისტიანები მოსამართლეებად ან ჯარისკაცებად არ მსახურობდნენ, უმთავრესად, იმიტომ, რომ მათი პროფესიები, იმდროინდელი წესების შესაბამისად, პიროვნებისათვის სიკვდილის მისჯას ან სიკვდილით დასჯის აღსრულებას მოითხოვდნენ. ქრისტიანთა მხრიდან, იურისპრუდენციული ძალადობის სამოქალაქო აპარატში თანამონაწილეობაზე უარისთქმა პირველი ქრისტიანული მოძრაობის ერთი ყველაზე უფრო განმასხვავებელ ნიშანთაგანი და წარმართი დამკვირვებლების ზიზღის

საგანი იყო. შემდგომი სამოციქულო პერიოდის უძველესი ქრისტიანი მწერლებიც ამას ადასტურებენ. წმ. იუსტინე მარტვილი აცხადებს, რომ ქრისტიანისათვის უმჯობესია, თავად მოკვდეს, ვიდრე სხვა მოკლას, თვით კანონიერი სასიკვდილო განაჩენის შემთხვევაშიც კი.[43] სამოციქულო ტრადიციის მიხედვით, რომელიც ჩვეულებისამებრ იპოლიტე რომაელს მიეწერება, არავინ, ვისაც ჯარისკაცად გახდომა აქვს განზრახული, არ შეიძლება ეკლესიაში იქნეს მიღებული, ხოლო ისინი კი, ვინც უკვე ჯარში მსახურობენ, მათი მიღება აკრძალულია, თუნდაც, კანონიერად გამოცემულ სიკვდილით დასჯის განაჩენს აღასრულებდნენ.[44] არნობიუსი ნათლად აცხადებს, რომ ქრისტიანებს სიკვდილით დასჯის აღსრულების უფლება მაშინაც კი არ ჰქონდათ, როდესაც ეს სავსებით სამართლიანი იყო. ათენაგორა ამბობს, რომ იმათი მკვლელობაც კი, ვინც მომაკვდინებელ დანაშაულებებშია მხილებული, ქრისტიანებისათვის შეუთავსებელია, რამდენადაც ისინი ვალდებულები არიან, რომ ადამიანთა ყოველგვარი მკვლელობა სულის წაბილწვად აღიქვან.[45] მინუციუს ფელიქსი, წმ. კვიპრიანე და ტერტულიანე თვლიან, რომ ქრისტიანებმა უდანაშაულო სიკვდილის სასჯელით არ უნდა დასაჯონ. ლაქტანციუსის მიხედვით, ქრისტიანს არც ბოროტმოქმედებისთვის სამართლიანად დასჯილის მოკვლა შეუძლია და არც სხვა ადამიანისადმი სასიკვდილო დანაშაულის ბრალის წაყენება.[46] ისიც სიმართლეა, რომ იმპერიის გაქრისტიანების შემდეგ, ეკლესიას იურისპრუდენციის არსებული სისტემის რეალობა (რომელიც სიკვდილით დასჯასაც შეიცავდა) უნდა მიეღო და გამოესწორებინა იგი, რისი გაკეთებაც მხოლოდ ნაწილობრივ შეეძლო. ამგვარად, ეკლესიის უდიდესი მამები მომაკვდინებელი საქმეების შესახებ კანონთა სრულად განხორციელებას გამუდმებით ეწინააღმდეგებოდნენ, ნაწილობრივ იმიტომ, რომ სიკვდილით დასჯა ღმერთის, როგორც სამართლიანი მსაჯულის, როლს იტაცებს, ხოლო, ნაწილობრივ, იმიტომაც, რომ იგი დამნაშავეს სინანულის შესაძლებლობას ართმევს. ანალოგიური სიტუაცია იყო, როდესაც იოანე ოქროპირმა იმპერატორს მეამბოხეთა „კანონიერი მკვლელობისაგან“ თავის შეკავება სთხოვა: „თუკი შენ ღმერთის ხატს მოკლავ, როგორღა შეძლებ ამ ქმედების უკან წაღებას?.“[47] არსებითად, მამათა შორის, ბატონობდა აზრი, რომ მთაზე ქადაგება, შურისგების ამკრძალველი, აწესებდა ქრისტიანებისათვის სტანდარტს როგორც კერძო, ასევე საზოგადო თვალსაზრისით, რადგან ქრისტემ, ჯვარზე მყისიერად უარყო ძალადობა და ამოწურა შჯულისეული რისხვა. თუმცა, საუკუნეთა შემდგომ, საჯაროდ ვაღიარებთ, რომ ეკლესია ისეთ კულტურებსა და მმართველებს ესატყვისებოდა, რომელთანაც ის საკუთარ თავს აკავშირებდა. სიკვდილით დასჯისადმი ეს საწინასწარმეტყველო მტრობა, ხშირად, დიდი ხნის განმავლობაში იყო მივიწყებული, მაგრამ იგი ახალი აღთქმისა და ეკლესიის ადრეული გარიჟრაჟის იდეალად კვლავ რჩება და დღეს მისი აღდგენა სავსებით უყოყმანოდ შეიძლება. ამგვარად, იმის მიუხედავად, რომ ეკლესია სახელმწიფოს ვალდებულებას სრულად აღიარებს – დააპატიმროს ისინი, ვისაც სხვების დაზიანება შეუძლია, ყველა ქვეყანას სიკვდილით დასჯის გაუქმებისაკენ მოუწოდებს. ეკლესია, ასევე, მიმართავს მსოფლიოს ყველა კუთხის ადამიანის სინდისს და სთხოვს მას, აღიაროს, რომ სიკვდილით დასჯა, თითქმის ყოველთვის, გარდაუვალი განაჩენია

მათთვის, ვისაც საუკეთესო იურიდიული მომსახურეობისათვის შესაბამისი სახსრები არ გააჩნიათ, ან მათთვის, ვინც რასობრივ თუ რელიგიურ უმცირესობას განეკუთვნებიან.

§49 მართლმადიდებელ ქრისტიანთათვის მშვიდობის გზა, დიალოგი, დიპლომატია, მიტევება და შერიგება ყოველთვის უმჯობესია ძალადობაზე, სიკვდილით დასჯასა და პოლიციურ ან სამხედრო ძალის გამოყენებაზე. ძალადობის პასუხად, ქრისტიანული სიწმინდე, შეიძლება, უმაღლესი ფორმით გამოიხატებოდეს მათ მიერ, ვინც ყოველდღე ცდილობს, რომ პიროვნებებს შორის ურთიერთგაგება და პატივისცემა დამკვიდრდეს, აღიკვეთოს კონფლიქტი, გაერთიანდნენ დაყოფილები, ძალადობისკენ მაბიძგებელ პრობლემათა შესამსუბუქებლად ეკონომიკური და სოციალური მექანიზმები შეიქმნას. სიწმინდე, ასევე, მათ მიერაც გამოიხატება, ვინც მარგინალიზებულებს და ტანჯულებსაც ეხმარებიან და ზრუნავენ მათზე. ეს ყოველივე მათშია, ვინც ცხოვრება, საკუთარ თუ სხვების გულებში, ძალადობის ამოძირკვას მიუძღვნა. ამის გამო უფალი აცხადებს: „ნეტარ არიან მშვიდობისმყოფელნი, ვინაიდან ისინი ღმრთის ძეებად იწოდებიან“ (მთ. 5:9). „მამაო ჩვენოს“ ლოცვისას, ჩვენს მოწოდებას, როგორც „ღვთის შვილები“, ისე ვიღებთ, რაც ნიშნავს, რომ ჩვენს ოჯახებსა და ადგილობრივ თემებში მშვიდობისმოქმედნი ვიყოთ და მხნედ ვიღვაწოთ, რათა არსებული ძალადობა და ომი აღვკვეთოთ და ის განყოფანი განვკურნოთ, რომლებიც ჩვენში და სხვებში არიან. ბასილი დიდი ამბობს: „ურთიერთისადმი სიყვარულისა და ყველასადმი მშვიდობიანობის გარეშე, ჩემი შესაძლებლობებით, ქრისტეს მონად ვერ ვიწოდები.“[48] წმ. ბასილი, ასევე, დასძენს: „მშვიდობისმოქმედის მსგავსი სხვა მახასიათებელი ქრისტიანს არ აქვს.“[49]

VI. ეკუმენური ურთიერთობები და დამოკიდებულება სხვა სარწმუნოებებისადმი ყოველთა ერთობისათვს ... ვილოცოთ

§50 მართლმადიდებელი ეკლესია საკუთარ თავს, ნიკეა-კონსტანტინოპოლის სარწმუნოების სიმბოლოს შესაბამისად, ერთ, წმინდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიად იგებს. ის არის კრებების ეკლესია, რომელიც ქარიზმატულად, იერუსალიმის მოციქულთა კრებიდან (საქ. 15:5-29) დღემდე, საკუთარ მოწმობას უწყვეტად აღასრულებს.[50] მას მოუკლებლად აქვს ყველაფერი საყოველთაოობისა და ქრისტეს სხეულთან სრულყოფილი ერთობისათვის; ამასთანავე, ის საკრამენტული, სამართლებრივი და სამოძღვრო მადლის სისავსესაც ფლობს. მამა გიორგი ფლოროვსკი წერს: „მართლმადიდებლებს არ შეუძლიათ, არ დაადასტურონ, რომ მართლმადიდებელი ეკლესიის არსებითი იდენტურობა ყველა საუკუნის ეკლესიასთან და, კერძოდ, უძველეს ეკლესიასთან, არის მისი ერთადერთი „სპეციფიკური“ ან „განმასხვავებელი ნიშანი“ დაყოფილ ქრისტიანობაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის არ არის ერთ-ერთი ეკლესიათაგანი, არამედ – თავად ეკლესია, როგორც ასეთი. ეს მოწმობა უზარმაზარია, მაგრამ სამართლიანი და მართებული. აქ არის უფრო მეტი, ვიდრე ურღვევი ისტორიული უწყვეტობა, რომელიც სრულიად აშკარაა; აქ, უპირველეს ყოვლისა, სრული სულიერი და ონტოლოგიური იდენტურობაა, ერთი და იგივე

სარწმუნოება, ერთი და იგივე სული, ერთი და იგივე წესი (ეთოსი). ეს არის სწორედ მართლმადიდებლობის განმასხვავებელი ხასიათი. ესაა სამოციქულო სარწმუნოება, ესაა მამათა სარწმუნოება, მართლმადიდებლური სარწმუნოება, ამ სარწმუნოებამ სამყარო განამტკიცა.“[51]

§51 ამგვარად, მართლმადიდებელი ეკლესია, სიყვარულით, ყველა ქრისტიანთან ერთიანობის მიღწევას სერიოზულად ცდილობს და სურს, რომ ყველას, ვინც ქრისტეს სახეს ეძებს, საკუთარი სულიერი სიმდიდრენი და ტრადიცია გაუზიაროს. უფრო მეტიც, ის იაზრებს, რომ ტრადიციის გარკვეული კულტურული ფორმები ან ის ჭეშმარიტი სამოციქულო ძალაუფლება და საიდუმლოებრივი მადლი, რომელშიც იგია დამყარებული, ეჭვქვეშ არ უნდა იყოს დაყენებული. ეკლესია ესწრაფვის, რომ ქრისტიანთა სხვა თემებთან დიალოგს შეეწიოს, რათა მათ მართლმადიდებლობის მშვენიერების სრული გააზრება შესთავაზოს და არ ეშურვება იმას, რომ ისინი კულტურულ „ბიზანტინიზმში“ მოაქციოს. ის ამგვარად იქცევა, რათა მსოფლიოში მიმობნეული ქრისტიანების რწმენის გამოცდილებიდან გაიაზროს ქრისტიანული კულტურის მრავალგვარი გამოვლინება და ისწრაფოს ქრისტეს აღმსარებელთა ერთობისაკენ. მართლმადიდებლობას არ შეუძლია დუმილი; ის ყველას უწვდის ხელს და, ამასთანავე, ყოველ ქრისტიანს სარწმუნოების სისავსისაკენ მოუწოდებს: „მართლმადიდებელ ეკლესიას აქვს მისია და ვალდებულება, რომ გადასცეს და იქადაგოს წმიდა წერილისა და წმიდა გადმოცემის ჭეშმარიტება, რაც ანიჭებს კიდეც ეკლესიას საყოველთაო ხასიათს. ერთობასთან დაკავშირებით, მართლმადიდებელი ეკლესიის პასუხისმგებლობა, ისევე, როგორც მისი მსოფლიო მისია, მსოფლიო კრებებზეა განცხადებული, რომლებმაც განსაკუთრებით გამოკვეთეს ის ურღვევი კავშირი, რაც არსებობს მართალ სარწმუნოებასა და საიდუმლოებში მონაწილეობას შორის.“[52]

§52 თუმცა, ყველა ქრისტიანის ხილული საკრამენტული ერთობა დღეს მხოლოდ შორეულ იმედს წარმოადგენს, მაგრამ არაფერია ღმერთის სულის მიღმა და ეკლესია ვერ შეამცირებს საკუთარ მცდელობებს მათი ტელეოლოგიური ერთობისათვის, რომელნიც ქრისტეს სახელით იკრიბებიან. იმდენად, რამდენადაც დღევანდელ დღემდე მათი გულები და გონებანი ჯერ კიდევ გახსნილია ღმერთის სიტყვისა და სულის განზრახვათათვის, ყველა განშტოების ქრისტიანს, სამყაროს ფერისცვალებისთვის, შეუძლია ერთმანეთს სიყვარულითა და თანამოღვაწეობით შეხვდეს. კერძოდ, მათ შეუძლიათ ერთმანეთთან თანამშრომლობა საქველმოქმედო საქმეებში, რომლითაც საღვთო სიყვარული მთელ სამყაროს ეუწყება; იმავდროულად, სოციალური და სამოქალაქო სამართლიანობის გაუმჯობესებისათვისაც შეუძლიათ თანამოქმედება, რითაც საღვთო სამართლიანობა და მშვიდობა ყველა ადამიანს განეცხადება. უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად მათ არ შეუძლიათ, ჰქონდეთ სრული ზიარება ეკლესიის საკრამენტულ ცხოვრებაში, ყველა ქრისტიანი, წმინდა სამებაში ნათლობის საფუძველზე, მოწოდებულია ერთად ლოცვისათვის, წარსულის შეცდომების მიტევებისათვის მათი ძმების, დებისა და ერთმანეთისადმი,

როგორც ღვთის სასუფევლის თანამსახურთა და მემკვიდრეთა სიყვარულისათვის. „იმით გიცნობთ ყველა, რომ ჩემი მოწაფეები ხართ, თუ გექნებათ სიყვარული ერთმანეთს შორის“ (იოან. 13:35).

§53 მართლმადიდებელ ეკლესიას განსაკუთრებული მჭიდრო კავშირები აქვს იმ ერთობებთან, რომელნიც უძველესი სამოციქულო ეკლესიიდან აღმოცენდნენ და გააჩნიათ სამოციქულო მადლის, საეპისკოპოსო მემკვიდრეობისა და საკრამენტული თეოლოგიის მსგავსი გაგება: ესენია: ეგვიპტის, ეთიოპიის, სომხეთის, სირიული ტრადიციის, კენტერბერიისა და რომის უძველესი ეკლესიები. ამგვარად, მართლმადიდებელ ეკლესიას რომის კათოლიკე და ანგლიკანურ კრებულებთან მნიშვნელოვანი ორმხრივი დიალოგები აქვს. ის ლოცულობს, რომ ამ დიალოგებმა, შედეგად, ეკლესიაში სრულყოფილი ერთობის ნაყოფი მოიტანონ. თუმცა, ყველა სხვა ქრისტიანული კრებულიც თავისი ახლობელია და ყველასადმი სიყვარულიც თანაბრად უპირობოა. ახლა, უკვე ერთ საუკუნეზე მეტია, რაც მართლმადიდებელი ეკლესია, ემორჩილება რა უფლის მოთხოვნასა და მოწოდებას – „რათა ყველანი ერთი იყვნენ“ (იოანე 17:21), ქრისტიანული ერთობისაკენ წამყვან მოძრაობაში მეწინამძღვრე როლს ასრულებს. მსოფლიო საპატრიარქო, თავის მხრივ, სხვა კრებულების ქრისტიანებთან მართლმადიდებლურ შეხვედრებში წინა პლანზეა და სხვა ძირითად ქრისტიანულ ეკლესიებთან წარმოებულ უამრავ ორმხრივ და მრავალმხრივ დიალოგებში ერთგულ მონაწილედაა წარმოდგენილი. რეალურად, მსოფლიო საპატრიარქო, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ერთ-ერთი დამაარსებელი იყო და საბჭოს ცენტრალურ ოფისებში ოფიციალურ წარმომადგენლობას დღემდე უწყვეტად ინარჩუნებს.

§54 მოკლედ, ეკლესია სხვა ქრისტიანებთან დიალოგის დასახმარებლად გახსნილია. დიალოგი, მართლმადიდებლური გაგებით, ღმერთის კაცობრიობასთან დიალოგის არსებითი და უპირველესი ანარეკლია. იგი ღმერთის მიერაა დაწყებული და ჩვენი უფლისა და მაცხოვრის, იესო ქრისტეს ღვთაებრივი ლოგოსის მეშვეობით მოქმედებს. დიალოგი ადამიანთა ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავს – პიროვნულს, სოციალურსა და პოლიტიკურს. ამასთანავე, ის უნდა ვრცელდებოდეს განსხვავებულ რელიგიურ მიმდინარეობებზეც. ღმერთის სიტყვა ჩვენს კავშირებსა და ურთიერთობებში მისტიკურად მყოფობს, ის წარმართავს ჩვენი აზრებისა და იდეების ურთიერთგაცვლას ღმერთის სიტყვაში ჩვენი გულების სულიერი ერთობისათვის. ბუნებრივია, მართლმადიდებელი ეკლესია საკუთარ პასუხისმგებლობად ყოველთვის მიიჩნევს, რომ სხვა ტრადიციები და პერსპექტივები იმ ტერმინებით განიმარტოს, რომლებიც მას ღმერთის მიერ განეცხადა. ამგვარად, ეკლესია გახსილია ყველაფრისათვის, „რაც კი რამ ჭეშმარიტია და პატიოსანი, რაც მართალია და წმიდა, რაც საყვარელია და საქებარი, სათნო და ქებული“ (ფილიპ. 4:8), და მზადაა, განიხაროს, როდესაც ჩამოთვლილ მახასიათებლებს მისი დიალოგის პარტნიორში აღმოაჩენს. სხვა ქრისტიანულ კონფესიებთან ეკუმენური ურთიერთობის ჩვენი ერთგულება აირეკლავს გახსნილობას მათდამი, ვინც გულწრფელად ეძებს ჭეშმარიტებას, როგორც განკაცებულ სიტყვას, იესო ქრისტეს, ვინც ერთგული რჩება საკუთარი სინდისის,

მაშინაც კი, როდესაც ჩვენ ვაგრძელებთ ქრისტიანული სარწმუნოების ჭეშმარიტების დამოწმებას მართლმადიდებელ ეკლესიაში. უფრო მეტიც, ეკლესიას სხვა ქრისტიანებთან ერთად დგომა შეუძლია არა მხოლოდ მათი ზიარი ისტორიისა და მორალური ხედვებისადმი სოლიდარობის გამოსახატავად, არამედ, იმიტომაც, რომ ასეთი ქრისტიანული ერთობები, მათი ტრიადოლოგიური ნათლობისა და კრებათა სარწმუნოების აღიარებით, მართლმადიდებლური სწავლებისა და ტრადიციის მრავალ ასპექტს აღიარებენ და იზიარებენ.

§55 ღმერთი, ზეცაშიც და მიწაზეც, ყველას მამაა. ღმერთის ლოგოსი ყველაფერზე ვრცელდება და ყველაფერი მის მიერ შეიქმნა. ღმერთის სული ყველგანაა, იგი ყოველგვარ არსებულს განანათლებს და აცოცხლებს. შესაქმე ყველგან თავისი შემოქმედის ძალას, სიბრძნესა და მადლს გამოავლენს, რადგან ყოველთვის და ყველგან ის ჭეშმარიტების მაძიებლებთან მყოფობს. ეკლესია დროში ქრისტეს მისტიკური სხეულის კონკრეტულ რეალობად მსხემობს და ყოველთვის ატარებს მოწმობას „ღმერთის დიდების შემეცნებით გაბრწყინების, რომლითაც სხივოსნობს იესოს სახე“ (2 კორ. 4:6). სწორედ ამ მიზეზით, ეკლესია, არა მხოლოდ მიდის და ამოწმებს მართლმადიდებლობას განსხვავებულ ქრისტიანულ აღმსარებლობებთან, რომლებთანაც მართლმადიდებელი ეკლესია ისტორიული დიალოგით განიხარებს, არამედ, ის გადის გარეთაც, რათა შეხვდეს არაქრისტიანულ რელიგიებს და რელიგიურ ერთობებს, რომელნიც გახსნილი არიან ჭეშმარიტებისა და ღვთის მოწოდებისადმი. ამრიგად, ეკლესია, ადრეული საუკუნეებიდან მოყოლებული, დაამოწმებს, რომ ღმერთის სიტყვა მთელს შესაქმეში ბრწყინავს და ესაუბრება ყველა გულს სინდისის ჩუმი ხმით, და რომ, სადაც კი პატივისიცემება ჭეშმარიტება, იქ ღვთის სული მუშაკობს. მაგალითად, წმ. იუსტინე მარტვილი აცხადებს, რომ ღმერთის სიტყვის ცოდნა ღმერთმა მხოლოდ ისრაელის შვილებს კი არა, არამედ ბერძენ ფილოსოფოსებსაც მიანიჭა, რომლებიც ქრისტეს არასოდეს იცნობდნენ და, ასევე, ყველა ხალხსაც, რამდენადაც მარადიული ლოგოსის მარცვალი ყველა ადამიანში დაითესა. ამგვარად, იუსტინე ამბობს, რომ ყველა, ვინც ღმერთის სიტყვასთან ჰარმონიულად ცხოვრობდა, გარკვეულწილად, უკვე ქრისტიანები არიან, ხოლო ქრისტიანებს შეუძლიათ, საკუთრად მიიღონ ყოველი ჭეშმარიტება, რომელიც საღვთო შთაგონებით არის სხვადასხვა ერებში.[53] მაქსიმე აღმსარებლის მიხედვით, პირველსაწყისი ლოგოსები, რომელნიც საფუძვლად უდევს ყველა არსებას, მყოფობენ ღმერთის სიტყვაში და საკუთარ ისტორიულ ცენტრს ქრისტეში ჰპოვებენ.[54] უფრო მეტიც, ეკლესიამ იცის, რომ ღმერთის სიტყვის სრული საიდუმლო სცდება ადამიანურ აზროვნებას და მასთან (ადამიანთან, გ.ლ.) თავად ამყარებს კავშირს ისეთი მრავალგვარი და საოცარი საშუალებებით, რომელთა აღრიცხვაცა და წვდომაც შეუძლებელია. ამგვარად, ეკლესია სხვა რელიგიურ ტრადიციებთან დიალოგს იმიტომ კი არ ესწრაფვის, რომ საკუთარი რწმენის მემკვიდრეობა შეცვალოს, არც იმიტომ, რომ ამ მემკვიდრეობის საკმარისობაზე იღელვოს, არამედ, რადგან კეთილმსახურებითი სიყვარული აქვს მათდამი, ვინც ეძიებენ ღმერთს და მის სიკეთეს, მტკიცედ რწმუნდებიან იმაში, რომ

ღმერთს არ დაუტოვებია არცერთი ერი მისი დიდებისა და მადლის თანაზიარების გარეშე. რა თქმა უნდა, ვერ უარვყოფთ, რომ მართლმადიდებლობასა და სხვა რელიგიურ ტრადიციებს შორის, ჭეშმარიტების გააზრების შესახებ, მრავალი შეუთავსებელი განსხვავება არსებობს. ეკლესია, რა თქმა უნდა, არ უშვებს კომპრომისებს თავის ძირითად მრწამსზე, თუმცა, არც იმას შეიწყნარებს, თითქოს სხვა სარწმუნოებები უმნიშვნელონი იყვნენ. იმავდროულად, იცის რა ეკლესიამ, რომ ღმერთი თავის თავს მრავალრიცხოვანი საშუალებებითა და უსაზღვრო შესაძლებლობებით გააცხადებს, ის დიალოგში შედის სხვა რელიგიებთან, რომელნიც მზად არიან, აღფრთოვანდნენ საღვთო სიკეთის, მადლისა და სიბრძნის მრავალგვარობისა და სილამაზის გამოვლინებით.

§56 იმის მიუხედავად, რომ მართლმადიდებელი ეკლესია მეგობრობის უღრმეს კავშირებს ყველა სარწმუნოებასთან ესწრაფვის, ის თავის განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას „ბიბლიურ ორ ხალხთან“ დაკავშირებით გრძნობს, აბრაამისეული ტრადიციის ისლამთან და იუდაიზმთან, რომლებთანაც მას ხანგრძლივი დიალოგები აქვს და ვის გვერდითაც ათასწლეულებია ცხოვრობს. შესაბამისად, ეკლესიას ისლამის მშვენიერებისა და გულწრფელობის მიღება მის (ისლამის, გ.ლ.) მრავალ ტრადიციაში შეუძლია და იღებს კიდეც. ამასთანავე, მასთან შეხების წერტილებსაც აცნობიერებს, განსაკუთრებით, ქალწულებრივი შობის მისეულ დადასტურებას (ყურანი 3:47, 19: 16021, 21:91) და იესოს ცნობას მესიად, ღვთის წარმოგზავნილად, სიტყვად და ღმერთის სულად (4:171). მართალია, მართლმადიდებლობას არ შეუძლია, რომ ისლამს განკაცებისა და ღმერთის, როგორც სამების, უარყოფაში დაეთანხმოს, თუმცა, მიუხედავად ამისა, ეკლესიას, ძირითადი ქრისტიანული სწავლებების მართებულ გაგებასთან დაკავშირებით, ისლამურ უმასთან მრავალმნიშვნელოვანი დიალოგის გაგრძელება კვლავ შეუძლია. მიჩნეულია, რომ ახლო აღმოსავლეთში ქრისტიანობისა და ისლამის ზიარი ფესვები ღმერთის გზავნილის (რომელიც ერთიანობისკენაა მიმართული) ორმხრივი დადასტურება, ღმერთის სიტყვისა და მისი წინასწარმეტყველების სიწმინდისა და ჭეშმარიტების საერთო აღიარება, ლოცვისა და ასკეზის მნიშვნელობა, ასევე, ძალისხმევა, რომ ღმერთის ნებელობა ყველაფერში იხილვებოდეს – მოუხმობს ისლამსა და მართლმადიდებლობას, რომ მშვიდობის მისაღწევად და ხალხთა შორის ურთიერთგაგებისთვის ერთმანეთთან გულითად დიალოგში ჩაერთონ.

§57 რაც შეეხება იუდაიზმს. როდესაც ღმერთის მარადიული ძე ადამიანი გახდა, იგი ებრაელად იშვა, ისრაელის სხეულში დაიბადა და ღმერთის აღთქმები მისი რჩეული ერისადმი იმემკვიდრა. ის მოვიდა, როგორც ისრაელის მესია, საღვთო გამომხსნელობითი აღთქმის აღსასრულებლად. სამყაროს გამოხსნისათვის განკუთვნილი პირველი სისხლი მან წინადაცვეთისას დაღვარა. ქვეყნიერების წინაშე, ღვთის სამართლიანობასთან დაკავშირებით, მისი პირველი აღიარება, ისევე როგორც ქვეყანისადმი მისი მისიის განცხადება (ლკ. 4:18-21), სინაგოგაში მოხდა. მისმა მსახურებამ ისრაელის უდიდესი წინასწარმეტყველების ენა განაახლა. ის წარმართთა

ხელისუფლების მიერ დაისაჯა წარწერით – „იუდეველთა მეფე.“ ისრაელს ღმერთმა საკუთარი თავი გაუცხადა, როგორც – „მე ვარ, რომელი ვარ“, ისრაელს ღმერთმა რჯული მისცა, როგორც სიყვარულისა და თანაზიარების ენა. ისრაელთან დადო ღმერთმა მარადიული აღთქმა და მასვე განუცხადა: „ვაკურთხებ შენს მაკურთხეველს და დავწყევლი შენს მაწყევარს; კურთხეული იქნება შენში მიწიერთა მთელი მოდგმა“ (დაბ. 12:3). როგორც პავლე მოციქული აღნიშნავს, ქრისტიანები ქრისტეს მიერ გამოხსნილნი არიან ველური ზეთისხილის მხოლოდ ბუნებით ზეთისხილზე დამყნობის მსგავსად, და ისინი არ უკავია ტოტებს, არამედ ფესვებს (რომ. 11:16-24). მართლმადიდებელი ქრისტიანები მსოფლიოში მყოფ იუდაურ თემებს არ განიხილავენ უბრალოდ განსხვავებული მრწამსის მქონე ჯგუფებად, არამედ, გარკვეულწილად, როგორც ღმერთის გამომხსნელი გამოცხადებების ისტორიაში მათ (ქრისტიანთა, გ.ლ.) სულიერ უხუცესებად, ძვირფასი მემკვიდრეობის მცველებად, რომელი მემკვიდრეობაც ისტორიაში ღმერთის გამომხსნელი მყოფობის პირველი სრული გამოხატულებაა. სამწუხაროა, რომ ახლა ამ ცნობათა აღნიშვნის საჭიროება დგას. ბოლო წლებში, დასავლური სამყაროს დიდ ნაწილში ნაციონალური, რელიგიური და რასობრივი იდენტობის, განსაკუთრებით კი ანტი-სემიტური მოძრაობების განახლების ყველაზე მზაკვრული იდეოლოგიების მოწმენი გავხდით. ებრაელთა წინააღმდეგ მიმართული ფანატიზმი და ძალადობა, დიდი ხანია, საქრისტიანოში არსებული კულტურების შესამჩნევი ბოროტებაა. ევროპაში მცხოვრები ებრაელების წინააღმდეგ, ისტორიაში მასობრივი მკვლელობებისა და ჩადენილი გენოციდის უდიდესი სისტემური კამპანიები ჩატარდა. მაშინ, როდესაც ზოგი მართლმადიდებელი ეკლესია მათი ებრაელი ძმებისა და დებისადმი განსაკუთრებულ კეთილშობილებასა და სამსხვერპლო თანაგრძნობასაც ავლენდა (რითაც მათ საპატიო ჯილდო -„ერთა შორის მართალი“ დაიმსახურეს), ზოგიერთ ისტორიულად მართლმადიდებლურ ერებს ანტი-სემიტური ძალადობისა და დამცირების ბნელი წარსული აქვთ. ყოველი ასეთი ბოროტებისათვის ქრისტიანებმა მიტევება უნდა ითხოვონ. ებრაელი ხალხის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებებისადმი (განსაკუთრებით, რაც მართლმადიდებლურ მიწებზე იქნა ჩადენილი) ეკლესია სინანულის გზით ეძიებს როგორც ღვთისეულ მიტევებას, ასევე, ებრაულ თემებთან და ებრაელთა რწმენასთან სიყვარულისმიერ, ღრმა ურთიერთობას.

§58 სხვა არამართლმადიდებლური ქრისტიანული რელიგიების შესახებ ისტორია ჯერ არ დასრულებულა. მართლმადიდებლობა ამოწმებს, რომ სხვა არამართლმადიდებელი ჯგუფები მჭიდრო კავშირსა და სიცხადეს მხოლოდ მართლმადიდებელ ეკლესიასთან ერთობაში პოულობენ. სხვა რელიგიებთან დაკავშირებით, მართლმადიდებელი ეკლესია აღძრულია პავლე მოციქულის ათენელებისადმი არეოპაგზე მიმართვით: „სწორედ იმას გახარებთ, ვისაც შეუცნობლად ეთაყვანებით“ (საქ. 17:23). ეკლესია უფლებამოსილია, განაცხადოს, რომ ჭეშმარიტი ღმერთი, რომელშიც მთელი კაცობრიობა ცხოვრობს, მოძრაობს და მყოფობს, ხალხის მიერ (როგორც ქრისტიანთაგან, ასევე არაქრისტიაგანთანაც) ყველგან თაყვანისიცემება. ეს ეკლესიას მხოლოდ უფრო მოშურნეს ხდის, ყველა პიროვნებასა

და ხალხს გააგებინოს, რომ ერთი ჭეშმარიტი ღმერთის სახე იესო ქრისტეში ნათლად ბრწყინავს. უფრო მეტიც, ბრწყინვალებით განათლებული ეკლესია სხვა სარწმუნოებებთან დიალოგში სრულად მომზადებული შედის, რომ მათი მრავალი პირადი თეორიული, კულტურული და სულიერი მიღწევებით განისწავლოს. შეიძლება ითქვას, რომ როგორც ადრეული საუკუნეების ეკლესიამ ისარგებლა წინაქრისტიანული ევროპის, მცირე აზიისა და ახლო აღმოსავლეთის მრავალი ფილოსოფიური, რელიგიური და კულტურული სიმდიდრის მონათვლით, ასევე შეუძლია მას (ეკლესიას, გ.ლ.) ახლაც, რომ რწმენის მემკვიდრეობის გამოთქმისთვის ახალი გზები აღმოაჩინოს ან ახალი აზროვნების საშუალებები გამოძებნოს მისი კულტურული გამოხატვისა და კონცეპტუალური ფორმების შესახებ, მაგალითად, ინდოეთის დიდი ფილოსოფიების და სარწმუნოებების, ჩინეთისა და შორეული აღმოსავლეთის ტრადიციების, მსოფლიოს მასშტაბით მცხოვრებ ტომთა ხალხის სულიერი გამოცდილებების მეშვეობით და ა.შ ვიმეორებთ, რომ, როგორც იუსტინე მარტვილი აცხადებს, ყველაფერი, რაც კი ჭეშმარიტი და საღვთოა, ჩვენთვის მისაღებია, რამდენადაც ღმერთის სიტყვა არის ყველგან და ყველაფერს განაბრწყინებს.

§59 გარდა ამისა, მართლმადიდებელი ეკლესია მიისწრაფვის ზიარი საქმე ჰქონდეს იმ პიროვნებებთან და ხალხთან, რომლებიც მოღვაწეობენ და იცავენ სულის საქმეებს თანამედროვე ეპოქის დამანგრეველი მატერიალიზმისაგან; აგრეთვე, იმათთან, ვინც გამოხატავს ზიზღს რელიგიური ექსტრემიზმისა და ფუნდამენტალიზმის იმ ფორმებისადმი, რომლებიც მკრეხელურად აკავშირებენ ღმერთის სახელთან სიძულვილს, ფანატიზმსა და ძალადობას. წმინდა და დიდი კრების ენციკლიკა აცხადებს: „რელიგიათაშორის გულწრფელ დიალოგს მოაქვს ურთიერთნდობის განვითარება და წამახალისებელია მშვიდობისა და შერიგებისა. ეკლესია იღვწის იმისათვის, რომ „ზეგარდამო მშვიდობა“ უფრო ხელშესახებად იგრძნობოდეს დედამიწაზე. ჭეშმარიტი მშვიდობა მიიღწევა არა იარაღის ძალის გამოყენებით, არამედ მხოლოდ ისეთი სიყვარულით, რომელიც „არა ეძიებნ თავისასა“(1 კორ. 13.5). სიყვარულის ზეთი გამოყენებულ უნდა იქნას სხვათა ძველი იარების მოსაშუშებლად და განსაკურნებლად და არა იმისათვის, რომ ხელახლა გაღვივდეს სიძულვილის კერა.“ [55] ამგვარად, მართლმადიდებელი ეკლესია რელიგიათაშორის დიალოგს ტრადიციებს შორის განსხვავებების რეალური გააზრებით უდგება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მყარად ამტკიცებს განსხვავებულ სარწმუნოებებს შორის მშვიდობიანი თანაარსებობისა და თანამშრომლობის რეალურ შესაძლებლობას. უპირველესად, ეკლესია უცოდინრობის, მტრობისა და შიშის დასაძლევად, ურთიერთგაგებისა და ჭეშმარიტი მეგობრობისეული მშვიდობისათვის მიისწრაფვის.

§60 არამართლმადიდებლურ ქვეყნებში მცხოვრებ მართლმადიდებელ ქრისტიანთათვის რელიგიათაშორისი შეხვედრები და დიალოგები არის და უნდა იყოს ის მნიშვნელოვანი საშუალება, რომლითაც პატივიცემება რელიგიური განსხვავებები და ჭეშმარიტების აღიარება. რელიგიათაშორისი დიალოგი არაა მხოლოდ შეხების

საერთო წერტილის ძიება ან სფეროთა ერთიანობის განსაზღვრა, არამედ სხვა ადამიანებთან პიროვნულ და ადამიანურ დონეზე შეხვედრა. დიალოგი მოითხოვს პატივისცემას როგორც ღმერთის ხატად შექმნილი ადამიანური პიროვნებისადმი, ასევე მთელი კაცობრიობისა და შესაქმისადმი მიძღვნილი ღმერთის სიყვარულისადმი. შეხვედრა და დიალოგი მოითხოვს რისკს, როგორც ადამიანურ, ისევე საზოგადოებრივ დონეზე. ყველა დიალოგი პიროვნულია, რამდენადაც ის თავის თავში მოიცავს უნიკალური და შეუცვლელი ადამიანების, ქრისტიანების თუ არაქრისტიანების ურთიერთობებს, რომელთა პიროვნულობა მჭდროდაა დაკავშირებული მათ ინდივიდუალურ, სოციალურ, კულტურულ და რელიგიურ ისტორიასთან. ამასთან, ყველა დიალოგი საერთო საქმეა, რადგან მართლმადიდებლური ეკლესიოლოგიის ფუნდამენტი არის ის იდეა, რომ ეკლესიის ცალკეული წევრი მყოფობს მხოლოდ ეკლესიის მთელ სხეულთან ზიარებასა და ურთიერთობაში, და, საბოლოოდ, ქრისტესთან, რომელიც არის ეკლესიის თავი.

VII. მართლმადიდებლობა და ადამიანის უფლებები „რომელმან დაგვბადე ხატად და მსგავსად შენდა“

§61 შემთხვევითი არაა, რომ ადამიანის უფლებათა ენა, ისევე, როგორც ის სამართლებრივი კონვენციები და ინსტიტუტები, რომლებიც ამ უფლებათა დაცვისა და განვითარებისთვისაა, ისეთ ერებში შეიქმნენ, სადაც მორალური იდეალების საფუძველი ქრისტიანული სარწმუნოებაა. დღეს ჩვენ ადამიანის ბუნებითი უფლებების ცნებას ვიყენებთ, როგორც ნეიტრალური სისტემის სახეს, რომლითაც სამოქალაქო და სამართლებრივ მექანიზმებთან მოლაპარაკებას ვაწარმოებთ ადამიანის ღირსების დაცვისათვის, ძირითადი თავისუფლების, სოციალური სტაბილურობის, ყველასათვის თანაბარი უფლებების, სრული პოლიტიკური უფლებების, ეკონომიკური სამართლიანობისა და კანონის წინაშე თანასწორობისთვის. საერთაშორისო კონვენციების ინსტიტუტს ვიყენებთ უმცირესობათა, მიგრანტთა და თავშესაფრის მაძიებელთა დაცვისათვის, ომისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების წინააღმდეგ, მაგრამ ასეთი იდეების ისტორიული ფესვები უფრო შორს მიგვიძღვიან, სახარების ნიადაგში, და მის მოწოდებაში თითოეული ადამიანის სულისა და სრული პიროვნული ღირსების განუსაზღვრელი ღირებულებისაკენ (საიმპერიო კულტურის წიაღში, ასეთი იდეები ძალიან უცხო იყო). საყოველთაო სამოქალაქო უფლებებისკენ მიმართული ყველა მნიშვნელოვანი თანამედროვე დადგენილება და ქარტია, ფრანგული ასამბლეის მიერ მიღებული ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციიდან (1789) (ფრანგ. Déclaration des droits de l’homme et du citoyen) გაერთიანებული ერების მიერ მიღებული ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციამდე (1948) (ინგლ. Universal Declaration of Human Rights), და მათი დამატებები, მკაფიოდ აცხადებენ, რომ თითოეული ადამიანის მიერ თავის საზოგადოებასა და სამართალში გამოვლენილი მორალური მოთხოვნილებები უფრო უპირატესი და ხელშეუხებელია, ვიდრე საკუთრების, ან სამთავრობო თუ ინსტიტუციური

ძალაუფლების უფლებები. ეს გარანტია, უმეტესად, ევროპული ცივილიზაციის ებრაული და ქრისტიანული წყაროებიდანაა ნამემკვიდრევი. ამგვარად, მართლმადიდებელ ქრისტიანებს შეუძლიათ და სიხარულით უნდა მიიღონ კიდეც ადამიანის უფლებათა ენა, როდესაც ხალხთა და ერებს შორის სამართლიანობისა და მშვიდობის ამაღლებისკენ ისწრაფვიან, როდესაც ცდილობენ, რომ სუსტნი – ძლიერთაგან, ჩაგრულნი – მჩაგვრელთაგან, ხოლო უპოვარნი კი მათი ექსპლუატაციის მსურველთაგან დაიცვან. ადამიანის უფლებათა ენას არ შეუძლია, გამოხატოს ყველაფერი, რაც უნდა თქვას ქმნილებათა აბსოლუტური ღირსებისა და დიდებულების შესახებ, რომლებიც ღმერთის ხატისებრ და მსგავსებისებრ შეიქმნენ; მაგრამ ეს ენა პატივს ცემს ამ რეალობას იმგვარად, რომ საერთაშორისო და სარწმუნოებათაშორისო თანამშრომლობის საშუალებას იძლევა სამოქალაქო უფლებებისა და სამოქალაქო სამართლიანობის საქმეში, და ამიტომაც ის ბევრი რამის შესახებ საუბრობს. ამგვარად, მართლმადიდებელი ეკლესია შეაწევს მის ხმას იმ მოწოდებას, რომ ადამიანის უფლებები ყველგან დაცული და განვითარებული იყოს და ამგვარ უფლებებს თითოეული ადამიანის სიცოცხლისადმი ფუნდამენტურად და განუყოფელად სცნობს.

§62 ღმერთმა კაცობრიობა მისი ხატისა და მსგავსების მიხედვით შექმნა – ყოველ მამაკაცს, ქალსა და ბავშვს უბოძა სრული სულიერი ღირსება, მამის, ძისა და სულიწმიდის პიროვნულობის შესაბამისად. ამგვარად, მან თავისუფლების ახალი სფერო შექმნა, ანუ თავისუფლების გამოკვეთილად ადამიანური სივრცე. მართლმადიდებლური ტრადიციის თანახმად, ადამიანი, რომელიც ერთდროულად მატერიალურ სფეროსაც მოიცავს და სულიერსაც, სრულყოფილად ფლობს ორივეს მახასიათებელს, და მათ შორის ერთობას ქმნის, შესაქმეში ერთგვარი შუამავლის როლს ასრულებს. ამის შედეგად, კაცობრიობა არის სულიერი თავისუფლების სამღვდელო მყოფობა მატერიალური მიზეზშედეგობრივი და ორგანული პროცესების სამყაროში; ის რაციონალური თავისუფლების ნათელს აზიარებს მატერიალურ სამყაროს და ამ სამყაროს სიცოცხლეს შემოქმედს მიუძღვნის . ეკლესია ასეთი თავისუფლების შემადგენლობას განსაკუთრებულად ამაღლებულად იაზრებს. ჭეშმარიტი ადამიანური თავისუფლება უფრო მეტია, ვიდრე ინდივიდების უბრალოდ გაურკვეველი ძალაუფლება, – აირჩიონ ის, რისი გაკეთებაც სურთ ან ფლობდნენ რაღაცას (არაფერია დასაძრახი რეალურ პიროვნულ თავისუფლებაში და ავტორიტატული ძალაუფლებისგან შეუვალობისკენ სწრაფვაში). ეს არის პიროვნების ბუნების განხორციელება მისი კეთილი განსრულების საქმეში; მისი შესაძლებლობა, რომ მთელი ადამიანური სამყარო აყვავდეს, რაც ადამიანური პიროვნებისათვის ღმერთთან ერთობის თავისუფალი ძიებიდან მომდინარეობს. ეს არასოდეს არაა „ნეგატიური თავისუფლება“, რომელიც ყველაფრისადმი განუსაზღვრელად გახსნილია. სრული თავისუფლება ნიშნავს იმასთან შეერთებას, რისთვისაც თავდაპირველად იყო შექმნილი ადამიანური ბუნება, და რაც ადამიანს განუწყვეტლივ სწყურია თავისი სულის სიღრმეში (ადამიანის უფლებათა კონვენციებს, თავისთავად, არ შეუძლიათ ამ თავისუფლების მიღწევა; მაგრამ მათ შეუძლიათ, უზრუნველყონ ცალკეული

ადამიანებისა და საზოგადოებების თავისუფლების დაცვა დამანგრეველი და მავნე ძალების მრავალფეროვნებისაგან, რომელნიც ხშირად ხელს უშლიან ნამდვილი თავისუფლების მოპოვებას). ადამიანის უფლებათა ენა, სამოქალაქო სამართლიანობისა და მშვიდობის პრინციპების შესახებ წარმოებულ მოლაპარაკებებში აუცილებელია, მაგრამ იგი, ასევე, ადამიანური ბუნების გასაცხადებლად მიმართულ უმაღლეს მისწრაფებასა და თითოეული ადამიანის ღირსების ხელშეუხებლად დაცვაშიც გვეხმარება.

§63 ადამიანის უფლებების თეორიის კონვენციის მთავარი მაცოცხლებელი ფილოსოფიური პრინციპი არის ადამიანური ღირსების, თავისუფლების, თანასწორობისა და სამართლიანობის არსებითი უპირატესობა ყოველი ერის სოციალურ, სამოქალაქო და სამართლებრივ კონსტიტუციაში. სახელმწიფოს თუ მისი ნებისმიერი ინსტიტუტის არანაირი კანონმდებლობა, პრივილეგიის სფერო, განსაკუთრებული ინტერესი, არავითარი ეროვნული ან საერთაშორისო იმპერატივი, არ აღემატება ადამიანის უფლებების აბსოლუტურ მორალურ მოთხოვნებს. ამგვარად, ადამიანის უფლებათა ენა, ნებისმიერი თვალსაზრისით, მეტნაკლებად, ეთანხმება ფუნდამენტურ პრინციპებს, რომელთაც ძალუძთ ნებისმიერი ქრისტიანული სინდისის ინფორმირება. უფრო მეტიც, ადამიანის უფლებათა ყოველი თეორიისათვის ნიშანდობლივია კონკრეტული იურიდიული, სამოქალაქო, სოციალური და საერთაშორისო ვალდებულებები, რომლებიც ყველა მთავრობას ეკისრება. იმ სამართლებრივ კანონებს შორის, რომელსაც ყველა სახელმწიფო უნდა იცავდეს და ეფუძნებოდეს, არსებობს ძირითადი თავისუფლების შესახებ ცალკეული კანონები: იქნება ეს სინდისის, აზროვნების, სიტყვის გამოთქმის, პრესის თავისუფლების და ასე შემდეგ. ასევე, არსებობს დაცვის უფრო განსაკუთრებული სამართლებრივი ვალდებულებები, რომლებიც გათვალისწინებულ უნდა იქნას. ესენია: უფლება უსაფრთხოებაზე, სამართალწარმოების ან საპოლიციო გამოძიების ეტაპზე, სამართლებრივი წარმომადგენლის ყოლის უფლება (იურიდიული წარმომადგენლობის უფლება სასამართლო დევნის ან საპოლიციო გამოძიების შემთხვევაში), უნებართვო ჩხრეკის, ამოღების, ან დაპატიმრებისგან იმუნიტეტი, უსაფუძვლო და ბრალის გარეშე დაპატიმრებისაგან დაცვა, მკაცრი მტკიცებულებითი სტანდარტის (როგორიცაა მაგალითად ჰაბეას კორპუსის[56]) პრინციპების გატარება და სხვ. გარდა ამისა, არსებობს ადამიანის ის უფლებები, რომლებიც გათვალისწინებულნი უნდა იქნენ, როგორც ყოველი ადამიანისთვის საყოველთაო და ხელშეუხებელნი: ხმის მიცემის უფლება მმართველი პოლიტიკური ძალის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ, პოლიტიკურ წარმომადგენლობაზე ყველა პიროვნების თანაბარი წვდომა, გაერთიანების თავისუფლება, რელიგიის თავისუფლება, მშვიდობიანი შეკრებისა და პროტესტის უფლება, დასაქმებულთა თავისუფლება პროფესიული კავშირების ჩამოსაყალიბებლად; ყველა ფორმის იძულებითი შრომისაგან (პატიმართათვისაც კი) თავისუფლება, დაცვა სეგრეგაციისა და მიკერძოებული პოლიტიკისგან, სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულებისაგან დაცვა, ოჯახური, სამსახურებრივი ან

ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაციისაგან თავისუფლება, ყველა ადამიანისათვის თანაბარი პოლიტიკური დაცვის უფლება, მოქალაქეობის არმქონე პირთა უთანასწორო მოპყრობისაგან დაცვა, სისხლის სამართლებრივი მართლმსაჯულებისა და თავისუფლების აღკვეთისას ჰუმანური მოპყრობა, სიკვდილით დასჯის საყოველთაო გაუქმება და ა.შ. სოციალური უფლებები, რომლებსაც ყველა მთავრობა უნდა უზრუნველყოფდეს, მოიცავს: თავისუფალი და საყოველთაო ჯანდაცვის უფლებას, რომელიც თანაბრად ხელმისაწვდომია ნებისმიერი ეკონომიკური მდგომარეობის პირთათვის; ხანდაზმულთა უფლებას, რომ სოციალური უსაფრთხოების პენსია და დახმარება ჰქონდეთ, რათა ცხოვრების დარჩენილი წლები ღირსეულად და კომფორტულად გაატარონ; ბავშვთა დაცვის უფლებას; უქონელთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებას, რომ ადეკვატური სოციალური დახმარება მიიღონ. რაც შეეხება საერთაშორისო უფლებებთან დაკავშირებულ კონვენციებს, ისინი, მინიმუმ, უნდა ითვალისწინებდნენ ყველა ადამიანის უფლებას: იყვნენ დაცულები უცხო ძალებისა და კორპორაციული ინტერესების აგრესიისა და ქონების მიტაცებისაგან; ჯანსაღი და საცხოვრებლად გამოსადეგი გარემოთი უზრუნველყოფას; ომის დანაშაულთაგან დაცვასა და მათი (დანაშაულების, გ.ლ.) აქტიური სამართლებრივი წესით დევნას; წამების სრულ აღკვეთას; დევნილობის საწინააღმდეგო დაცვას; გასვლის უფლებას, მაშინაც კი, როდესაც სახელმწიფოს საზღვრების გადაკვეთა ხდება საჭირო; ომის, სიღარიბის, სამოქალაქო კოლაფსის, ბუნებრივი კატასტროფისა ან დევნის შედეგად იძულებით გადაადგილებულთათვის თავშესაფრის საყოველთაო უფლებას. ვიმეორებთ, ადამიანის უფლებათა კონვენციების თეორია შეუძლებელია, ყოველივე იმას განასრულებდეს ან თუნდაც მიემართებოდეს, რასაც მართლმადიდებელი ეკლესია ადამიანებისადმი განიზრახავს. თავად ამ კონვენციებს ადამიანთა გულებში ეგოიზმის მოთოკვა ან საზოგადოების მტკიცე ფორმების შექმნა არ შეუძლიათ. მათ არც საერთო სიკეთის შესახებ შეუძლიათ ისეთი ყოვლისმომცველი და მყარი ხედვის წარმოდგენა, რომელიც ადამიანური ბუნების ყველა მატერიალურ, მორალურ და სულიერ საჭიროებას პასუხობს. ადამიანის უფლებათა ენა, მრავალმხრივ, არის მინიმალური ენა. თუმცა, ასევე, იგია სასარგებლოდ მკაფიო ენა, რომელსაც შეუძლია დახმარება, რომ მოწყალების, მიტევებისა და სამართლიანობის ის წესები ჩამოაყალიბოს და დაიცვას, რასაც ეკლესია ყველა საზოგადოებისგან მინიმალურად მოითხოვს. ამგვარად, ესაა უფლებები, რომელიც თანამედროვე სამყაროში მცხოვრები ყველა ქრისტიანის მიერ უცვლელად უნდა იყოს დადასტურებული და მხარდაჭერილი.

§64 „ადამიანის ფუნდამენტური უფლება არის რელიგიური თავისუფლების პრინციპის დაცვა მისი ყველა ასპექტით – კერძოდ, სინდისის თავისუფლების, რწმენის, მსახურების და რელიგიური თავისუფლების გამოხატვის ინდივიდუალური და საზოგადო ფორმის, რაც გულისხმობს ყოველი მორწმუნის უფლებას, დაუბრკოლებლად აღასრულოს თავისი რელიგიური მოვალეობა სახელმწიფოს მხრიდან ნებისმიერი ფორმით ჩარევის გარეშე. იგი ასევე, გულისხმობს რელიგიის საჯარო სწავლების უფლებას და პირობებს

რელიგიური საზოგადოებების ფუნქციონირებისათვის.“[57] ნებისმიერ საზოგადოებაში, რელიგიური თავისუფლებისათვის ბრძოლა და თითოეული ადამიანის სინდისისადმი პატივისცემა არის სიყვარულის სიძულვილზე, ერთიანობის განყოფაზე, თანაგრძნობის გულგრილობაზე ძლევის ყველაზე ნათელი მტკიცებულება. რელიგიის თავისუფლებას ის საზოგადოება იცავს, რომელიც აცნობიერებს, რომ მხოლოდ სულიერი ზრუნვის სფეროს შენარჩუნებით (თუნდაც ეს სახელმწიფოს ინტერესებსაც სცდებოდეს) ხალხს შეუძლია, რომ ნამდვილი სამოქალაქო და სოციალური ერთობის მორალური საფუძვლები შეინარჩუნოს. თითოეულ ჩვენგანში სინდისი საღვთო რჯულის ხმაა; ამგვარად, სინდისის ჩახშობა არათუ ვერ დაეხმარება, არამედ, სახელმწიფოს მიერ დაწერილ კანონებს უსამართლოდ და სრულებით თვითგანწირულად აქცევს. ისეთ ქვეყნებშიც კი, სადაც უპირატესობა ერთ კონკრეტულ სარწმუნოებას ენიჭება, უმრავლესობის უფლებების დაცვა სახელმწიფოს ან შეუზღუდავი კაპიტალის, ან სხვა გამანადგურებელი ძალების ხელყოფისგან, სრულად მხოლოდ ყველა უმცირესობის რელიგიური უფლებების უზრუნველყოფითაა შესაძლებელი. ამიტომაა, რომ მსოფლიო საპატრიარქო დაუღალავად ცდილობს, ყოველი ადამიანის თავისუფალი ღვთისმსახურებისა და აღმსარებლობის უფლებას დაეხმაროს. ის საწყაო, რომლითაც ჩვენ სხვათა რწმენას ვცემთ პატივს, არის ის, რითაც შეგვიძლია, ჩვენი სარწმუნოების დაფასებას მოველოდეთ.

§65 379 წელს, დიდი მარხვის დროს, წმ. გრიგოლ ნოსელის ქადაგება, მონობაზე, როგორც ინსტიტუტზე, დასავლურ ისტორიაში აღწერილ პირველ დოკუმენტურ შეტევად შეიძლება ჩაითვალოს.[58] იქამდე მონებისადმი არასათანადო მოპყრობა სტოიკოსმა და ქრისტიანმა მწერლებმაც გააპროტესტეს და იმ აზრზს უჭერდნენ მხარს (ფილიმონისადმი პავლეს რჩევისამებრ), რომ მსახურები საკუთარი ბატონების თანასწორნი ყოფილიყვნენ, სულიერი თვალსაზრისით. მაგრამ არცერთ მათგანს (გრიგოლ ნოსელამდე, გ.ლ.) სერიოზული შეკითხვები არ წამოუყენებია არსებული მონური შრომის მორალური ლეგიტიმაციის შესახებ. უფრო მეტიც, გრიგოლის არგუმენტი ქრისტიანულ პრინციპებს სრულად ეყრდნობოდა, სახელდობრ: თითოეულ ადამიანში ღვთის ხატების საყოველთაოობას; ქრისტეს სხეულში და იმ სისხლში, რომლითაც ქრისტემ მთელი კაცობრიობა თავად გამოისყიდა, – ყველა პიროვნების თანასწორობას; თითოეული ადამიანის, როგორც ქრისტესმიერი ძმებისა და დების განუყოფელ ერთიანობას და ა.შ. ქრისტიანობა მონათა და ბატონთა ისეთ სამყაროში იშვა, რომლის ეკონომიკაც ყველანაირად ცოდვით პრინციპს უშვებდა, რომლის თანახმადაც ერთი ადამიანი შეიძლებოდა მეორეს საკუთრება ყოფილიყო. მიუხედავად იმისა რომ, უძველესი ეკლესია, არ ამტკიცებდა, რომ ჰქონდა ძალა, საკუთრ ერთობაში მონობის ინსტიტუტის გაუქმებისათვის, მაინც, ქრისტიანული თემები, თავისი საუკეთესო გამოვლინებით, ცდილობდნენ ისეთი საზოგადოება შეექმნათ, და, ასევე, საკუთარი პოლიტიკაც, სადაც განსხვავება ბატონებსა და მონებს შორის გაუქმებული იქნებოდა ყველა ქრისტიანის, როგორც ღვთის სასუფევლის მემკვიდრეების, და შესაბამისად, ერთმანეთის ნათესავების, თანასწორობით. პავლე მოციქულის მიხედვით, აღარ არის

მონა და აღარც თავისუფალი, რადგანაც ყველანი ერთი ხართ ქრისტე იესოში (გალ. 3:28). ამგვარადვე, პავლე ფილიმონსაც მკაფიოდ სთხოვს, რომ მისი გაქცეული მონა ონისიმე უკანვე მიიღოს არა როგორც მონა, არამედ როგორც ძმა (ფილიმ. 15-16). ეს კარნახობს წმ. იოანე ოქროპირს, წარმოთქვას: „ეკლესია მონასა და ბატონს შორის რამე სახის განსხვავებას არ იღებს.“[59] საჭიროა ითქვას, რომ ქრისტიანული საზოგადოება საუკუნეთა განმავლობაში ამ წესს ერთგულად არ იცავდა ან სწორად არ აცნობიერებდა და პასუხისმგებლობას არ იღებდა მონობის ინსტიტუტის შეწყვეტაზე, რაზეც (მონასა და ბატონს შორის განსხვავების არარსებობა, გ.ლ.) იგი მინიშნებით საუბრობდა. ამ დროს, ქრისტიანულმა კულტურამ ის ბოროტება მიიღო, რისგანაც ადრევე შეეძლო თავის არიდება. მხოლოდ თანამედროვე ეპოქაში გახდა შესაძლებელი ქრისტიანული სამყაროსათვის, ორპირობის გარეშე მოენანიებინა წარუმატებლობა ამ საკითხთან მიმართებაში, რომ ქრისტეს თავისუფალ სახარებასთან შეთანხმებით ეცხოვრა, იმ ქრისტესი, რომელიც ტყვეთა გასათავისუფლებლად მოვიდა, რომელთა თანაბარი უფლებებისათვის ფასი გაიღო. გარკვეულწილად, თანამედროვე მსოფლიო ამ ბოროტი ინსტიტუტისგან სრულად არ გათავისუფლებულა. მართლმადიდებელი ეკლესია აცნობიერებს, რომ დღევანდელ მსოფლიოში ადამიანის უფლებებისადმი ერთგულება, მონობის ყველა ფორმის წინააღმდეგ (რაც ჯერ კიდევ არსებობს) კვლავ დაუღალავ ბრძოლას გულისხმობს. ეს მსოფლიოს სხვადასხვა ადგილებში მხოლოდ მონური შრომის განგრძობად პრაქტიკებს არ მოიცავს, არამედ უამრავ სხვა სახის ასპექტს, როგორც დანაშაულებრივს, ისე კანონით ნებადართულს. ამიტომაა, რომ ბოლო პერიოდში, მსოფლიო საპატრიარქო თანამედროვე მონობის შესახებ ყურადღებას ამახვილებს. ახლა, მთელ მსოფლიოში, უამრავი ბავშვი, ქალი და კაცი ადამიანური ტრეფიკინგის სხვადასხვა ფორმით იტანჯება. ესენია: ბავშვებისა და მოზარდების იძულებითი შრომა; ბავშვების, ქალებისა და კაცების სექსუალური ექსპლუატაცია; იძულებითი და ადრეული ქორწინება; ბავშვებისათვის სამხედრო სამსახურის იძულება; მიგრანტთა და ლტოლვილთა ექსპლუატაცია; ორგანოთა ტრეფიკინგი და ა.შ. დღეს ჩვენ ადამიანთა დიდ ქარავნებს ვხედავთ, რომლებიც ძალადობის, შიმშილობისა და სიღარიბის გამო იძლებულნი არიან, საკუთარი საცხოვრებლები და ქვეყნები დატოვონ. ისინი, სავარაუდოდ, საშინელი ექსპლუატაციის, მათ შორის ორგანიზებული დანაშაულებრივი ბიზნესის მსხვერპლად გახდომის წინაშე დაუცველნი არიან. ამავდროულად, მსოფლიოში არსებობს ადგილები, სადაც იძულებითი, ბავშვთა და ანაზღაურების გარეშე შრომა, ასევე, საფრთხის შემცველ პირობებში შრომა, არა მხოლოდ ნებადართულია, არამედ წახალისებულია მთავრობებისა და ბიზნესების მხრიდან. ზოგიერთი სახელმწიფო (ისეთებიც, რომლებსაც წარმატებული ეკონომიკები აქვთ), არ ყოყმანობს სხვადასხვა სახის იძულებითი შრომის გამოყენებას, განსაკუთრებით კი მსჯავრდებულებთან მიმართებით. მართლმადიდებელი ქრისტიანები უნდა შეუერთდნენ ძალისხმევას, რომ თანამედროვე მონობა თავისი ყველა ფორმით, მთელ მსოფლიოში სამუდამოდ ამოიძირკვოს. შესაბამისად, მართლმადიდებელი ეკლესია კვლავ ადასტურებს თანამედროვე მონობის წინააღმდეგ რელიგიურ ლიდერთა დეკლარაციაში (ინგ.

Declaration of Religious Leaders against Modern Slavery. 2 დეკემბერი, 2014) მოცემულ მტკიცებულებას (რომელი დეკლარაციის მონაწილე მხარეც თავადვეა), რომ მონობა არის „კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული“. მართლმადიდებელი ქრისტიანები ყველასთან უნდა გაერთიანდნენ, ვინც ერთგულია და, ვისაც შეუძლია, საკუთარ საზოგადოებაში თუ მის გარეთ, იღვაწონ იმ ადამიანებისათვის, ვინც მონობისა და ტრეფიკინგის მსხვერპლია და ამით დაუბრუნონ მათ თავისუფლება. ამის მისაღწევად გასავლელ გზაზე ჩვენი მოწინააღმდეგე მხოლოდ თანამედროვე მონობა არაა, არამედ, ასევე, სული, რომელიც მას კვებავს. ესაა: შემოსავლის გაღმერთება, მომხმარებლობის ყველგან შეღწევადი თანამედროვე ხასიათი და რასიზმის, სექსიზმისა და ეგოცენტრიზმის ძირითადი იმპულსები.

§66 წმინდა წერილში, რჯულისა და წინასწარმეტყველთა პირველივე დღეებიდან მოყოლებული ვიდრე მოციქულთა ეპოქამდე, არცერთი ზნეობრივი ნორმა არ არის ისეთი მუდმივი, როგორც სტუმართმოყვარეობა და გაჭირვებაში მყოფი უცხო ადამიანების დაცვა. „ქვრივსა და ობოლს ნუ დაჩაგრავ,“ „მდგმურს ნუ შეავიწროვებ, თავად იცით მდგმურის ყოფა, რადგან მდგმურები იყავით ეგვიპტელთა ქვეყანაში“ (გამ. 22:21, 23:9). „როგორც მკვიდრი, ერთი თქვენთაგანი, ისე იყოს თქვენთვის თქვენს შორის მდგმურად დამდგარი კაცი. გიყვარდეთ იგი, როგორც თქვენი თავი. რადგან თქვენც მდგმურები იყავით ეგვიპტის ქვეყანაში“ (ლევ. 19:34). „რადგან უფალი, თქვენი ღმერთი...რომელმაც არ იცის მიმხრობა...იგი უჩენს სამართალს ქვრივსა და ობოლს, უყვარს მდგმური და აძლევს მას პურს და შესამოსელს.გიყვარდეთ მდგმური, რადგან თქვენც მდგმურები იყავით ეგვიპტის ქვეყანაში“ (რჯ. 10: 17-19). „წყეულიმც იყოს მდგმურისა და ქვრივ-ობლების სამართლის გამმრუდებელი“ (რჯ. 27:19). „უფალი იცავს შემოხიზნულებს“ (ფს. 145:9). „მწირს გარეთ არ გაუთევია ღამე, კარი ღია მქონდა მგზავრისათვის“ (იობი 31:32). „განა ეს არ არის მარხვა, მე რომ ავირჩიე?... უსახლკარო ღარიბ-ღატაკნი სახლში შეიყვანო...? (ეს. 58: 6-7). „მოვალ თქვენთან განსაკითხავად და ვიქნები ... ქვრივ-ობლების მჩაგვრელთა წინააღმდეგ, ხიზნის გამგდებელთა და ჩემს უშიშთა წინააღმდეგ, ამბობს ცაბაოთ უფალი“ (მალ. 3:5). „სტუმართმოყვარეობა არ დაივიწყოთ, ვინაიდან ზოგიერთს ისე გაუწევია მასპინძლობა ანგელოზებისთვის, რომ თვითონ არც კი სცოდნია“ (ებრ. 13:2). რეალურად ქრისტე გვეუბნება, რომ ჩვენი ხსნა უცხოთმოყვარეობაზეა დამოკიდებული: „მაშინ ისინიც პასუხად ეტყვიან მას: უფალო, როდის გიხილეთ შენ...უცხოდ მყოფი...და არ გემსახურეთ? მაშინ მიუგებს და ეტყვის მათ: ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: რითაც არ შეეწიეთ ერთს ამ ჩემს მცირე ძმათაგანს, იმით არც მე შემეწიეთ“ (მთ. 25: 44-45). ეს სიტყვები დღეს განსაკუთრებულად მტანჯველი და გამომწვევია ქრისტიანული სინდისისათვის. ოცდამეერთე საუკუნე დაიწყო როგორც მიგრანტებისა და ლტოლვილების საუკუნე, რომლებიც ძალადობრივ დანაშაულს, სიღარიბეს, კლიმატურ ცვლილებას, ომს, გვალვასა და ეკონომიკურ კოლაფსს გაურბიან და უსაფრთხოებას, საკვებსა და იმედს ითხოვენ. განვითარებულ სამყაროში ყველგან იციან ტყვეებისა და თავშესაფრის მაძიებელთა მდგომარეობა, რომელთაგან ბევრს კანონის საფუძველზე

იღებენ, ზოგს კი – დოკუმენტაციის გარეშე. ისინი თავიანთი აშკარა დაუცველობით, სიღატაკითა და ტანჯულობით მდიდარი ერების სინდისის წინაშე პირისპირ დგანან. ეს გლობალური კრიზისია, მაგრამ, იმავდროულად, პირადი მოწოდება ჩვენი სარწმუნოების, მორალური ბუნებისა და პასუხისმგებლობებისაკენ.

§67 მართლმადიდებელი ეკლესია იძულებით გადაადგილებულ ხალხთან დაკავშირებული პატივისცემის ვალდებულებას იმაზე ნაკლებად როდი უყურებს, ვიდრე სიყვარულის, სამართლიანობის, მსახურების, მოწყალებისა და უშრეტი სულგრძელების ღვთაებრივ მოწოდებას. ეკლესიის აბსოლუტური ვალდებულება – ღირსება შეუნარჩუნოს და იზრუნოს მიგრანტებთან, ლტოლვილებთან და თავშესაფრის მაძიებლებთან დაკავშირებულ საკითხებზე – ნათლადაა გადმოცემული წმინდა და დიდი კრების ენციკლიკაში: „თანამედროვე და გამუდმებით მზარდი კრიზისი დევნილობისა და მიგრაციისა, რაც პოლიტიკური, ეკონომიკური და კლიმატური პირობებით არის გამოწვეული, მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია. მართლმადიდებელი ეკლესია დევნილებს, საფრთხესა და გაჭირვებაში მყოფთ, ყოველთვის ექცეოდა უფლის სიტყვების მიხედვით: „მშიოდა და მეცით მე ჭამადი, მწყუროდა და მასუთ, უცხო ვიყავ და შემიწყნარეთ მე, შიშველ ვიყავ და შემმოსეთ მე, სნეულ ვიყავ და მომხედეთ მე“ და „ამენ გეტყვით თქუენ: რაოდენი უყავთ ერთსა ამას მცირეთაგანსა ძმათა ჩემთასა, იგი მე მიყავთ“ (მთ. 25. 40). ეკლესია მთელი თავისი ისტორიის მანძილზე იყო „ყოველთა მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა“ (მთ. 11.28) მხარეს. ეკლესიის კაცთმოყვარული მოღვაწეობა არასდროს იზღუდებოდა მხოლოდ ვითარების შესაბამისი კეთილი საქმეებით გაჭირვებასა და განსაცდელში მყოფთა მიმართ, არამედ იგი მიზნად ისახავდა სოციალური პრობლემების გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრას. ეკლესიის „საქმე მსახურებისა“ (ეფეს. 4.12) აღიარებულია ყველას მიერ. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, მივმართავთ მათ, ვისაც ხელეწიფება, აღმოფხვრან მიზეზები, რაც წარმოშობს დევნილობის კრიზისს, მიიღონ აუცილებელი პოზიტიური გადაწყვეტილებები. მოვუწოდებთ სამოქალაქო ხელისუფლებებს, მართლმადიდებელ მორწმუნეებსა და სხვა მოქალაქეებს იმ ქვეყნებისა, სადაც დევნილები თავშესაფრის ძიებაში იყვნენ და დღესაც არიან, რათა აღმოუჩინონ მათ ყველა შესაძლებელი დახმარება, თუნდაც უკანასკნელი საშუალებით.“[60] შესაბამისად, ეკლესია იმ ერებს აქებს, რომლებმაც მიგრანტები და ლტოლვილები მიიღეს და უქონელებს თავშესაფარი მისცეს. უფრო მეტიც, ეკლესია ყველგანმყოფ ქრისტიანებს შეახსენებს, რომ ამგვარი სტუმართმოყვარეობა ბიბლიური მოწოდებისეულია, რაც საერო მთავრობების ინტერესებს აღემატება. თანამედროვე ერი – სახელმწიფო არაა საკრალური ინსტიტუტი, თუნდაც ის გარკვეულ პერიოდებში სამართლიანობას, თანასწორობასა და მშვიდობას ემსახურებოდეს. არც საზღვრებია იმაზე მეტი, ვიდრე ისტორიული შემთხვევები და სამართლის კონვენციები. ზოგჯერ საზღვრები შეიძლება სასარგებლო მიზანს ემსახურებიან, მაგრამ, თავისთავად, ისინი არ არიან მორალური და სულიერი სიკეთეები, რომელთა (საზღვრების, გ.ლ.) ჩვენდამი მოთხოვნებითაც შეიძლება გამართლდეს ჩვენ მიერ წმინდა ქრისტიანული ვალდებულებების

შეუსრულებლობა იმათ მიმართ, ვიზეც ზრუნვა ღმერთის მიერ იყო დადგენილი. ჩვენს დროში ვიხილეთ ზოგი ევროპული მთავრობა და მრავალი იდეოლოგი, რომლებიც საზღვრების სრული ჩაკეტვით, ნაციონალისტური ან, თუნდაც, რასისტული იდეების კარნახითა და თავად ქრისტეს სიტყვების უარყოფით ცდილობენ, გავლენა მოახდინონ „ქრისტიანული ევროპის“ დაცვის იდეაზე. გვინახავს ადგილობრივი მოსახლეობის პანიკა ევროპაში, ავსტრალიასა და ამერიკაშიც. ამერიკის შეერთებულ შტატებში, ისტორიის მანძილზე ყველაზე ძლიერ და მდიდარ ერში (რომელიც რეალურად ემიგრანტების მოზღვავების შედეგად შეიქმნა), ჩვენ ვიხილეთ პოლიტიკური ლიდერები, რომლებიც არა მხოლოდ ახალისებენ შიშსა და სიძულვილს მიგრანტების წინააღმდეგ და ასუსტებენ მათ, არამედ მათ წინააღმდეგ ტერორსაც აწარმოებენ. სახელდობრ: მშობლებს ბავშვებს სტაცებენ, ოჯახებს ანგრევენ, მშობლებსა და ბავშვებს აწამებენ, ყველას განურჩეველ ინტერნირებას[61] ახდენენ, უარყოფენ თავშესაფრის მაძიებელთა პროცესის ლეგიტიმურობას, ცილს სწამებენ თავშესაფრის მაძიებლებს და ცრუობენ მათზე, შეუიარაღებელი მიგრანტების დასაშინებლად ჯარს სამხრეთ საზღვრებზე შლიან, პოლიტიკური სარგებლის გამო თავშესაფრის მაძიებელთა წინააღმდეგ რასისტულ და ნაცისტურ რიტორიკას ეწევიან და ა.შ. (ყველა ასეთი მოქმედება ღმერთის იმ ხატისებრ ქმნილებაზე ძალადობაა, რომელიც ჩვენგან მოწყალებას ელის). ისინი შეურაცხყოფენ სულიწმინდას ქრისტეს სახელით, მართლმადიდებელი ეკლესია კიცხავს ასეთ მოქმედებებს და ევედრება მათ, ვინც ამგვარ დანაშაულებს ჩადის, რომ შეინანონ და, სამართლიანობისა და ქველმოქმედების მსახურებით, შეეცადონ ცთომათა გამოსყიდვას.

VIII. მეცნიერება, ტექნოლოგია და ბუნებრივი გარემო
შენთა, შენთაგან, შენდა შემწირველნი

§68 ჩვენი ეპოქა არნახული ტექნოლოგიური განვითარების ხანაა. კაცობრიობის ძალა დღეს ფიზიკურ რეალობას, როგორც სასიკეთოდ, ასევე, საზიანოდ გარდაქმნის, რაც კაცობრიობის ისტორიაში უპრეცენდენტო შემთხვევაა. იგი შეიცავს საფრთხესაც და პასუხისმგებლობასაც, რომლისთვისაც კაცობრიობა საკმაოდ მოუმზადებელი ჩანს. შესაბამისად, მართლმადიდებელმა ეკლესიამ, უპირველესად, უნდა შეახსენოს ქრისტიანებს, რომ მსოფლიო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, არის ღმერთის კეთილი შესაქმე (იმის მიუხედავავად, რომ იგი ცოდვასა და სიკვდილს დაუკავშირდა) და მოწყალე ძღვენი მთელი მისი ქმნილებებისადმი. მაქსიმე აღმსარებლის პირით, ეკლესია ამოწმებს, რომ ფიზიკურ სამყაროში ადამიანური მყოფობა, ასევე, სულიერი მსახურებაცაა, ერთგვარი კოსმიური მღვდლობაა. კაცობრიობა საზღვრის-*methorios* ფუნქციას ასრულებს, სადაც სულიერი და მატერიალური საუფლოები ერთმანეთს ხვდებიან და ერთიანდებიან; და, ამ სამღვდელო შუამავლობით, სულიერი ნათელი ყოველგვარ ქმნილ ბუნებაზე ვრცელდება, და, ამგვარად, მთელი კოსმიური მყოფობა სულიერ ცხოვრებაში მაღლდება. სულ მცირე, ესაა ისეთი შესაქმე, როგორც ღმერთმა ინება და როგორც იგი (შესაქმე, გ.ლ.) „კუალადგებით“ იარსებებს, როდესაც ღმერთი

განაახლებს ცასა და მიწას, სადაც ყოველგვარი ქმნილება, მიწა, ზღვა და ჰაერი ღმერთის ნათელში განიხარებს. ქრისტიანებს მუდამ უნდა ახსოვდეთ, რომ, მათი სარწმუნოების სწავლებების თანახმად, ქმნილების სიკვდილთან კავშირი ადამიანების სამღვდელო მოვალეობიდან განდგომის შედეგია, რომ ეს მღვდლობა ქრისტეში აღდგა, რომ სრული გამოხსნა, როგორც წმინდა წერილისეული აღთქმა, მთელ კოსმიურ რეალობას მოიცავს, და, ამიტომაც, მხოლოდ განახლებულ შესაქმეში განსრულდება, რომელსაც (განსრულებულ შესაქმეს, გ.ლ.) წმინდა წერილი, არაერთგზის აღწერს ცხოველებით, მცენარეებითა და ადამიანებით აღსავსეს. ამქვეყნად ქრისტიანთა პასუხისმგებლობა, დაცემული ბუნების სასუფევლის მსახურად გარდაქმნის სწრაფვაში, გულისხმობს ნამდვილ პასუხისმგებლობას მთელ შესაქმეზე და უწყვეტ ზრუნვას მისი განსრულებისა და აყვავებისათვის. თუ როგორ უნდა მოხერხდეს ეს ასეთი მკვეთრი ტექნოლოგიური ცვლილებებისა და უზომო ძალის ეპოქაში, არის შეკითხვა, რომლის წინაშეც ქრისტიანი განუწყვეტლივ საგონებელში უნდა იყოს; ხოლო ეკლესია კი ამას (შეკითხვას, გ.ლ.) ლოცვითი გამჭრიახობით უნდა მიუდგეს. ესაა მსოფლიო საპატრიარქოს მიერ ბუნებრივი გარემოს დასაცავად მიმართული უპირველესი ინიციატივების საფუძველი და კონტექსტი. ეს არის, ასევე, მიზეზი და არგუმენტი პირველი სექტემბრის დაფუძნების (აღნიშნული დღე 1989 წელს, ღვთივშესვენებული მსოფლიო პატრიარქ დიმიტრიოსის მიერ დაწესდა, და, საბოლოოდ, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს მეშვეობით, ყველა მართლმადიდებელმა ეკლესიამ მიიღო. მას, ასევე, შეუერთდა მრავალი პროტესტანტული აღმსარებლობა, ანგლიკანური კრებული და, პაპ ფრანცისკეს მიერ, ასევე, რომის კათლიკე ეკლესიაც), როგორც ღვთის ქმნილებისადმი ლოცვის და მისი დაცვის ყოველწლიური დღე.

§69 ქრისტიანის მისია, რომ მსოფლიო ღმერთის სასუფევლის ნათლით გარდაქმნას, არის ის, რაც მთელ შესაქმეს, ყოველგვარ სიცოცხლეს, სამყაროს არსებობის ყველა შრეს სწვდება. სადაც კი ტანჯვაა, ქრისტიანები მოწოდებულნი არიან, რომ შეწევნითა და შერიგებით განკურნონ იგი. ამიტომაა, რომ ეკლესიამ, ისტორიის ადრეულ პერიოდში, ყველასათვის ღია საავადმყოფოები დაარსა და იმ პერიოდში ცნობილ თერაპიებსა და სამედიცინო საშუალებას იყენებდა. წმ. ბასილის არაჩვეულებრივი ბასილეიასი შეჭირვებულთა შეწევნის სივრცე იყო და იგი მთლიანად მათ ეკუთვნოდა. როგორც წმ. ბასილი წერს: „მედიცინა ღმერთის ძღვენია, თუნდაც ზოგი ადამიანი მას მართებულად არ იყენებდეს. იგი საჩუქარია და სულელური იქნებოდა, რომ განკურნების მთელი იმედი ექიმის ხელოვნებაზე დაგვემყარებინა, თუმცა არიან ადამიანები, რომელნიც მათ დახმარებას ჯიუტად უარყოფენ.“[62] ეკლესიის მიერ კურნებითი მსახურება დასაბამიდანვე იქნა აღიარებული, როგორც ღმერთის საქმეებთან ნამდვილი თანამოქმედება. ადამიანური მოღვაწეობის არცერთ სფეროში არ არის ტექნოლოგიური განვითარება ისეთი ადვილად მოსაძებნი და მისასალმებელი, როგორც სამედიცინო მეცნიერებებში. ავადმყოფობის საფრთხის გამო წამლების, ანტიბიოტიკების, ვაქცინების, თერაპიების და ა.შ. გამოგონება ადამიანური შემოქმედებითობის განსაკუთრებულად ბრწყინვალე მიღწევაა და,

შესაბამისად, ისინი ღმერთის ძალიან ძვირფასი საჩუქრებია. მიუხედავად ამისა, ის ტემპი, რომელიც დღეს სამედიცინო მეცნიერებებს, ტესტირებებს, ახალ ტექნოლოგიებსა და მკურნალობის მეთოდებს ახასიათებთ, წინ უსწრებს მორალურ აზროვნებასა და სულიერ შესაძლებლობებს. ეკლესია, უფრო და უფრო, მზად უნდა იყოს, რომ თითოეული სამედიცინო სიახლე, ცალ-ცალკე გაითვალისწინოს და შეაფასოს და, ზოგჯერ კონკრეტული შემთხვევის საფუძველზე, განიხილოს ეს ინოვაციების გამოყენების შესაძლებლობები. ეს ხანდახან აუცილებელია. მაგალითად, საეკლესიო მიდგომაში პაციენტთა მოვლის იმ ფორმებთან მიმართებაში, რომელთაც ხანდაზმულებსა და უკურნებელი სენით დაავადებულებს სთავაზობენ არ არსებობს უბრალო, საერთო წესი, მაგალითად, თუ როდის უნდა გაგრძელდეს მკურნალობა სიცოცხლის გახანგრძლივებისთვის, და როდის უნდა შეიკავონ ამისგან თავი. პაციენტის განკურნება, მისი ოჯახის სულიერი და მატერიალური კეთილდღეობა, ლოგიკური გარჩევა ჩვეულებრივ და საგანგებო მცდელობებს შორის სიცოცხლის შენარჩუნებისა და გახანგრძლივებისათვის – ყველა ეს და სხვა პრობლემებიც, ყურადღებით უნდა იქნეს გათვალისწინებული ცალკეულ ადამიანებთან მიმართებაში. ხშირად, ის დასკვნა, რომელსაც ეკლესია მიმდინარე სამედიცინო ტექნოლოგიების შესახებ იღებს, დამოკიდებულია ამ ტექნოლოგიების პრაქტიკულ და მორალურ თანმხლებ ასპექტებზე, იმ მეთოდებზე, რომლებსაც ისინი (სამედიცინო ტექნოლოგიები, გ.ლ.) იყენებენ, ან იმ მორალურ შედეგებზე, რაც ამ მეთოდებს შეუძლიათ, გამოიწვიონ. მაგალითად, ინ ვიტრო განაყოფიერების *(in vitro fertilization*) ზოგიერთი პრაქტიკა, ან სპინალური (ზურგის ტვინის) დაზიანების (ტრავმის) ღეროვანი უჯრედებით მკურნალობა, შესაძლებელია, ჩამოუყალიბებელი ჩანასახის განადგურებასაც მოიცავდეს, რისი მხარდაჭერაც ეკლესიას არ შეუძლია. ვიმეორებთ, მკურნალობის ინდივიდუალური შემთხვევა შეიძლება ცალკეულ განხილვას საჭიროებდეს. მაგალითად, ეკლესიამ შეიძლება სრულად აკურთხოს ღეროვანი უჯრედებით მკურნალობის ცალკეული მეთოდები, რომ კონკრეტული სპინალური (ზურგის ტვინის) დაზიანების სიმპტომები შეამსუბუქოს, თუმცა, ამის გარდა, ღეროვანი უჯრედები არ შეიძლება აბორტისაგან მოწყვეტილი ბავშვებისგან იქნეს ამოღებული.

§70 შეიძლება, დაბეჯითებით ითქვას, რომ ახალი ტექნოლოგიები სამედიცინო მეცნიერებებზე უფრო სწრაფად ვითარდებიან, რაც, რა თქმა უნდა, ძალიან მრავალფეროვნად და კულტურული გავრცელებით ხდება. (მხოლოდ გასული რამდენიმე წლის განმავლობაში, მაგალითად (თითქმის ერთი ან ორი ათწლეულის წინ), ჩვენ ვიხილეთ ტექნოლოგების და კომუნიკაციების, მონაცემების შეგროვებისა და მათი დახარისხების, მასობრივი შეტყობინებების, ინფორმაციების (ან გარკვეულ შემთხვევებში ცრუინფორმაციების) სწრაფი გლობალური გავრცელების რადიკალურად ახალი განვითარება და ა.შ. თითოეულ ასეთ განვითარებას, შედეგად, უამრავი სასარგებლო შესაძლებლობა მოაქვს, როგორებიცაა ბუნებრივი კატასტროფების სიტუაციებში ან ადამიანური აგრესიის შემთხვევებში უკიდურესად მკვეთრი ადამიანური ჩარევები ან როგორც პიროვნებათა და ხალხთა შორის კომუნიკაციებისა და

ურთიერთგაგების ახალი გზები. ამასთანავე, იგივე ტექნოლოგიები მათი ბოროტად გამოყენების ან დაუდევარი მოხმარების არასწორ შესაძლებლობებსაც ქმნიან. დღეს რეალობასა და ფანტაზიას, ფაქტებსა და მოსაზრებებს, სიახლეებსა და იდეოლოგიურად მოტივირებულ პროპაგანდას, ჭეშმარიტებასა და სიცრუეს შორის განსხვავება უფრო მეტად ბუნდოვანი და გაურკვეველი გახდა, რაც, სწორედ რომ, ინტერნეტის უზარმაზარი ძალის შედეგია. ბოლო წლებში ჩვენ სისტემური სიცრუის უამრავი შემთხვევა ვიხილეთ, რომელთა მიზანია, უთანხმოება დათესონ ან გავლენა იქონიონ პოლიტიკურ ტენდენციებზე, ძირითადად, სიცრუისა და მცდარი მითითებების მეშვეობით. მსგავსად, დამღუპველია დაუგეგმავი, მაგრამ ყველგან თვალშისაცემი მორალური გარყვნა, რომელიც ინტერნეტში თავაზიანობის ფორმის დაკნინებითაა გამოწვეული. შემთხვევითი და ჩვეული გამოყენება დანაშაულის რიტორიკის, პროვოკაციის, შეურაცხყოფის, ბოროტების, ჩაგვრისა და დამცირების – ყველა ეს სულიერად დამანგრეველი ჩვეულებები, ინტერნეტის კულტურის ატმოსფეროში ძალიან გავრცელებულია. შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე მყისიერი კომუნიკაციის შინაგანი ბუნება ამგვარ ბოროტებას გარდაუვალს ხდის. ვირტუალური კომუნიკაციის, უჩვეულოდ უპიროვნო და აბსტრაქტული ხარისხი, როგორც ჩანს, ამორალური და ეგოცენტრული ქცევისაკენ უბიძგებს, რაც სხვა პიროვნების რეალურ და უშუალო მყოფობას შეაფერხებს. აქ კომუნიკაცია, შეიძლება, ძალიან ხშირად, ჭეშმარიტი ურთიერთობის ალტერნატივა გახდეს და რეალურად მასზე (ნამდვილ ურთიერთობაზე გ.ლ.) დამანგრეველად იმოქმედოს. ასევე, ცნობილია, რომ ინტერნეტი (მრავალი და გარკვეული მიზეზების გამო) შეიძლება მთელი რიგი აკვიატებებისა და მიჯაჭვულობის საშუალება გახდეს, როგორიცაა პორნოგრაფიული ან ძალადობრივი ფანტაზია. ჯერჯერობით, შეუძლებელია იმ სიკეთისა თუ ზიანის წინასწარ განსაზღვრა, რაც შეიძლება მომენტალური გლობალური ურთიერთკავშირის ახალმა პერიოდმა გამოიწვიოს; მაგრამ ამ უკანასკნელის მასშტაბი წინანდელზე მცირე არ იქნება და, გაუთვალისწინებელი სახით, შეიძლება უფრო დიდიც იყოს. აქ ეკლესია, ამ ახალი ტექნოლოგიების შედეგებთან დაკავშირებით, ფხიზლად უნდა იყოს, ხოლო მის (ტექნოლოგიების, გ.ლ.) საზიანო ეფექტებთან მიმართებით კი – ბრძენი. ეკლესია მუდამ საქმის კურსში უნდა იყოს მნიშვნელოვანი და კვლევების მონათესავე სფეროების განვითარების შესახებ, როგორებიცაა ხელოვნური ინტელექტის ახალი ალგორითმის ან გენური ცვლილებების ახალი მეთოდები. ის, თუ რამდენად კარგად შეძლებს ეკლესია თავისი სამოძღვრო ძალებისა და რესურსების გამოყენებას სამეცნიერო განვითარების ამ მუდმივად მზარდი პროცესების წინაშე, ნამდვილად განსაზღვრავს, თუ როგორ მოახერხებს ის, ჭეშმარიტი სულიერი თავშესაფრის შესთავაზოს იმათ, ვინც თანამედროვე მსოფლიოში ღმერთს და მის სიყვარულს ეძებს.

§71 შესაძლოა, ეკლესია, რომელიც ცდილობს, გაერკვეს თანამედროვეობის სწრაფ ტექნოლოგიურ განვითარებაში, და განსაზღვროს საკუთარი თავი, როგორც სულიერი სტაბილურობის ადგილი სამეცნიერო და სოციალური ცვლილებების უწყვეტ ნაკადში, უპირველესად, უნდა მიისწრაფვოდეს იმ აშკარა ანტაგონიზმის დაძლევისაკენ,

რომელიც რწმენისა და ცოდნის სფეროებს შორის არსებობს. თანამედროვე დასავლური კულტურული ისტორიის ერთი ყველაზე უფრო დამაზიანებელი ასპექტი რელიგიური ფუნდამენტალიზმის, მათ შორის ფიდეისტური[63] ფორმების ქრისტიანების წარმოშობაა, რომლებიც უარყოფენ აღმოჩენათა მიღებას ისეთ დარგებში, როგორებიცაა: გეოლოგია, პალეონტოლოგია, ევოლუციური ბიოლოგია, გენეტიკა და გარემოსდაცვითი მეცნიერებები. უფრო მეტიც, არანაკლებ ფიდეისტურია იდეოლოგიური „მეცნიერების“ და მეტაფიზიკური „მატერიალიზმის“ ის ფორმები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მთელი რეალობა დაყვანილია წმინდა მატერიალურ ძალებსა და მიზეზებზე და რომ მთელი სულიერი სფერო წარმოსახვითია. არც სამეცნიერო მტკიცებულებები და არც ლოგიკა არ უჭერს მხარს რეალობის ამგვარ აღქმას. სინამდვილეში, ეს ფილოსოფიური შეუსაბამობაა, თუმცა, ასეც რომ იყოს, გვიანი მოდერნის პოპულარული ინტელექტუალური კულტურა ამგვარი საწინააღმდეგო ფუნდამენტალიზმებითაა გამორჩეული. მართლმადიდებელი ეკლესია არაა დაინტერესებული პრიმიტიულ ფილოსოფიებს შორის არსებული მტრული დამოკიდებულებით, მით უმეტეს, უსაფუძვლო ფსევდოისტორიებით, რომლებიც თითქოსდა რწმენასა და სამეცნიერო მოსაზრებებს შორის დაფიქსირებულ მუდმივ კონფლიქტებს მიემართებიან. ქრისტიანებმა ყველა მეცნიერების განვითარებით უნდა განიხარონ, მათგან სიხარულით განისწავლონ; ასევე, ხელი მოუმართონ სამეცნიერო განათლებასა და როგორც კერძო, ასევე საჯარო დაფინანსებების მოძიებას, რაც დაეხმარება სამეცნიერო კვლევის ლეგიტიმურ და აუცილებელ განხორციელებას. განსაკუთრებით, ეკოლოგიური კრიზისის პერიოდში ჩვენ უნდა გამოვიყენოთ სამეცნიერო კვლევისა და თეორიის ყველა რესურსი, რომ სამყაროს უფრო ღრმა ცოდნას ჩავწვდეთ და კიდევ უფრო ეფექტური გზები გამოვნახოთ ჩვენი საერთო საფრთხეების მოსაგვარებლად. ეკლესიის თვალთახედვით, ყოველგვარი ხელშეწყობა, რომელიც მიმართულია კაცობრიობისა და ქმნილების, როგორც ერთი მთლიანობის კეთილდღეობისთვის, არის საქები და ეკლესია უწყვეტ წახალისებას სთავაზობს გამოკვლევებს შესაბამის დარგებში, რომ მთელი ძალისხმევა მოხმარდეს ყველგან არსებული ტანჯვის შემსუბუქებას. ამასთანავე, განვითარდეს ახალი ტექნოლოგიები, რომ ღარიბ რეგიონებს სუფთა წყალი მიეწოდოს, თავიდან იქნეს აცილებული ნიადაგის გამოფიტვა და მოსავლის დაავადება; გაიზარდოს მოსავლიანობა და მისი ვარგისიანობა და ა.შ. ეკლესია მორწმუნეებს მოუწოდებს, რომ სამეცნიერო მონაპოვრისადმი მადლიერნი იყვნენ (და მიიღონ კიდევაც ისინი), ისეთებიც კი (სამეცნიერო მონაპოვარი, გ.ლ.), რომლებიც შეიძლება დროდადრო ავალდებულებს მათ (მორმუნეებს, გ.ლ.), რომ გადახედონ საკუთარ გაგებას კოსმიური რეალობის ისტორიისა და მისი აგებულების შესახებ. სამეცნიერო ცოდნისაკენ ლტოლვა იგივე წყაროდან მოედინება, საიდანაც სარწმუნოებისაკენ სწრაფვა, რომელიც ღმერთის საიდუმლოში უფრო ღრმად ჩაწვდომისკენაა მიმართული.

§72 ამასთანავე, ეკლესიამ, საკუთარი სამოძღვრო მსახურებისა და მისიისათვის, სამეცნიერო მიღწევები და, ასევე, ინტერნეტისა და სოციალური მედიის

ტექნოლოგიური პროგრესი უნდა გამოიყენოს. სულ მცირე, ეკლესიის სამოძღვრო პრაქტიკა უნდა იყოს ინფორმირებული იმით, რაც გასულ საუკუნეში შესწავლილ იქნა ადამიანის მოტივაციებისა და სურვილებთან დაკავშირებულ სირთულეებზე, დაფარულ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მიზეზებზე (მათ შორის გენეტიკური, ნეირობიოლოგიური, ბიოქიმიური და ფსიქოლოგიური ტრავმების გამომწვევ მიზეზებზე), რომლებიც ადამიანურ საქციელს ხშირად ეხმარებიან. არავითარ შემთხვევაში, ამ ცოდნამ არ უნდა დააკნინოს მსოფლიოში არსებული ცოდვის რეალური ძალის შესახებ საეკლესიო გაგება ან ყველასათვის სინანულისა და მიტევების აუცილებლობის მნიშვნელობა; ასევე, არ არის საჭირო, მოუწოდონ ეკლესიას, უარყოს სულიერი სნეულებებისათვის, როგორც თითქოს მხოლოდ ფსიქოლოგიური აშლილობებისათვის, ჭეშმარიტი სინანულითა და ღმერთის სულით განახლების გზით მკურნალობა. თუმცა, ძლიერი თანაგრძნობა სიკვდილითა და სულიერი აშლილობით დატანჯული ადამიანებისადმი მართლმადიდებელ მოძღვარს მხოლოდ შეიძლება, რომ დაეხმაროს, რათა მისი ზრუნვის ქვეშ მყოფი სულებისადმი იყოს გულისხმიერი, განამტკიცოს ისინი და უმკურნალოს მათ. სწორედ ასეთი ჭეშმარიტი გულმოწყალებისა და ნამდვილი ქრისტიანული მორჩილების შესაბამისად, ამგვარმა მოძღვრებმა უნდა აღიარონ, რომ გარკვეული პრობლემები არა იმდენად წმინდად ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ძალების შედეგია, რამდენადაც ვინმეს მხრიდან გამოვლენილი მორალური წარუმატებლობის ან შეცდომების ნაყოფი. ისინი, ვინც საკუთარ თავს ადამიანების სულებზე ზრუნვისათვის სწირავენ, მზად და მოწადინებულნი უნდა იყვნენ, რომ განისწავლონ იმათგან, ვინც გონებათა და სხეულთა არსობრივ დინამიზმს სწავლობს, და ღმერთისადმი მადლიერები უნდა იყვენ იმის გამო, რასაც იგი (ღმერთი, გ.ლ.) თავისი იდეების მეშვეობით იძლევა.

§73 ეკლესიის სარწმუნოების ცენტრალურ სიმბოლოსა და დოკუმენტში, ნიკეა-კონსტანტინოპოლის მრწამსში, მართლმადიდებელი ქრისტიანი აღიარებს, რომ სწამს: „ერთი ღმერთი ... შემოქმედი ცათა და ქუეყანისა, ხილულთა ყოველთა და არა ხილულთა.“ წმინდა წერილი ამოწმებს: „დაინახა ღმერთმა ყოველივე, რაც გააჩინა, და, აჰა, ძალიან კარგი იყო“ (დაბ. 1:31). სიტყვა კეთილს სეპტუაგინტას ბერძნულ ტექსტში, საგნის უბრალო შეფასებასა და მის მორალურად დასაშვებობაზე ბევრად უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს. იგი მიუთითებს, რომ სამყარო შეიქმნა როგორც (და იწოდა კიდეც ასე) ფრიად კეთილი, მშვენიერი. იაკობის ლიტურგიაც, ამასვე, ამოწმებს: ღმერთო, ერთო, სამებაო „რომელი ყოველთა დაბადებულთა ხილულთა და უხილავთა შემოქმედი ხარ... გიგალობენ ცანი და ცანი ცათანი და ყოველნი ძალნი მათნი... ქუეყანაჲ ზღუაჲ და ყოველი, რაჲ არს მას შინა...“[64] ეს ღრმა აზრი, რომელიც მთელი შესაქმის სიკეთესა და მშვენიერებაში გადმოიცემა, ეკლესიის მთელი კოსმიური ხედვის არსია. ქრისტიანებიც, ასევე, გალობენ ნათლისღების დღესასწაულზე: „წყალთაჲ იგი ბუნებაჲ წმიდა იქმნების, [ქუეყანა იკურთხევის, და ზეცა განბრწყინდების]“ ... „რაჲთა წმიდათა მიერ ანგელოზთა და კაცთა, ხილულთა მიერ და უხილავთა, იდიდებოდეს ყოვლადწმიდაჲ სახელი შენი, თანა მამით და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის და

უკუნითი უკუნისამდე“ (წყლისკურთხევის მსახურება, დიდი აიაზმა). მაქსიმე აღმსარებელი გვეუბნება, რომ ადამიანი არაა განცალკევებული დანარჩენი ქმნილებისაგან, ისინი, თავიანთი ბუნებით, დანარჩენ შესაქმეს უკავშირდებიან.[65] ყოველთვის, როდესაც ადამიანი და შესაქმე ასე მართებულად არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი, ადამიანი სრულყოფს საკუთარ მოწოდებას, რომ აკურთხოს, აღამაღლოს და გარდაქმნას სამყარო იმგვარად, რომ შინაგანი სიკეთე თვით დაცემულობის შუაგულშიც გამოვლინდეს. ასე ღმერთის უწმინდესი სახელი განიდიდება. თუმცა, ადამიანები საკუთარ თავს ხშირად მთელი დანარჩენი შესაქმისაგან გამოყოფილად და განყენებულად წარმოიდგენენ ხოლმე. ისინი მხოლოდ იმდენად მონაწილეობენ მატერიალური სამყაროს პროცესებში, რამდენადაც მათ (ადამიანებს, გ.ლ.) მისი (სამყაროს გ.ლ.) საკუთარი მიზნებისამებრ გამოყენება შეუძლიათ. ისინი დანარჩენ შესაქმესთან საკუთარ კავშირებს უგულვებელყოფენ და, ხანდახან, გულმოდგინედ უარყოფენ. კვლავ და კვლავ, კაცობრიობამ უარყო მისი მოწოდება, რომ სამყარო გარდაექმნა და ამის საპირისპიროდ იგი (მსოფლიო, გ.ლ.) დაამახინჯა. ინდუსტრიული ხანის დაწყებიდან კაცობრიობის მიერ ზიანის მიყენების უნარი შეუბრალებლად გაიზარდა. დღეს ჩვენ ვხვდებით აქამდე წარმოუდგენელ კატასტროფებს, მაგალითად: ყინულის საფარებისა და მყინვარების მომატებულ დნობას, ჰაერის დაბინძურებას, წვიმისა და მდინარეების წყლების მჟავურ დაბინძურებას (წვიმებთან დაკავშირებით იგულისხმება ე.წ. „მჟავა წვიმა“, გ.ლ.) ფარმაცევტული პრეპარატების გამო სასმელი წყლის შემადგენლობის ცვლილებას; ასევე, ვხედავთ ცოცხალი არსების მრავალი სახეობის ტრაგიკულ შემცირებას და თვით გადაშენებასაც კი. ყველა იმ ძალის წინააღმდეგ (იქნება ეს პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კორპორაციული, სამოქალაქო, სულიერი თუ მატერიალური), რომელიც ჩვენი ეკოსისტემების დეგრადაციას უწყობს ხელს, ეკლესია ცდილობს, რომ ღმერთთან ზიარებით, მის შესაქმეში და შესაქმის მიერ, ჭეშმარიტად ლიტურგიკული და საკრამენტული გზა შეიმუშაოს, რაც აუცილებლად მოითხოვს ყველასადმი თანაგრძნობასა და მთელ შესაქმეზე ზრუნვას.

§74 სამყაროს ფერისცვალების ღვაწლი დიდ ძალისხმევას მოითხოვს, იგი კაცობრიობისა და მსოფლიოს დაცემული ასპექტების წინააღმდეგ უწყვეტ მცდელობას გულისხმობს, ეს ღვაწლი კი ასკეტურ სულს მოითხოვს, რასაც შეუძლია, ადამიანის ნება შესაქმესთან კავშირის აღსადგენად ხელახლა მიმართოს. ასეთი სული ქრისტიანს შეახსენებს, რომ შესაქმე, როგორც შემოქმედისაგან ნაბოძები სიყვარულისმიერი საღვთო ძღვენი, არ არის მხოლოდ ჩვენი საკუთარი ნივთი, რომელსაც ჩვენი ნების ახირებისამებრ მოვიხმართ, არამედ ის უფრო მეტად ზიარებისა და აღტაცების სივრცეა, რომლის სიკეთეშიც ყველა ადამიანი და ქმნილება თანაბრად მოიაზრება და ვისი სილამაზისადმიც ყველა ადამიანი მოწოდებულია, რომ მოუაროს და დაიცვას იგი. სხვა საკითხებთან ერთად, ეს მემკვიდრეობა გულისხმობს ბუნებრივი რესურსების ფლანგვისა და მავნე მოხმარების აღმოფხვრას; ახლანდელი და მომავალი თაობებისთვის ბუნებრივი სამყაროს დაცვისათვის შრომას, თავშეკავებულ მოქმედებასა

და ბრძნულ მოკრძალებას. თუმცა, ამათგან არცერთის განხორციელება არ არის შესაძლებელი ღრმა მადლიერების გარეშე. ამ უკანასკნელის უგულვებელყოფით ჩვენ არ ვართ ჭეშმარიტი ადამიანები. მადლიერება რეალურად არის ეკლესიის ევქარისტიული იდენტობის საფუძველი და მსოფლიოში მისი მისიის, ასევე, ევქარისტიული გააზრება. როდესაც ადამიანი მთელ შესაქმესთან ჰარმონიაშია, მადლიერება ძალისხმევის გარეშე და ბუნებრივად მოდის. როდესაც ეს ჰარმონია დარღვეულია, რაც ხშირად ხდება ხოლმე, მადლიერება, საპირისპიროდ, შესრულების ვალდებულებად იქცევა, ზოგჯერ ძნელად განსახორციელებლადაც კი; მაგრამ მხოლოდ მადლიერებითაა შესაძლებელი ჭეშმარიტი განკურნება განყოფისაგან, რომელიც აუცხოებს ადამიანს მთელი დანარჩენი შესაქმისაგან. როდესაც ადამიანები დედამიწისეული რესურსების ჭეშმარიტი ევქარისტიული სულით დაფასებას იწყებენ, ისინი უკვე აღარ მოეპყრობიან შესაქმეს, როგორც მათგან განცალკევებულს, მხოლოდ გამოსაყენებელს და საკუთრებას. ამის შემდეგ მათ (ადამიანებს, გ.ლ.) ნამდვილად შეეძლებათ, რომ სამყარო მის შემოქმედს ნამდვილი მადლიერებით კვლავ უკან მიუძღვნან: „შენთა, შენთაგან, შენდა შემწირველნი, ყოველთა და ყოვლისათვის“ (წმ. იოანე ოქროპირის ანაფორა), და ამ საღვთისმსახურო მოქმედებით შესაქმე თავად აღდგება, ყველაფერი კვლავ იმ საკუთარ დანიშნულებას დაუბრუნდება, როგორც ღმერთმა დასაბამიდან განიზრახა, რაც, გარკვეულწილად, არის, კვლავ საკუთარ თავდაპირველ მშვენიერებასთან თანხვედრა.

§75 ეკლესია აცნობიერებს, რომ ეს სამყარო, როგორც ღმერთის შესაქმე, არის წმინდა საიდუმლო, რომლის სიღრმეც მისი შემოქმედის მარადიულ ბჭობაში აღწევს; ეს კი თავისთავად გამორიცხავს ადამიანთა მხრიდან ნებისმიერ ქედმაღლურ პრეტენზიას. რეალურად, სამყაროსეული რესურსების უმართებულო გამოყენება მუდამ ადამის „პირველქმნილი ცოდვის“ გამოხატულებად უნდა გაიგებოდეს, ვიდრე შესაქმეში ღმერთის საოცარი ძღვენის მიღების სწორ გზად. ამგვარი მოხმარება ეგოიზმისა და სიხარბის შედეგია, რომელიც ადამიანის ღმერთისაგან გაუცხოებისა და დანარჩენ სამყაროსთან არამართებული ურთიერთობიდან მომდინარეობს. ამგვარად, როგორც ეს ხშირად აღგვინიშნავს, ღმერთის შესაქმის ყოველგვარი ექსპლუატაცია, დაბინძურება და ბოროტად გამოყენება, ცოდვად უნდა იქნეს აღიარებული. პავლე მოციქული აღწერს შესაქმეს, რომელიც „ერთიანად გმინავს და წვალობს დღემდე“ (რომ. 8:22), რადგან „ქმნილება სასოებით მოელის ღვთის შვილთა გამოცხადებას“ (რომ. 8:19). ცოდვილი ქმედებები და ღმერთისაგან ჩვენი გაუცხოება მხოლოდ პიროვნული და სოციალური კი არაა, არამედ, ასევე, ეკოლოგიური და კოსმიურიც კი. ამგვარად, ჩვენი ეკოლოგიური კრიზისი ეთიკურ დილემად არ უნდა იქნეს აღქმული, ის ონტოლოგიური და თეოლოგიური საკითხია, რომელიც გონების ძირეულ ცვლილებასა და მყოფობის ახალ გზას მოითხოვს. მან ჩვენი ჩვევების ცვლილება უნდა მოიტანოს შედეგად, ოღონდ არა ინდივიდუალურ, არამედ სახეობრივ დონეზე. მაგალითად, ჩვენ მიერ ხშირად წინდაუხედავი მოხმარება და წიაღისეული საწვავის თვითნებური გამოყენება, კლიმატური ცვლილებისა და გლობალური დათბობის მზარდ კატასტროფულ პროცესს

იწვევს. შესაბამისად, ალტერნატიული წყაროებისადმი ჩვენი სწრაფვა და მცდელობები, რომ, შესაძლებლობის ფარგლებში, ჩვენი პლანეტაზე ზემოქმედება შემცირდეს, მსოფლიოს გარდაქმნისაკენ მიმართული ჩვენივე მოწოდების გამოსახატავად არის საჭირო.

§76 არცერთი ჩვენგანი მთელი კაცობრიობისაგან, ან შესაქმის მთლიანობისაგან განცალკევებულად არ არსებობს. ჩვენ დამოკიდებული ქმნილებები ვართ, ქმნილებები მუდმივ თანაზიარებაში და, ამგვარად, ჩვენ, ასევე, მორალურად პასუხისმგებელნი ვართ არა მხოლოდ საკუთარ თავზე ან მათზე, ვისთანაც პირდაპირი გავლენა ან კავშირი გვაქვს, არამედ მთელ ქმნილ წესრიგზე ანუ – სრულ სამყაროზე. განსაკუთრებით ჩვენს დროში უნდა გავიაზროთ, რომ მოყვასისადმი მსახურება და ბუნებრივი გარემოს დაცვა მჭიდროდ და განუყოფლად არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. არსებობს ახლო და ურღვევი კავშირი შესაქმისადმი ჩვენს ზრუნვასა და ქრისტეს სხეულისადმი მსახურებას შორის, ისევე, როგორც ეს არსებობს ღარიბთა ეკონომიკურ მდგომარეობასა და პლანეტის ეკოლოგიურ პირობებს შორის. მეცნიერები გვეუბნებიან, რომ მიმდინარე ეკოლოგიური კრიზისით ყველაზე მეტად ისინი ზარალდებიან, რომლებიც მასში დამნაშავენი ყველაზე ნაკლებად არიან. ეს ნიშნავს, რომ კლიმატის ცვლილების საკითხი არის, ასევე, სოციალური კეთილდღეობისა და სამართლიანობის საკითხიც. ამგვარად, ეკლესია მსოფლიოში არსებულ მთავრობებს მოუწოდებს, რომ, განათლებისა და კვლევების სახელმწიფო დაფინანსებებით, გარემოსდაცვითი მეცნიერებების განვითარების გზები ეძებონ; მზად იყვნენ, დააფინანსონ ისეთი ტექნოლოგიები, რომლებიც შეეცდებიან სასიკეთოდ შეცვალონ ნახშირჟანგის გამონაბოლქვის, დაბინძურებისა და გარემოს გადაგვარების ყველა ფორმა.

§77 უფრო მეტიც, ჩვენ, ასევე, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ადამიანები შესაქმის რთული და დახვეწილი ქსოვილის ნაწილები არიან და რომ მათი კეთილდღეობა შეუძლებელია მთელი ბუნებრივი სამყაროს კეთილდღეობიდან გამოყოფილი იყოს. როგორც წმინდა მაქსიმე აღმსარებელი ამტკიცებდა, ქრისტეში დაძლეულია კაცობრიობის მის ჭეშმარიტ ბუნებასთან ყველა გაუცხოება, მათ შორის დანარჩენი სამყაროსაგან გაუცხოებაც. გარკვეულწილად, ქრისტე იმიტომაც მოვიდა, რომ მატერიალური შესაქმე მის თავდაპირველ ბუნებაში აღედგინა, როგორც ეს ღმერთის მიწიერ სამოთხეში იყო.[66] შესაბამისად, ღმერთთან ჩვენი შერიგება, აუცილებელია, რომ თავისთავად გამოიხატებოდეს, ასევე, ბუნებასთან და ცხოველებთან ჩვენს შერიგებაში. შემთხვევითი არაა, რომ დაბადების წიგნში გადმოცემული შესაქმე, ცხოველთა და ადამიანთა ერთ დღეს შექმნას აღწერს (დაბ. 1: 24-31). არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ, წარღვნის ისტორიის თანახმად, ნოეს მიერ ღმერთთან დადებული აღთქმა ცხოველებისა და მათი ნაშიერების კიდობანში უვადოდ ყოფნასაც გულისხმობდა (დაბ. 9: 9-11). მსოფლიოში კაცობრიობის უნიკალური დიდებულება, თითოეულ ადამიანში ღმერთის ხატისებრობა, ასევე, არის უნიკალური პასუხისმგებლობა და მსახურება, მღვდლობა, რომელიც ემსახურება შესაქმის მთელი

ქმნილების გულითად სწრაფვას ღვთის დიდებისაკენ. კაცობრიობა დედამიწას ყველა სხვა ცოცხალ არსებასთან ერთად იზიარებს, მაგრამ, სხვათაგან განსხვავებით, მხოლოდ მას (კაცობრიობას, გ.ლ.) აქვს შესაძლებლობა და ძალაუფლება, რომ მასზე (შესაქმეზე, გ.ლ.) იზრუნოს (ან, სამწუხაროდ, გაანადგუროს იგი). ცხოველები, რომლებიც სამყაროს ავსებენ, ღმერთის შემოქმედებითი სიყვარულის, მისი მრავალფეროვნებისა და სიუხვის შესახებ მოწმობენ; ბუნების ყველა ცხოველი ღმერთის სიყვარულშია ჩართული; ერთი ბეღურაც კი არ დავარდება მიწაზე, თუ არ იქნება ღმერთის ნება (ლკ. 12:7). უფრო მეტიც, ცხოველები, თავიანთი უბრალოებით, სამოთხეს გვახსენებენ, რომელიც ადმიანურმა ცოდვამ დაგვაკარგვინა, ხოლო მათი უმანკო მსხვერპლშეწირვის განსაზღვრულობა სამყაროს კატაკლიზმას გვაგონებს, რომელიც კაცობრიობის ღმერთისაგან გაუცხოებითაა გამოწვეული. ჩვენ, ასევე, უნდა გვახსოვდეს, რომ წმინდა წერილისეული ყველა აღთქმა, რომელიც მომავალ ჟამს (მეორედმოსლვის შემდგომი პერიოდი, გ.ლ.) მიემართება, მხოლოდ კაცობრიობის სულიერ განსაზღვრულობას არ უკავშირდება, არამედ, ასევე, გამოსყიდული სამყაროს მომავალს, რომელშიც მცენარეთა და ცხოველთა სიცოცხლე უხვადაა წარმოდგენილი და, რაც სამყაროს ჰარმონიის მდგომარეობაშია განახლებული.

§78 ამგვარად, წმინდანების ცხოვრებაში აღწერილია მრავალი ისტორია ველური ცხოველების შესახებ, რომლებიც (ცხოველები, გ. ლ.), ჩვეულებისამებრ, ადამიანებს აშინებენ და მტრობენ, თუმცა, ამ წმინდანების გულკეთილობის გამო, მათ წინაშე მშვიდდებიან. მეშვიდე საუკუნეში აბბა ისააკ ნინევიელი ახასიათებს მოწყალე გულს ისეთად, რომელიც „იწვის მთელი შესაქმისათვის, ხალხისათვის, ჩიტებისა და ცხოველებისთვის... და ყოველივე ქმნილებისთვის.“[67] ეს არის თანმიმდევრული თემა წმ. გერასიმეს მოწმობაში, რომელმაც მდინარე იორდანესთან დაჭრილი ლომი განკურნა. წმინდა ჰუმბერტმა, ირმებზე ნადირობისას, ქრისტე იხილა და მონადირეთათვის ცხოველთა დაცვის ეთიკური კანონები საჯაროდ გამოაცხადა; წმ. კოლუმბანუსი მეგობრობდა ლომებთან, დათვებთან, ჩიტებთან და კურდღლებთან; წმ. სერგიმ გარეული დათვი მოათვინიერა, წმ. სერაფიმე საროველი გარეულ ცხოველებს კვებავდა, წმ. მარიამ მეგვიპტელს მოშინაურებული ჰყავდა ლომი, რომელიც მოგვიანებით მის წმინდა ნაწილებს დარაჯობდა; წმ. ინოკენტიმ დაჭრილი არწივი განკურნა; წმ. მონაკელა გარეული კურდღლების დაცვითა და მათი მტაცებლების მოთვინიერებითაა ცნობილი; თანამედროვე პერიოდში, წმ. პაისი გველებთან მშვიდად თანაცხოვრობდა. არა მხოლოდ ცხოველები, ასევე, მცენარეებიც ჩვენი სიყვარულის ობიექტები უნდა იყვნენ. წმ. კოზმა ეტოლელი ქადაგებდა: „ადამიანებს გაუჭირდებათ, რადგან მათ ხეები არ უყვართ“[68]; წმ. ამფილოქე პატმოსელმა იკითხა: „იცი, რომ ღმერთმა მოგვცა ჩვენ კიდევ ერთი მცნება, რომელიც წმინდა წერილში არ ჩაწერილა? ესაა ხეებისადმი სიყვარულის მცნება.“ მართლმადიდებელი ეკლესიის ასკეტური წესი და ევქარისტიული სული შესაქმის დიდებულ საკრამენტულ ხედვას სრულად თანხვდება; ეს ხედვა ღმერთის კვალს ყველგან გამოარჩევს; ღმერთისა, რომელიც „ყოველგან არს და ყოველსავე აღავსებს“ (სულიწმინდის ლოცვა), თვით იმ

სამყაროშიც კი, რომელიც ცოდვისა და სიკვდილის ტყვეობით კვლავ დასუსტებულია. უფრო მეტიც, ეს ხედვა ადამიანებს მთელ სამყაროსთან დაკავშირებულად აღიქვამს და ამხნევებს მათ, რომ მთელი სამყაროს სიკეთითა და მშვენიერებით განიხარონ. ეს ეთოსი და სული ერთად გვახსენებს, რომ მადლიერება და გაოცება, იმედი და სიხარული, ჩვენი ერთადერთი შესაფერისი დამოკიდებულებაა (რაც არის რეალურად შემოქმედობითობა და ნაყოფიერება) ეკოლოგიური კრიზისისადმი, რომელიც ახლა პლანეტას უპირისპირდება, რადგან მხოლოდ ამ ეთოსსა და სულს შეუძლია, მოგვანიჭოს ის მზადყოფნა და სიმტკიცე, რომლითაც შეგვეძლება, რომ ისე განუწყვეტლივ ვემსახუროთ შესაქმის სიკეთეს მისადმი და მისი შემოქმედისადმი სიყვარულის გამო, როგორც ჯერ არს.

IX. დასკვნა
რომელი გვაქვს წინდად სასოებისა, მორწმუნეთა, და ვიშვებთ მარადის[69]

§79 ბუნებრივია, რომ ჩვენს ხელთარსებული დოკუმენტი, და, ასევე, მისი შემდგენლებიც, მხოლოდ ნაწილს თუ გასცემდნენ პასუხს იმ უამრავ პრობლემათაგან, რომლებიც მის წამკითხველებს აწუხებთ. შესაბამისად, სიფრთხილითა და თავმდაბლობით გაუწყებთ, მრავალმხრივ შეუსაბამოა, რომ ეს ნაშრომი ეკლესიის სოციალური ეთოსის ყოვლისმომცველ დოკუმენტად იქნეს მიჩნეული. ამგვარად, უფრო მეტად, ესაა მორწმუნეთა მოწვევა, მომდევნო და უფრო ღრმა რეფლექსიებისთვის. უფრო მეტიც, ეკლესიის სოციალური ეთოსი სრულიქმნება არა უბრალოდ ეთიკური რეცეპტების ცხოვრებაში გატარებით, არამედ – უმთავრესად, უფლის სასუფევლის ლიტურგიკული მოლოდინით. ამ დოკუმენტში დაწერილი ვერ გამოიღებს კეთილ ნაყოფს, თუკი ის განცალკევებული იქნება მორწმუნეების საკრამენტული ცხოვრებისაგან, რომელნიც მოწოდებულნი არიან იმისათვის, რომ, სულიწმიდის მადლით, ქრისტეს შეუერთდნენ და, ქრისტეს მეშვეობით კი – მამას. ეკლესიის მამებთან, განსაკუთრებით, დიონისე არეოპაგელის სწავლებაში, ქრისტეს ტახტრევანს გარშემორტყმული ანგელოზური ძალებისა და მართალთა დასების ზეციური დოქსოლოგია (იხ. გამოცხ. 7:11), სრულყოფს და გადმოსცემს არქეტიპულ და უზადო ღვთისმსახურებას, რომელშიც მთელი შესაქმე მარადიულადაა მიწვეული; ესაა ის ზეციური ლიტურგია, რომელიც თანადროულად მიწიერს ევქარისტიულ საიდუმლოს შთააგონებს და განსწავლის.[70] ზეციური განწესების ანგელოზური ძალებისა და წმინდანების, და ეკლესიის მიწიერ ცხოვრებას შორის არსებული დაურღვეველი და ხელშეუვალი ურთიერთობა სახარებისა და ეკლესიის არსებით საფუძველზე მიანიშნებს; ეს პრინციპები სხვა არაფერია, თუ არა ღვთისმსახურების მარადიულ ექსტაზში მონაწილეობა; მხოლოდ ამ ღვთისმსახურებას შეუძლია, რომ ქმნილი ბუნებანი სრულყოს და ისინი (პრინციპები გ.ლ.) მათ ღვთაებრივ მოწმობამდე აღამაღლოს. თუმცა, იმისათვის, რომ თავად მართლმადიდებელი ქრისტიანები ქრისტეს მორალურ მცნებებს დაემორჩილონ, თითოეულმა, ასევე, ყოველდღიურად, საკუთარი ჯვარი უნდა იტვირთოს, რაც, გარკვეულწილად, „მხიარული გლოვის“ ასკეტურ წესსაც მოიცავს – ეს

არ არის ემოციისგან მანუგეშებელი განტვირთვის სახე, არამედ, უფრო მეტად, საღვთო მადლისაგან გაუცხოების სინანულისმიერი მოქმედება. ამიტომაა, რომ „ნეტარიანებში“ მომტირალნი ქრისტეს მიერ არიან დალოცვილნი და ისინი აუცილებლად მიიღებენ ღვთაებრივ ნუგეშს: „ნეტარ არიან მგლოვიარენი, ვინაიდან ისინი ნუგეშცემულნი იქნებიან“ (მთ. 5:4).

§80 ეკლესია არის ამქვეყნად, მაგრამ არ არის ამქვეყნისა (იოან. 17:11, 14-15). ის მიწისა და ცის ზღურბლზე მყოფობს და ეპოქიდან ეპოქამდე ჯერ არხილულთა მოწმობას ატარებს. ეკლესია ერებს შორის მსხემობს, როგორც ღმერთის სასუფევლის მარადიული მშვიდობის ნიშანი და ხატი, როგორც კაცობრიობის სრულად განკურნებისა და ქმნილი წესრიგის აღდგენის აღთქმა, რომელი წესრიგიც ცოდვითა და სიკვდილით დანაწილდა. ამგვარად, ვინც „ქრისტეშია“, ის „ახალი ქმნილებაა“: ძველმა განვლო და, ყოველივე ახალი მოდის (2 კორ. 5:17). ეს არის მამისა, ძისა და სულიწმინდის სასუფევლის დიდება, რომელიც (სასუფეველი, გ.ლ.) ახლაც შეიძლება ბრწყინავდეს წმინდანთა გამომასხივებელ და ფერნაცვალებ სახეებში. თუმცა, ეკლესია მხოლოდ სასუფევლის ცოცხალი ხატი არაა, არამედ, ასევე, მსოფლიოში იმედისა და სიხარულის უწყვეტი საწინასწარმეტყველო მოწმობა, იმ მსოფლიოში, რომელიც ღმერთის უარყოფითაა დასნეულებული. საწინასწარმეტყველო მოწოდება უსამართლობათა, სიცრუეთა, ბოროტებათა და სულიერ უწესრიგობათა წინაშე მდუმარების უარყოფას მოითხოვს, რაც ყოველთვის მარტივი არაა, განსაკუთრებით, თანამედროვე თავისუფალ საზოგადოებებში. ჩვენი მრავალი თანამედროვე საზოგადოებისათვის დამახასიათებელი, და, რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, საერთოა, როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის შეუთავსებელი პოლიტიკური სისტემებისათვის, სწავლება იმის შესახებ, რომ არსებობს წმინდად საზოგადოებრივი, ნეიტრალური სფერო, რომლიდანაც უნდა განიდევნოს რელიგიური გამოხატულება. უფრო მეტიც, რელიგია, ამგვარ საზოგადოებებში გაიგება, როგორც, არსებითად, კერძო საქმიანობა, რომელიც არ უნდა, ჩაერთოს საერთო სიკეთისაკენ მიმართულ საჯარო განხილვებში. თუმცა ეს, პრინციპულად, არასწორია და, პრაქტიკულად, ყოველთვის – დესპოტური (უსამართლო). ერთი მხრივ, თავად სეკულარიზმი თანამედროვე იდეოლოგიის ფორმაა; სეკულარიზმში სიკეთისა და სამართლიანობის საკუთარი, დაფარული ცნება მოიაზრება; თუკი იგი, მბრძანებლურად მოეთხოვება რეალურად განსხვავებულ საზოგადოებას, მაშინ იგი (სეკულარიზმი, გ.ლ.) უბრალოდ სხვა ავტორიტარული ფორმის მრწამსი ხდება. ზოგიერთ თანამედროვე საზოგადოებაში, საჯარო სივრცეებში რელიგიური ხმები ლეგალურად და ძალმომრეობითად ჩაიხშო, იქნებოდა ეს რელიგიური სიმბოლოების ან, თუნდაც, გარკვეული რელიგიური სტილის ჩაცმის აკრძალვა, ან, თუნდაც, იმის უარყოფა, რომ რელიგიურ პირებს, ეთიკურ საკითხებთან დაკავშირებით, შეუძლიათ, იმოქმედონ საკუთარი სინდისის შესაბამისად, სხვების განუყოფელი უფლებების დარღვევის გარეშე. რეალურად, ადამიანებს არ შეუძლიათ, გადაულახავი ზღუდე აღმართონ საკუთარ მორალურ შეხედულებასა და რეალობის ბუნების შესახებ საკუთარ ღრმა მრწამსს შორის, ხოლო მათდამი იძულება, რომ ეს

გააკეთონ, გამოიწვევდა აღშფოთებას, ფრაქციულობას, ფუნდამენტალიზმსა და უთანხმოებას. უდავოა, რომ თანამედროვე საზოგადოებები ერთმანეთისაგან კულტურულად ძალიან განსხვავებულნი არიან; ამ ფაქტთან დაკავშირებით, მართლმადიდებელი ეკლესია არა მხოლოდ გლოვობს, არამედ იყენებს ყველა შესაძლებლობას, რომ ადამიანთა და ხალხთა შორის შემხვედრი და ორმხრივი ურთიერთაგება ჩამოყალიბდეს. თუმცა, ამგვარი გაგება შეუძლებელი იქნება, თუკი იძულებითი კანონები გარკვეულ ხმებს ჩაახშობენ; ურთიერთგაგების არარსებობის ან, იძულების შედეგად, მისი ნაწილობრივი არსებობის შემთხვევაში, პრობლემები, (რომლებიც უბრალო სამოქალაქო უთანხმოებაზე უარესნი და დამანგრეველნი არიან), შეიძლება, გაიზარდონ და გაწმენდილი საჯარო სივრცის საზღვრებსაც გასცდნენ. შესაბამისად, მართლმადიდებელ ეკლესიას რელიგიური ცნობიერების გაძევების მიღება არ შეუძლია და მას ვერც უბრალოდ პირად სივრცედ ვერ აღიარებს; სხვა მიზეზის კი არა, არამედ იმის გამო, რომ ღმერთის სასუფევლის მისეული (ეკლესიისეული, გ.ლ.) რწმენა აუცილებლად გულისხმობს მორწმუნეთა სიცოცხლის ყველა ასპექტს, მათ შორის მათეულ ხედვებს პოლიტიკურ, სოციალურ და სამოქალაქო საკითხებზე. ეკლესიას არც სეკულარიზმის ყველა კონცეპტისადმი შეუძლია, რომ აშკარად გამოხატოს კონგენიალურობა[71], მიუკერძებლობა და მიუმხრომლობა; ყველა იდეოლოგია შეიძლება დესპოტური გახდეს, როდესაც მათ სამოქალაქო ცხოვრების პირობების კარნახის ხელშეუხებელი უფლება ენიჭებათ. მაშინ, როდესაც მოკრძალებული სეკულარული წყობა, რომელიც არ უზღუდავს მის მოქალაქეებს რელიგიას, სავსებით კარგი და საპატივსაცემო იდეალია; მთავრობა, რომელიც რელიგიური იდენტობისა და რწმენის, თუნდაც, ჩვეულებრივ გამოხატულებას ზღუდავს, ძალიან მარტივად ხდება რბილი ტირანი, რომელიც, საბოლოოდ, ერთიანობაზე მეტად განყოფას შექმნის.

§81 ამგვარად, ეკლესია ყველა პიროვნების არსებით თავისუფლებას პატივს სცემს და აფასებს, რომელიც, ღვთის ხატისებრობის შედეგად, დასაწყისიდანვე მასში არსებობს. ეს თავისუფლება უნდა შეიცავდეს როგორც ღმერთის მიღებისა და სიყვარულის თავისუფლებას (როგორც იგი იესო ქრისტეში გამოცხადდა), ასევე, ქრისტიანული სახარების უარყოფასა და სხვა სარწმუნოებათა მიღებას. ამგვარად, ეკლესია ყოველთვის და ყველგან მოწოდებულია, ერთდროულად დაამოწმოს ის, რომ, პიროვნება აღიქმება, ერთის მხრივ, როგორც მამის ნებელობაში რწმენით გარდაქმნილად (როგორც ეს იესო ქრისტეში გაცხადდა), მეორე მხრივ, კი ის, რომ თითოეული პიროვნებას აქვს ჭეშმარიტი თავისუფლების ხელშეუვალობა, მათ შორის ზემოთხსენებულ რწმენაზე უარის თქმისაც. ვიმეორებთ, ეკლესია სოციალური და პოლიტიკური მრავალფეროვნების სიკეთეს ადასტურებს და მხოლოდ იმას ითხოვს, რომ ეს ნამდვილი მრავალფეროვნება იყოს, ისეთი, როგორიც სინდისის ჭეშმარიტ თავისუფლებასა და რწმენის თავისუფლად გამოხატვას უშვებს. ეკლესიის მისია არის, რომ ქრისტე განაცხადოს (რომელიც ყველა ადამიანისათვის ჯვარს ეცვა) და ყველა ადამიანი ღმერთის სასუფევლის სიცოცხლეში შემოკრიბოს. ეს მისია თანამედროვე

კულტურასთან დიალოგის აუცილებელ შექმნასაც მოითხოვს და თანამედროვე სამყაროს შუაგულში, სოციალურ და პოლიტიკური სამართლიანობის შესახებ, ჭეშმარიტად ქრისტიანული მკაფიო ხედვის ნათელ გამოცხადებას.

§82 „რადგანაც ღმერთმა იმისათვის როდი მოავლინა თავისი ძე ამ ქვეყნად, რათა განესაჯა ქვეყანა, არამედ რათა ეხსნა მის მიერ“ (იოან. 3: 17). მართლმადიდებელი ეკლესია ამ ფრაზას საკუთარ მოწოდებად აღიქვამს, რომ ამხილოს ბოროტება და უსამართლობა, ეკონომიკური და პოლიტიკური სტრუქტურები, რომლებიც სიღარიბესა და უთანასწორობას ახალისებენ და ინარჩუნებენ. სტრუქტურები, რომლებიც სიძულვილისა და ფანატიზმის წასახალისებლად იდეოლოგიურად ძალადობენ; თუმცა, ეკლესიის მოწოდება არაა სამყაროს, ერებისა და ადამიანთა სულების გაკიცხვა. მისი მისიაა, რომ ქრისტესადმი ბოძებული ღმერთის მაცხოვნებელი სიყვარული მთელი შესაქმეს გამოუცხადოს: სიყვარული თითქოს დარღვეული და ჯვარზე დამარცხებული, მაგრამ აღდგომის ცარიელი საფლავიდან მბრწყინავი; სიყვარული, რომელიც საუკუნო სიცოცხლეს იძლევა ცოდვისაგან დაბნელებულ და დაზიანებულ სამყაროში; სიყვარული, რომელიც ხშირად უარიყოფოდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყოველი გულისაკენ მხურვალედ მიისწრაფვის. ის ყოველ ადამიანსა და საზოგადოებას ესაუბრება, და მოუწოდებს მათ წმინდა საქმის აღსრულებისაკენ; ეს არის სამყაროს ფერიცვალება სიყვარულისა და მარადიული მშვიდობის ღვთის სასუფევლის ნათელში. ამგვარად, კომისია მდაბლად სთავაზობს წინამდებარე დოკუმენტს ყველას, ვინც მზად არის, რომ აქ აღწერილ მსჯელობებს მოუსმინოს და, განსაკუთრებულად, ამხნევებს ყველა ქრისტიან მორწმუნეს – ღვთისმსახურებსა და ერისკაცებს, ქალებსა და კაცებს – რომ ლოცვით, ამ დოკუმენტის შესახებ განხილვებში ჩაერთონ, რათა ხელი მოუმართონ მშვიდობასა და სამართლიანობას, რომელსაც ეს დოკუმენტი აცხადებს, და მოძებნონ გზები, რომლითაც ღვთის სასუფევლის საქმეს საკუთარ ადგილობრივ სამრევლოებსა და თემებში შეეწევიან. ამგვარად, მამაკაცთა და ქალთა მსახურების წესის აღდგენა, შეიძლება, სასარგებლოდ წაადგეს ამ დოკუმენტში აღწერილი პრინციპებისა და მითითებების შეთვისებასა და მიღებას. კომისია, ასევე, სთხოვს მართლმადიდებლურ სემინარიებს, უნივერსიტეტებს, მონასტრებს, სამრევლოებს და მათთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს, რომ ხელი მოუმართონ დოკუმენტში ასახულ ანარეკლებს, გამოასწორონ მისი ნალულევანებები; შეეცადონ, რომ გაფართოვდეს მისი სათნოებები და გაადვილდეს, მორწმუნეთა მიერ, მისი რეფლექსია. ეს არის გულწრფელი ლოცვა ყველასი, ვინც ამ დოკუმენტზე მუშაობდა; რომ ყველაფერი, რაც კი ამ დოკუმენტშია, დაეხმარება იმ საქმეს, რომელიც 2016 წელს კრეტის წმინდა და დიდ კრებაზე დაიწყო, ხოლო სამომავლოდ შეეწევა საღვთო ნების აღსრულებას მის ეკლესიასა და სამყაროში.

თარგმნა გურამ ლურსმანაშვილმა

[1] ბასილი კესარიელი ჰომილია 2, კაცისა შესაქმისათვის PG 30, 13.57C.

[2] ირინეოს ლიონელი, სამოციქულო ქადაგების შესახებ, იხ. Crestwood, NY: St Vladimir’s Seminary Press, 1997, 22.

[3] მეუდაბნოე მამათა გამონათქვამები, ანტონი დიდი 9, 3. PG 65.77B.

[4] იხ. ბასილი დიდი, ეთიკა 3–5.

[5] ათანასე, განკაცების შესახებ, 54.3. PG 25.192B.

[6] ირინეოსი, ერესების წინააღმდეგ, 4.15.1. იხ. Sources Chrétiennes 100, Paris: Cerf, 1965, 548–549

[7] ირინეოსი, ერესების წინააღმდეგ, 4.16.5. იხ. Sources Chrétiennes 100, Paris: Cerf, 1965 571–572.

[8] იოანე დამასკელი, მართლმადიდებელი სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, PG 94.1328A.

[9] მაქსიმე აღმსარებელი, ამბიგუა, 42, PG91.1329C.

[10] იოანე ოქროპირი, რომაელთა მიმართ ეპისტოლის განმარტება, ჰომილია 5.. PG 60.429.

[11] პოლიკარპე სმირნელის მარტვილობა 10. PG 5.1037A.

[12] ტერმინი ადრეული ახალი დრო (ან ადრეული ახალი ისტორია), გულისხმობს XVI-XVII საუკუნეების ისტორიას (მთარგმ. შენიშვ.).

[13] ლაიციზმი- დამოკიდებულებათა და კონცეფციათა ერთობლიობა, რომელთაც ახასიათებს თვისებრივი ხაზგასმა ღირსებისა და მიწიერ და საერო ღირებულებათა სრული დამოუკიდებლობისა რელიგიურ ღირებულებებთან მიმართებაში. წყარო- http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=16&t=1851 / (02.03.2020), (მთარგმ. შენიშვ.).

[14] იხ. იუსტინიანეს ნეარები, 6, 35.27-21.

[15] ციტატის ქართულენოვანი ვარიანტი მოხმობილია მსოფლიო პატრიარქის 2016 წლის საშობაო ეპისტოლიდან, იხ. შოთა კინწურაშვილი, მსოფლიო პატრიარქის საშობაო ეპისტოლე 2016, http://www.orthodoxtheology.ge/bartholomew2016/ (მთარგმ. შენიშვ.).

[16] პატივმოყვარეობის შესახებ და თუ როგორ უნდა აღზარდონ ბავშვები მშობლებმა

27, იხ. Chrétiennes 188, Paris : Cerf, 1972, 114.

[17] იხ. გერმანიის მართლმადიდებელ ეპისკოპოსთა კრება, მართლმადიდებელი ეპისკოპოსების წერილი გერმანიაში მცხოვრებ ახალგაზრდებს სიყვარულის, სექსუალობისა და ქორწინების შესახებ, 2017

[18] განსაკუთრებით ღანგრის კრებაზე (340 წ.)- იხ. PL 67.55D.

[19]„ქორწინების საიდუმლო და მისი დამაბრკოლებელი მიზეზები“ (II, 5, ბ); – იხ. http://patriarchate.ge/geo/kretis-krebis-dokumenti-qorwinebis-saidumlo/

[20] იოანე ოქროპირი, ჰომილია 12 კოლასელთა მიმართ ეპისტოლის 4:18-ის შესახებ PG 62.388C.

[21] „დიდაქე“ – მოძღვრება თორმეტი მოციქულისა 2.

[22] არქიმანდრიტი სოფრონი (სახაროვი) წმ. სილუან ათონელი, Stavropegic Monastery of St. John the Baptist: Essex, 1991, 240.

[23] Maria Skobtsova, “The Second Gospel Commandment,” Mother Maria Skobtsova: Essential Writings, Maryknoll, NY: Orbis Books, 2002, გვ. 57

[24]კიბე ანუ კლემაქსი, საფეხური 4.47. PG 88.705A.

[25] ჰომილიები 11-12, იხ. წმ. ბასილი დიდი, იხ. ბასილი დიდი, კაცისა შესაქმისათვის, PG 30.33D.

[26] ჰომილია 37.6 PG 36.289C

[27] ამერიკის კანონიკურ მართლმადიდებელ ეპისკოპოსთა მუდმივმოქმედი საბჭო, სამოძღვრო წერილი თვითმკვლელობის შესახებ, 2007.

[28] იხ. წმ. გრიგოლ ნოსელი „სრულყოფილების შესახებ“ PG 46.285C.

[29] ბასილი, ჰომილია- „დავარღვნე საუნჯენი ჩემნი’’, დასაწყისი- PG 31.261A.

[30] ბასილი, ექვსთა დღეთათვის, 7.3. PG 29.152C.

[31] ბასილი, ჰომილია- ჰომილია “შიმშილისა და გვალვისას“ 2. PG 31.305B.

[32] იოანე ოქროპირი, მოციქულის სიტყვებზე „გუაქუს ჩუენ იგივე სული სარწმუნოებისაჲ”, PG 51.299.

[33] იოანე ოქროპირი, მდიდრისა და ლაზარეს შესახებ 2.4. PG 48.986D.

[34] იოანე ოქროპირი, ჰომილია ანტიოქიელთა მიმართ 2.6. PG 49.41D.

[35] იოანე ოქროპირი, ჰომილიები მათეს სახარების შესახებ, 5.9. PG57.

[36] იოანე ოქროპირი, ჰომილიები 1 კორინთელთას შესახებ 10.3. PG 61.83A. და ჰომილიები 1 ტიმოთეს შესახებ 11.2. PG 62.555B.

[37] ამბროსი, ჰექსამერონი 6, დასაწყისი PL 14.257A. და ლუკას სახარების განმარტება, წიგნი 7, დასაწყისი PL 15.1699A.

[38] ბასილი, ჰომილიები ფსალმუნთა შესახებ, 14.1.6. PG 21.219D.

[39] ამბროსი, ნაბოთე იზრაიტელის შესახებ, 3.11–15. PL14.769B.

[40] Maria Skobtsova, «The Second Gospel Commandment», იხ. Mother Maria Skobtsova et al., Mother Maria Skobtsova: Essential Readings, Maryknoll, NY: Orbis Books, 2002, გვ. 54.

[41] არქიმანდრიტი სოფრონი, წმ. სილუან ათონელი, 47.

[42] ბასილი დიდი, კანონი 13. იხ. მისი წერილი 188 PG 32.681C.

[43] იუსტინე, პირველი აპოლოგია 1.39. PG 16.327.

[44] სამოციქულო ტრადიცია, 16.9

[45] ათენაგორა ათენელი, შუამდგომლობა ქრისტიანთა გამო, 35. PG 16.968C.

[46] ლაქტანციუსი, საღვთო დაწესებულები, 6.20. PL 6.705B.

[47] იოანე ოქროპირი, ჰომილია ქანდაკებათა შესახებ, 17.3. PG 49.173B.

[48] ბასილი, ეპისტოლე 203, 2. PG 32.737B.

[49] ბასილი, ეპისტოლ ე 114. PG 32.528B.

[50] წმინდა და დიდი კრება. ენციკლიკა. §2.

[51]გიორგი ფლოროვსკი, ‘მართლმადიდებელი ეკლესიის ეთოსი’. იხ. Georges Florovsky, ‘The Ethos of the Orthodox Church’, The Ecumenical Review 12.2 (1960), 183–198 [გვ. 186].

[52] წმინდა და დიდი კრება, მართლმადიდებელი ეკლესიის დამოკიდებულება დანარჩენი ქრისტიანული სამყაროსადმი, §2-3. (წინამდებარე ნაშრომში, კრეტის დიდი და წმინდა კრების ყველა ციტირება, მოხმობილი იქნება საქართველოს საპატრიარქოს

მიერ, დიდი და წმინდა კრების დოკუმენტის ოფიციალური თარგმანიდან, იხ. http://patriarchate.ge/geo/martlmadidebeli-eklesiis-damokidebuleba-danarcheni-qristianuli/ 09.02.2020 მთარგმ. შენიშვ.).

[53] იუსტინე მარტვილი, პირველი აპოლოგია 46. PG6.397B. და მეორე აპოლოგია 8.10. PG 6.457A, 460B, 465B.

[54] მაქსიმე აღმსარებელი, ამბიგუა 7. PG 91.1067B.

[55] წმინდა და დიდი კრება. ენციკლიკა. § 17, იხ. http://patriarchate.ge/geo/martlmadidebeli-eklesiis-wminda-da-didi/

[56] ჰაბეას კორპუსი- „ლათინური გამოთქმა habeas corpus სიტყვა-სიტყვით ნიშნავს "სხეულის ქონის უფლებას". ეს არის ინგლისური კანონის ისტორიული სახელწოდება, რომელიც მიღებულ იქნა 1679 წელს. იგი კრძალავს სასამართლოს ორდერის გარეშე პიროვნების დაკავებას და უზრუნველყოფს იმის გარანტიას, რომ თითოეული საქმე გაირჩეს სასამართლოში. ამ კანონმა გააფართოვა თავისუფლებათა დიად ქარტიასა (1215 წ.) და უფლებათა პეტიციებში (1628 წ.) მოცემული სამოქალაქო უფლებათა დაცვის პრინციპები." წყარო- http://gil.mylaw.ge/ka/term/56074.html (13.02.20) (მთარგმ. შენიშვ.).

[57] წმინდა და დიდი კრება, ენციკლიკა §16. / http://patriarchate.ge/geo/martlmadidebeli-eklesiis-wminda-da-didi/

[58] გრიგოლ ნოსელი, ეკლესიასტეს შესახებ, ჰომილია 4. PG 44.664B

[59] იოანე ოქროპირი, ფილიმონის მიმართ ეპისტოლის განმარტება, ჰომილია 1. PG 62.705B.

[60] წმინდა და დიდი კრება. ენციკლიკა. § 19, http://patriarchate.ge/geo/martlmadidebeli-eklesiis-wminda-da-didi/

[61] ინტერნირება- საერთაშორისო სამართლის მიხედვით გარკვეული კატეგორიის უცხოელების იძულებითი მოთავსება რომელიმე ადგილას, რომლის დატოვებაც ამ პირებს აკრძალული აქვთ. წყარო- http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=4480 (13.02.2020) (მთარგმ. შენიშვ.).

[62] ბასილი, ვრცლად თქმული ცნებები, შეკითხვა 55, PG 31.1048B.

[63] ფიდეიზმი [ფრანგ. fidéisme < ლათ. fides რწმენა] – იდეალისტური მოძღვრება, რომელიც რელიგიას, რწმენას ანიჭებს უპირატესობას მეცნიერულ ცოდნასთან შედარებით. წყარო- http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=42101

17.02.2020 (მთარგმ. შენიშვ).

[64] ტექსტის ქართულენოვანი ფრაგმენტი მოხმობილია იაკობის ლიტურგიის ძველქართული თარგმანიდან. დეტალურად იხ: Liturgiae St. Iacobi, Versio prima (e codice Gracensi) / http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/texte/etca/cauc/ageo/liturg/litjak/litjakgr/litja.htm

[65] მაქსიმე, მისტაგოგია 7. PG 91.684,.

[66] მაქსიმე აღმსარებელი, ამბიგუა, 41.PG 91.1305CD

[67] აბბა ისააკ ასური, ასკეტური სიტყვები [ბერძნულად] 62, ათონის მთა, ივერონის მონასტერი, 2012, 736

[68] წინასწარმეტყველებები 96

[69]ამონარიდი აღდგომის სადღესასწაულო მსახურებიდან.

[70] ფსევდო დიონისე არეოპაგელი, ციური იერარქიის შესახებ, იხ. Pseudo-Dionysius: The Complete Works, Mahwah, NJ: Paulist Press, 1987.

[71]კონგენიალურობა- L. con და genius”ერთად” და “გონი”, “სული”ჭკუით, ნიჭიერებით ვისიმე შესაფერი, მსგავსი. წყარო- http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=20159 (19.02.20) (მთარგმ. შენიშვ.)

— goarch.org